## დერეფანი

# ენერგოპრობლემების დასაძლევად – მილიონი დოლარი კომპანია „ბი-პისაგან“

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტში მონაწილე ბრიტანეთის კომპანია „ბი-პი“ საქართველოს ზამთრის პერიოდში ენერგეტიკული პრობლემების დასაძლევად მილიონი ამერიკული დოლარით გაუწევს დახმარებას, – ჩვენი ქვეყნისათვის ეს მეტად მნიშვნელოვანი სიახლე 13 ნოემბერს გამართულ შეხვედრაზე საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს საქართველოში კომპანია „ბი-პის“ გენერალურმა მენეჯერმა ენდრიუ ბეინსმა წერილობით გააცნო. წერილს ხელს აწერს ამ კომპანიის პრეზიდენტი ლორდი ჯონ ბრაუნი.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ მიმდინარე წლის ივნისში საქართველოს პრეზიდენტმა და ლორდმა ჯონ ბრაუნმა შეხვედრაზე კომპანია „ბი-პის“ საქართველოში საქმიანობის პერსპექტივის განხილვის პარალელურად, ქვეყანაში შექმნილი ენერგეტიკული პრობლემების დაძლევის გზებზეც იმსჯელეს.



იხ. მე-2 გვ.

## პრეზიდენტის ფოსტიდან

# „ბრიტანეთი კვლავაც მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და მის ხელშეუხებლობას და მზადაა დაეხმაროს მას პრობლემების გადაჭრაში“

საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ტონი ბლერის წერილი, რომელშიც ნათქვამია:

„მადლობას მოგახსენებთ კოალიციისათვის პირადად თქვენი დროული და მტკიცე მხარდაჭერისათვის. 11 სექტემბრის მოვლენები ჩვენ ყველას შეგვეხო და ამიტომ მთავარია, ერთიანი მიდგომა შევინარჩუნოთ, რათა გავუმკლავდეთ იმ უბედურებას, რომელსაც ტერორიზმი ჰქვია. ჩემთვის ცნობილია ის ფაქტი, რომ მიუხედავად მრავალი საშინაო პრობლემისა, რომლებიც თქვენი ძალისხმევის უდიდეს ნაწილს მოითხოვს, მოახერხეთ, მტკიცე პოზიცია შეგენარჩუნებინათ და ყურადღება გადაგეტანათ ამ გლობალურ საკითხზე.

ნება მიბოძეთ, მოგახსენოთ, რომ ამ მიმართებით ბრიტანეთი კვლავაც მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და მის ხელშეუხებლობას და მზადაა დაეხმაროს მას პრობლემების გადაჭრაში. სირთულეთა მიუხედავად, კვლავაც განვაგრძობთ აფხაზეთის საკითხის ადრეული პოლიტიკური გზით მოგვარებისათვის მუშაობას გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ჯგუფის დახმარებითა და სხვა პარტნიორებთან, მათ შორის, ევროკავშირიდან, დიალოგით. ვიმედოვნებ, რომ ყველა, ვინც დაინტერესებულია უსაფრთხო სიტუაციის დამკვიდრებითა და დიალოგისა და ნდობის აღდგენით, ძალისხმევას არ დაიშურებს ამ მიმართულებით.

იხ. მე-2 გვ.

ჩვენი გაზეთი ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/sakartvelos-respublika

გუშინ ჩვენს გაზეთს ინტერნეტით გაეცნო 4509 მკითხველი. მათ შორის, 52% აშშ-დან, 21% – გერმანიიდან.

„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ...“

# საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. №279 (4020) ოთხშაბათი. 14 ნოემბერი. 2001 წელი. ფასი 50 თეთრი.

GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

## ვიზიტი



# მხარდაჭერა და თანადგომა

13 ნოემბერს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ მიიღო პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ალექსანდრე კვასნევსკი. პოლონეთის ლიდერმა ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს მიულოცა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარედ არჩევა და წარმატებები უსურვა უაღრესად რთულ საქმიანობაში.

როგორც ალექსანდრე კვასნევსკიმ აღნიშნა, პოლონეთის რესპუბლიკას დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის დიდი ხნის წარმატებული გამოცდილება აქვს. მისი თქმით, საქვეყნოდ ცნობილია პოლონური დემოკრატიის პრინციპები, რომელმაც შესაძლებელი გახადა ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობის დამკვიდრება..

„პოლონეთის ხელისუფლება კვლავაც მხარს უჭერს საქართველოს განვითარების საგარეო და საშინაო კურსს, ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას. მიგვაჩნია, რომ პოლონეთის გამოცდილება თქვენი ქვეყნისათვის საინტერესო იქნება“, – განაცხადა ალექსანდრე კვასნევსკიმ და მზადყოფნა გამოთქვა გამოცდილება გაუზიაროს საქართველოს ხელისუფლებას.

იხ. მე-2 გვ.

# აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობათა კვლევის საერთაშორისო ცენტრის საპატიო წევრი

13 ნოემბერს საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია ორი ქვეყნის – საქართველოსა და პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტებს ედუარდ შევარდნაძესა და ალექსანდრე კვასნევსკის მასპინძლობდა. სწორედ აქ გაიმართა აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობათა კვლევის საერთაშორისო ცენტრის მიერ ორგანიზებული შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოსა და პოლონეთის პირველი პირები, ჩვენს ქვეყანაში აკრედიტებული საელჩოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები.

ნიშანდობლივია, რომ აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობათა კვლევის საერთაშორისო ცენტრის პრეზიდენტია ედუარდ შევარდნაძე და იგი 1993 წელს საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობის, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობათა კონცეფციების ჩამოყალიბების მიზნით შეიქმნა. ამ ძალზე პრესტიჟულ ცენტრს თავის დროზე სტუმრობდნენ ისეთი ცნობილი მსოფლიო მოღვაწეები, როგორებიც არიან ჯეიმს ბეიკერი, ჯორჯ შულცი, სულეიმან დემირელი და სხვები.

აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობათა კვლევის საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ალექსანდრე კვასნევსკის ცენტრის საპატიო წევრის წოდება მიენიჭა, რომლის დამადასტურებელი დიპლომი მას საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციაში გამართულ ღონისძიებაზე საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ გადასცა.

შეხვედრაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, ხოლო ჩვენი ქვეყნის საპატიო სტუმარმა და აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობათა კვლევის საერთაშორისო ცენტრის ახალმა საპატიო წევრმა ალექსანდრე კვასნევსკიმ ვრცელი ლექცია წაიკითხა თემაზე – „ევროპული და მსოფლიო უშიშროების განმტკიცების ფაქტორები“.

ქვემოთ გთავაზობთ პრეზიდენტების გამოსვლებს.

საქინფორმი.



## „როგორც ცენტრალური ევროპის სახელმწიფო, პოლონეთი უკვე ასრულებს აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის ერთ-ერთი დამაკავშირებელი რგოლის ფუნქციას“

### საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის შესავალი სიტყვა



თქვენო აღმატებულებავ ბატონო პრეზიდენტო,

ქალბატონებო და ბატონებო,

ნება მიბოძეთ, უწინარეს ყოვლისა, თქვენი სახელით გულითადად მივესალმო პოლონეთის პრეზიდენტს ალექსანდრე კვასნევსკის აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობის კვლევის საერთაშორისო ცენტრში.

ჩვენი დღევანდელი შეხვედრა უთუოდ მოწმობს, რომ კიდევ უფრო გაიზარდა ცენტრის ავტორიტეტი, რომელსაც თავისი არსებობის განმავლობაში ეპოქის ბევრი თვალსაჩინო მოღვაწე მიუღია.

იხ. მე-3 გვ.

## „ევროპისა და მსოფლიო უშიშროების განმტკიცების ფაქტორები“

### პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ალექსანდრე კვასნევსკის გამოსვლა

თქვენო აღმატებულებავ, ბატონო საქართველოს პრეზიდენტო,

პატივცემულო ქალბატონებო და ბატონებო,

ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა, რომ ვსტუმრობ საერთაშორისო კვლევითს ცენტრს „აღმოსავლეთ-დასავლეთი“ და ვხვდები საქართველოს ელიტას. სულითა და გულით მადლობას მოგახსენებთ მოწვევისათვის. პატივად მიმაჩნია გავაშუქო აქ პოლონეთის თვალსაზრისი, რადგან პოლონეთსა და საქართველოს ბევრი რამ აერთიანებს. ვიცი, რომ ამ ფორუმზე გამოსულან სახელგანთქმული ადამიანები: სხვადასხვა ქვეყნების პრეზიდენტები, საგარეო საქმეთა მინისტრები, ექსპერტები. ამ ცენტრის მიღწევები საგულისხმოა; ისინი მოწმობენ, თუ რა მნიშვნელოვანი როლი ეკისრება საქართველოს საერთაშორისო ასპარეზზე.

და სულაც არ არის საკვირველი, თუ ცენტრის საქმიანობისადმი შეფობას ახორციელებს ასეთი გამოჩენილი ადამიანი. მინდა განვაცხადო, რომ დიდ პატივს ვცემ საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს.

იხ. მე-3 გვ.

## გიხაროდენ!

# ჯერ ანა, ახლა თამარი



2 ნოემბერს საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოაკიმესა და ანას სახელობის სამშობიარო სახლში სხვა ახალშობილებთან ერთად, ერთი თვალხატულა გოგოც დაიბადა. იგი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებული ექსპერიმენტული ათწლედის პედაგოგის ქეთევან გეიხციძისა და აფხაზეთის ჟურნალისტთა კავშირის პასუხისმგებელი მდივნის, გაზეთ „სრულიად არასაიდუმლოდ“ განყოფილების გამგის დიმიტრი მუხაშვილის მეორე შვილია. დიმიტრი კალმით, ფოტოაპარატით და იარაღით ხელში იბრძოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად. ახლა, 60 წლისიავზე მეორე შვილის დაბადებით გაიხარა, სიცოცხლე შემატა მათ ოჯახს.

პატარა დაიკოს 6 წლის მშვენიერმა ანამ თამარი დაარქვა.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-93-24.

## პრობლემა

# როცა ჰაერში ღალატის სუნი ტრიალებს!..

### „ენერგოფიქრები“ გაჩერებული მატარებლის ვაგონში

ამთავითვე ვიტყვი: იმას, რის თაობაზეც დღეს მინდა მოგითხროთ, ძნელია მოუძებნო შეფასება, რადგან... წესიერ ქვეყანაში ასეთი რამ არ შეიძლება მოხდეს, მით უმეტეს, მაშინ, როცა თავად ქვეყნის პრეზიდენტი მოითხოვს ამ პრობლემისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას.



ამ შემთხვევაში საკითხი ეხება ჩვენი რკინიგზის შეუფერხებელ მომარაგებას ელექტროენერგიით.

საქმეში ჩაუხედავ კაცს, რომელიც ყოველდღიურად უყურებს ჩვენს სარკინიგზო მაგისტრალზე მშრალი ტვირთებითა თუ ნავთობით დატვირთულ ეშელონებს, რომელთა რაოდენობაც წლითიწლობით მატულობს, შეიძლება გაუკვირდეს კიდეც, მაგრამ... ფაქტი ფაქტად რჩება – საქართველოს რკინიგზის ელექტროწევის ქვესადგურების გამორთვა, სატვირთო და სამგზავრო მატარებლების საათობით გაჩერება და მოძრაობის პარალიზება თითქმის ყოველდღიურ მოვლენად იქცა რკინიგზის მუშაობის პრაქტიკაში.

იხ. მე-4 გვ.

## გაუტიეს!

# „Москва, звонят колокола“...

ასე იყო ათადან-ბაბადან, ასე იქნება დღეის ამას იქითაც – „ზლატოგლავაიას“ თავზე რეკავენ ზარები.

ნუმც მოშლოდეს.

მაგრამ მოსკოვის მერმა იური ლუჟკოვმა რატომ ჩამოჰკრა სიყალბის ზარებს, ესაა გასაკვირი.

კარგად გამოსდიოდა იური მიხაილოვიჩს, როცა გაზმანოვის სიმღერას „Москва, звонят колокола“... ხმას აყოლებდა.

ემღერა, ეკეთებინა თავისი საქმე. არა.

ჩვენ გადმოგვეწვდა (იხ. „სრ“ №278, „მეზობელი მეზობელს ასე არ უნდა ელაპარაკებოდეს“).

იხ. მე-3 გვ.

## დღის ანეკდოტი

სულ სხვა ქვეყნის, სულ სხვა დეპუტატი, რომელსაც ფული ქარის დღესავით ეზარება, უდაბნოში მისეირნობს. ხედავს თეთრი ქაღალდი გდია. აიღო, კითხულობს: „თუ გინდა დიდი ფული იპოვო, აქ გათხარე ხუთი მეტრი“.

თხარა და თხარა. 5 მეტრის სიღრმეზე მეორე ბარათი იპოვა: „გათხარე 10 მეტრი“. გათხარა, ისევ ბარათია: „ახლა, თუ ბიჭი ხარ, ამოძვერი ამ ორმოდან“.

ასე ჩაითრია ცნობისმოყვარეობამ პატიოსანი დეპუტატი კორუფციის ორმოში.

## ინფორმაცია

### არმენ ხაჩატრიანი – ნინო ბურჯანაძეს

სომხეთის ეროვნული კრების თავმჯდომარემ არმენ ხაჩატრიანმა მისალოცი წერილი გამოუგზავნა ნინო ბურჯანაძეს საქართველოს პარლამენტის სპიკერის პოსტზე არჩევასთან დაკავშირებით.

არმენ ხაჩატრიანმა იმედი გამოთქვა, რომ ნინო ბურჯანაძის ხელმძღვანელობით საქართველოს პარლამენტი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს სტაბილურობის განმტკიცებაში არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელს რეგიონში. სომხეთის ეროვნული კრების თავმჯდომარე დარწმუნებულია, რომ ნინო ბურჯანაძის მოღვაწეობა „მიმართული იქნება ტრადიციული სომხურ-ქართული მეგობრობის განმტკიცებისა და ორი ქვეყნის პარლამენტებს შორის თანამშრომლობის განვითარებისაკენ“.

### კოდორს მიწიდან დაიცავენ

თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის ხელმძღვანელის ჯონი ფირცხალაიშვილის განცხადებით, კოდორის ხეობაში მეტანილია ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვითი საშუალებები. განხორციელდა ასეულის როტაცია. აღდგენილია აეროდრომი, რომელიც „ან-2“ ტიპის თვითმფრინავებს მიიღებს. კოდორის ხეობასთან არსებობს სატელიტური და რადიოკავშირი.

კოდორის ხეობაში განხორციელებული ღონისძიებები იძლევა იმის საშუალებას, რომ ამ ტერიტორიას საფრთხე არ დაემუქროს, – აღნიშნა მან.

### ხეობის სურსათით უზრუნველსაყოფად

გუშინ ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურმა კოდორის ხეობის მოსახლეობის სურსათით უზრუნველსაყოფად 140 ათასი ლარი გამოყო.

გადარიცხული თანხით კოდორის ხეობის მოსახლეობა მაქრით, მცენარეული ზეთით, მარილით, ნავთით, დიზელის საწვავით, ბენზინით, ასანთითა და სიგარეტით 8 თვის განმავლობაში იქნება უზრუნველყოფილი.

პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად კოდორში 200 ტონა პურის ფქვილი უკვე შეიტანეს. ამისათვის ბიუჯეტიდან 125 ათასი ლარი გაიცა.

### ბოდენი სოხუმში მოლაპარაკებებს გამართავს

გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების საკითხში დიტერ ბოდენი, ოქტომბერში აფხაზურ არმიასა და ქართულ-ჩრდილოკავკასიური შეიარაღებული ფორმირებების შეტაკებების შედეგად შეწყვეტილი მოლაპარაკებების განახლებას ეცდება, რისთვისაც მომავალ კვირას სოხუმს ეწვევა.

### ჯერგენია მანდატის გაგრძელებას ითხოვს

სეპარატისტთა მთავრობის ხელმძღვანელმა ანრი ჯერგენიამ, რომელიც რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროში კონსულტაციებისათვის იმყოფება მოსკოვში, განაცხადა, რომ მანდატი უნდა გაუგრძელდეს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის კოლექტიურ სამშვიდობო ძალებს ქართველ-აფხაზთა კონფლიქტის ზონაში. მან მაღალი შეფასება მისცა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის კოლექტიური სამშვიდობო ძალების როლს.

### დაბალი სიხშირის მიზეზით

თბილისის რიგი უბნისათვის ელექტროენერგიის შეფერხებით მიწოდების მიზეზების კომენტირებისას, გუშინ ამერიკულ კომპანია AES თელასში განაცხადეს, რომ ეს ყველაფერი კომპანიისათვის არასათანადო რაოდენობის ელექტროენერგიის მიწოდებით არის გამოწვეული, რაც სიხშირეების ვარდნას და, შესაბამისად, უბნებისათვის ელექტროენერგიის გამორთვას იწვევს.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, მედია-ნიუსმა, იპრინდამ და პრაიმ-ნიუსმა.

## ამინდი დღეს

დასავლეთ საქართველოში

| | | |
|---|---|---|
| დაბლობში: | ღამით +7+12; | დღისით +20+25; |
| მთაში: | ღამით +4+9; | დღისით +15+20. |

აღმოსავლეთ საქართველოში

| | | |
|---|---|---|
| ბარში: | ღამით +3+8; | დღისით +15+20. |
| მთაში: | ღამით 0+5; | დღისით +13+18. |

თბილისში

მცირე მოღრუბლულობა, უნალექოდ, სუსტი ქარი.

ღამით: +5+7; დღისით: +18+20.

საქართველოს ჰიდრომეტდეპარტამენტი.

## ლარის კურსი

14 ნოემბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

| | | | |
|---|---|---|---|
| ინგლისური გირვ. | 1 | 3.0953 | ლარი |
| გერმანული მარკა | 1 | 0.9687 | ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.1360 | ლარი |
| ევრო | 1 | 1.8946 | ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0718 | ლარი. |

## გვირეკავენ, გვეკითხებიან

– ვარ 66 წლის პენსიონერი, მარტოხელა, შრომის პირველი ჯგუფის ინვალიდი. პენსიას ვღებულობ 14 ლარს. გთხოვთ, განმიმარტოთ, მეკუთვნის თუ არა რაიმე შეღავათი, ყოველთვიური დახმარება, ან პენსიის მომატება?

ჯუმბერ გიორგაძე, ტყიბული.

– შრომის პირველი ჯგუფის ინვალიდებს პენსია 14 ლარის ოდენობით განესაზღვრებათ, სარგებლობენ 100-პროცენტიანი შეღავათით მოხმარებული სასმელი წყლის გადასახადისას, ტელეფონის სააბონენტო გადასახადზე დაწესებული აქვთ 50-პროცენტიანი შეღავათი, ხოლო ტელეფონის დადგმისას შემდეგი შეღავათით სარგებლობენ: ელექტრონული ასს – 30 ლარი, კოორდინატული ასს – 20 ლარი, დეკადურ-ბიჯური ასს – 15 ლარი.

სოციალური (ოჯახური) დახმარება ენიშნება იმ უმუშევარ მარტოხელა პენსიონერებისაგან შემდგარ ოჯახებს, რომლებიც ცხოვრობენ მარტო, პენსიას იღებენ 14 ლარის ოდენობით და არ ჰყავთ კანონით ვალდებული მარჩენალი, ამ უკანასკნელის საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად.

პენსიის მომატებისათვის, დღეისათვის მოქმედი კანონმდებლობით, სამწუხაროდ, კანონიერი საფუძველი არ არსებობს.

ირინე ღლონტი.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90; 93-28-54.

## უკანასკნელ საათს

ჩრდილოეთ ალიანსის ძალები მარშით შევიდნენ ქაბულში, რომელიც თალიბებმა უბრძოლველად დატოვეს. ალიანსის მეომრებმა დაიკავეს სამთავრობო შენობები და ქალაქში ბლოკ-პოსტები გახსნეს.



ალიანსის წარმომადგენელმა აბდულა აბდულამ თქვა, რომ ქაბულში იწვევენ გაეროს მისიას ახალი მთავრობის ფორმირებაში ალიანსისა და სხვა დაჯგუფებებისთვის დასახმარებლად.

ქაბულელი ქალები ჩადრებს იხსნიან, რომელთა ტარებასაც თალიბები აიძულებდნენ. ბევრმა ახალგაზრდამ გაიპარსა წვერი.

## ინტერპანორამა

გუშინ გაიმართა აშშ პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის და რფ პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის შეხვედრა. პრეზიდენტებმა ერთობლივ პრესკონფერენციაზე ისაუბრეს ბირთვული არსენალის შემცირების თაობაზე.



თალიბთა ლიდერმა მოლა ომარმა მოუწოდა თავის ძალებს გადაჯგუფდნენ და გააგრძელონ ბრძოლა. მან ბრძანება გასცა, დაემორჩილონ მეთაურებს და შეწყვიტონ დეზერტირობა.



ცენტრალურ ავღანეთში ჩრდილოეთ ალიანსის ძალებმა აიღეს ქალაქი ბამიანი. თალიბები ორსაათიანი ბრძოლის შემდეგ იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. მათ პოზიციებს ამერიკული თვითმფრინავები ბომბავდნენ.



„საქართველოს რესპუბლიკა“ – ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ თვითმფრინავებში.

№ 279. ოთხშაბათი, 14 ნოემბერი, 2001 წელი.

ვიზიტი

# ეკონომიკური განვითარების მძლავრი იმპულსი ბიზნესმენთა თანამშრომლობაა



**საქართველოში ოფიციალურ ვიზიტად მყოფ პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ჩვენს ქვეყანაში პოლონელ ბიზნესმენთა 30-კაციანი დელეგაცია ახლავს, რომელთა მიზანია ქართველ ბიზნესმენებთან ურთიერთობის დამყარება და ერთობლივი პროექტების განხორციელება. მიმდინარე წელს ეს პოლონელ მეწარმეთა უკვე მეორე ვიზიტია თბილისში, რაც საქართველოსადმი პოლონეთის სულ უფრო მზარდ ინტერესს ადასტურებს.**

**ქართველ და პოლონელ მეწარმეთა მორის ორი დღის განმავლობაში მთავრობის კრწანისის რეზიდენციაში მიმდინარე ორმხრივ თუ მრავალმხრივ მოლაპარაკებათა შემდეგ, 13 ნოემბერს გაიმართა შემაჯამებელი შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოსა და პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტები ედუარდ შევარდნაძე და ალექსანდრე კვასნევსკი.**

როგორც შეხვედრაზე საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა ნათია თურნავამ აღნიშნა, მოლაპარაკებათა მსვლელობისას ორი ქვეყნის საქმიანი წრეების წარმომადგენლებმა იმსჯელეს ერთობლივი საქმიანობის კონკრეტულ მიმართულებებსა და პერსპექტივაზე. ძირითადი აქცენტი გაკეთდა სავაჭრო ურთიერთობაზე, საინვესტიციო პროექტებზე, დაზღვევის, ტრანსპორტისა და სხვა სფეროებში თანამშრომლობის საკითხებზე.

მოლაპარაკებათა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგი ისაა, რომ ხელმოწერილია შეთანხმება საქართველოსა და პოლონეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატებს შორის თანამშრომლობის შესახებ. ეს კი ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის სავაჭრო ურთიერთობის განვითარებასა და ექსპორტ-იმპორტის გაზრდას.

—მრავალი წლის განმავლობაში ქართული პროდუქციის დიდი რაოდენობით ექსპორტირება ხდებოდა პოლონეთის ბაზარზე და, პირიქით. პოლონულ ბაზარს, ალბათ, ახსოვს ქართული ჩაი, ღვინო, მინერალური წყლები, მთელი რიგი სამრეწველო ნაწარმი,— აღნიშნა შეხვედრაზე საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ. — ნიშანდობლივია, რომ 2001 წელს პოლონეთში უკვე გაგზავნილია 2 ათას ტონამდე ქართული ჩაი, რომლის რაოდენობა წლის დამლევამდე გაიზრდება. მათგან 80 პროცენტი ფირმაზე — „მარტინ ბაუერ თბილისი“ მოდის. დასახულია ერთობლივი საწარმოს ჩამოყალიბება „მარტინ ბაუერ თბილისსა“ და „მარტინ ბაუერ პოლსკას“ მონაწილეობით. ამ შემთხვევაში პოლონეთში ექსპორტი კიდევ უფრო გაიზრდება.

როგორც ჩვენი ქვეყნის მეთაურმა განაცხადა, 1990 წლამდე საქართველოსა და პოლონეთს შორის სავაჭრო ბრუნვა ათობით მილიონ დოლარს აღწევდა. სამწუხაროდ, ამჟამად სავაჭრო ბრუნვა არ აღემატება 4 მილიონ დოლარს, თუმცა, 1995 წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი ათჯერ გაიზარდა.

„საქართველო და პოლონეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრები არიან და ვაჭრობაში უმეტესი ხელშეწყობის რეჟიმით სარგებლობენ. მიუხედავად ამისა, მიზანშეწონილი იქნებოდა თანამშრომლობის უფრო წარმატებული გზების მოძიება, მაგალითად, ერთმანეთის პრეფერენციური სისტემებით უზრუნველყოფა გარკვეულ ნაწარმზე, ვთქვათ, საქართველოსათვის ჩაიზე, ხოლო პოლონეთისათვის — კარტოფილზე თუ სხვა ექსპორტის ტრადიციულ პროდუქციაზე“, — ხაზგასმით აღნიშნა ედუარდ შევარდნაძემ.

საქართველოს პრეზიდენტმა ყურადღება გაამახვილა საინვესტიციო საქმიანობის გააქტიურებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. „მე თავად ვხელმძღვანელობ ინვესტიციების საკითხებში სახელმწიფო საბჭოს და გარწმუნებთ, რომ ყოველ ღონეს ვიხმარ თქვენი პროექტების ხელშეწყობისათვის“, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა და აღნიშნა, რომ 1999 წელს საქართველოში 4,3 მილიონი დოლარის პოლონური ინვესტიციები იქნა დაბანდებული. თითქმის ამდენივე იყო 2000 წელსაც. ედუარდ შევარდნაძე მიზანშეწონილად მიიჩნევს ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების ბაზაზე შეიქმნას ერთობლივი საწარმოები, რომლებიც ორიენტირებული იქნებიან კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებაზე შიდა ბაზრის მოთხოვნილებათა გათვალისწინებით.

როგორც ქვეყნის პრეზიდენტმა აღნიშნა, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, უცხოური ინვესტიციები სრულიად დაცულია და გამორიცხულია მათი რაიმე სახით დისკრიმინაცია. საქართველოს მრავალ ქვეყანასთან აქვს განვითარებული საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სფეროში სახელშეკრულებო-სამართლებრივი ბაზა. 1999 წელს საქართველომ და ევროპის კავშირმა რატიფიკაცია გაუკეთეს შეთანხმებას პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ, რომლის თანახმადაც, ჩვენს ქვეყანას დასავლეთ ევროპის განვითარებული სახელმწიფოების სრულუფლებიან სავაჭრო-ეკონომიკურ პარტნიორად მიიჩნევენ.

ხოლო რაც შეეხება ეკონომიკის დარგებს, რომლებშიც ინვესტიციების დაბანდება განსაკუთრებით მიზანშეწონილია, საქართველოს პრეზიდენტის თქმით, წარმოადგენს ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა, კვების მრეწველობა, კავშირგაბმულობა, ტურიზმი, ტრანსპორტი. ეს უკანასკნელი კი, ედუარდ შევარდნაძის აზრით, ძალზე მნიშვნელოვანია ტრასეკას პროექტის განვითარების სწრაფი ტემპების გათვალისწინებით, მით უფრო, რომ საქართველო ამ აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანსპორტო დერეფნის საკვანძო ქვეყანაა.

„საქართველოსა და პოლონეთს შორის არსებობს მრავალი შეთანხმება და ნორმატიული დოკუმენტი, რომლებიც ხელს უწყობენ ჩვენი ქვეყნების სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებას. თუ ამ საქმეში არის ხარვეზები, ისინი შესავსებია. ასე რომ, პოლონეთისა და საქართველოს პატივცემულო ბიზნესმენებო, თანამშრომლობის განვითარება თქვენზეა დამოკიდებული. ვიმედოვნებ, რომ ჩვენი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა მაღალ დონეს უახლოეს მომავალში მიაღწევს,“— განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

ქართველ და პოლონელ ბიზნესმენებს მიესალმა პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ალექსანდრე კვასნევსკი.

„მოხარული ვარ, რომ საქართველოში ჩემს ოფიციალურ ვიზიტთან დაკავშირებით ეწყობა ორივე ქვეყნის ბიზნესმენთა შეხვედრა. ეს მეტად მნიშვნელოვანი ფორუმია და იმედი მაქვს, კონკრეტულ საქმეებში გადაიზრდება და მჭიდრო სავაჭრო თანამშრომლობა დამყარდება,“ — აღნიშნა საპატიო სტუმარმა.

მისი აზრით, ორივე მხარეს სათანადო ძალა აქვს ორმხრივ თანამშრომლობაში არსებულ სირთულეთა დასაძლევად. მჭიდრო თანამშრომლობის პერსპექტივა კი, პოლონეთის პრეზიდენტის თქმით, მრავალ დარგში არსებობს, კერძოდ, ტრანსპორტის, ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობისა და კომუნიკაციის სფეროებში.

„საქართველოს მნიშვნელოვანი უპირატესობაა ის, რომ მას მნიშვნელოვანი გეოგრაფიული ადგილმდებარეობა აქვს და იმ მარშრუტის გზაჯვარედინზე იმყოფება, სადაც ტრანზიტული მილსადენები გაივლის, რომლებიც, თავის მხრივ, ცენტრალურ და ჩრდილოეთ ევროპას კასპიის ნავთობსა და გაზს მიაწვდიან. პოლონეთის საწარმოები დაინტერესებული არიან საქართველოს ტერიტორიაზე გაზისა და ნავთობის მილსადენების მშენებლობით და მათ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ აღნიშნულ პროექტებში. ჩვენი წარმოდგენით, ამ სფეროში შესაძლებელია მრავალწლიანი და სასარგებლო ურთიერთობის დამყარება“, — განაცხადა ალექსანდრე კვასნევსკიმ.

როგორც პოლონეთის პრეზიდენტმა აღნიშნა, საქართველო მნიშვნელოვან წარმატებას აღწევს საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებაში. 1995 წლიდან შენარჩუნებული ეკონომიკური ზრდა და ინფლაციის დაბალი დონე კარგი სამომავლო პროგნოზის გაკეთების საშუალებას იძლევა.

„ჩვენ ვუსურვებთ საქართველოს იმ გეგმების განხორციელებას, რომლებიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში ეკონომიკის აღმავლობას. ჩვენ ამით დაინტერესებული ვართ, რადგანაც სწორედ ამაზეა დამოკიდებული საქართველო-პოლონეთის სამომავლო თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივა“, — განაცხადა შეხვედრის დასასრულს პოლონეთის რესპუბლიკის მეთაურმა.

## პოლონელმა სტუმრებმა საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ოქროს ფონდი დაათვალიერეს

**13 ნოემბერს პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ალექსანდრე კვასნევსკი მეუღლითურთ საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს ეწვია.**

პოლონელმა სტუმრებმა ოქროს ფონდის ექსპონატები დაათვალიერეს და თავიანთი სურვილით სახელმწიფო მუზეუმის ის დარბაზი მოინახულეს, სადაც გამოჩენილი ქართველი მხატვრის ნიკო ფიროსმანის ნამუშევრებია გამოფენილი. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში პოლონეთის პრეზიდენტსა და მის მეუღლეს მეგზურობას უწევდა მუზეუმის დირექტორი, პროფესორი ნოდარ ლომოური.

## შეხვედრა საპატრიარქოში

**13 ნოემბერს პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ალექსანდრე კვასნევსკი და მისი მეუღლე იოლანტა კვასნევსკა შეხვდნენ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს.**

— დღეს საქართველოს მნიშვნელოვანი პრობლემა აქვს გადასაჭრელი. მოსაგვარებელია აფხაზეთის საკითხი და მაშასადამე, აღსადგენია ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა,— აღნიშნა შეხვედრაზე უწმინდესმა და უნეტარესმა.

პოლონეთის პრეზიდენტის განცხადებით, კონფლიქტების გადაწყვეტის გზად მშვიდობიან პოლიტიკურ მოლაპარაკებას მიიჩნევს და მზად არის დახმარების ხელი გამოუწოდოს ჩვენს ქვეყანას დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობასა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში.

საუბარი ასევე შეეხო იმ გლობალურ პროცესებს, რომლებიც დღევანდელ მსოფლიოში მიმდინარეობს. კერძოდ, მხარეებმა დაგმეს საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების საქმიანობა და აღნიშნეს, რომ მათი არსებობა საფრთხეს უქმნის მთელ ცივილიზებულ სამყაროს.

უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე პოლონელ სტუმარს ესაუბრა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მნიშვნელოვან როლზე ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისა და ერის სულიერების ამაღლების საქმეში.

**ვიზიტის მასალები მოამზადა საქინფორმმა.**

## პატივი მიაგო უცნობი ჯარისკაცის ხსოვნას

**პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ალექსანდრე კვასნევსკიმ საქართველოში თავისი ოფიციალური ვიზიტის მეორე დღეს, დილით გამარჯვების პარკში გვირგვინით შეამკო უცნობი ჯარისკაცის საფლავი.**

პოლონეთმა, ისევე როგორც საქართველომ, მეორე მსოფლიო ომში უდიდესი მსხვერპლი გაიღო. ცნობილია, რომ ერთ სულ მოსახლეზე პროცენტული შეფარდებით, პოლონეთმა და საქართველომ ამ ომში ყველაზე მეტი ადამიანი დაკარგეს.

პოლონეთის ლიდერმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგო იმათ ხსოვნას, ვინც კაცობრიობა ფაშიზმისაგან იხსნა, სიცოცხლე შესწირა სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლას.





საქინფორმის ფოტოქრონიკა.

## მხარდაჭერა და თანადგომა

(პირველი გვერდიდან)

„პოლონეთი საქართველოსათვის ტრადიციულად გამოირჩევა კეთილმეზობლური ურთიერთობით, რაც გამოიხატება თითქმის ყველა სფეროში თანამშრომლობაში. დღეს საქართველოს შესწევს ძალა პოლონეთთან კიდევ უფრო გაააქტიუროს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა, რაც, თავის მხრივ, ჩვენი ქვეყნის სოციალურ კეთილდღეობას წაადგება“, — განაცხადა პოლონეთის პრეზიდენტისადმი გულთბილი მისალმების შემდეგ ნინო ბურჯანაძემ, რომელიც საპატიო სტუმარს ესაუბრა საქართველოში ბოლო დროს მიმდინარე მოვლენებზე. რაც შეეხება ქვეყნის საგარეო პოლიტიკას, ნინო ბურჯანაძემ აქცენტი საქართველო-რუსეთის ურთიერთობაზე გააკეთა და ძირითადად ილაპარაკა აფხაზეთის საკითხის მშვიდობიანი გზით მოგვარებაზე. მისი განცხადებით, მთავარია საკითხი მშვიდობიანი გზითა და სამართლებრივი ასპექტებით გადაწყდეს, რაშიც პოლონეთის პრეზიდენტს თანადგომა სთხოვა.

შეხვედრის დასასრულს ალექსანდრე კვასნევსკიმ განაცხადა, რომ პოლონეთი ყველა საერთაშორისო დონის შეხვედრაზე და საერთაშორისო ორგანიზაციებში ერთმნიშვნელოვნად მხარს დაუჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და კონფლიქტის მოგვარების ახლებურ მიდგომებს, რომლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი კონფლიქტის ზონაში რუსეთელ მშვიდობისმყოფელთა ჩანაცვლებაა.

ალექსანდრე კვასნევსკიმ პარლამენტის საპატიო სტუმართა წიგნში ჩანაწერი გააკეთა.

**საქინფორმი.**

პრეზიდენტის ფოსტიდან

## „ბრიტანეთი კვლავაც მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და მის ხელშეუხებლობას და მზადაა დაეხმაროს მას პრობლემების გადაჭრაში“

(პირველი გვერდიდან)

**როდესაც გასულ წელს ლონდონში შეგხვდით, თქვენ გამაცანით გეგმა კორუფციასთან ბრძოლის კომისიის შესახებ. კორუფციასთან გამკლავება და რეფორმა საზოგადოებრივ სექტორში განსაკუთრებული სირთულით გამორჩეული უზარმაზარი საკითხებია. მიუხედავად ამისა, ვიცი, გინდათ, ეს საქმე ბოლომდე მიიყვანოთ, რადგან ეს საქართველოს დემოკრატიულ სახელმწიფოს სჭირდება და კიდევ იმიტომ, რომ საქართველოს მოსახლეობა ამას იმსახურებს. პოლიტიკური მოვლენები, რომლებიც ამ ცოტა ხნის წინათ მოხდა, ბუნებრივია, დამაფიქრებელია, მაგრამ უთუოდ არსებობს ვითარებიდან გამოსვლის გზები. ვიმედოვნებ, რომ თქვენ და თქვენი კოლეგები პარლამენტში გამოძებნით გზებს ახალი გუნდის შესაქმნელად, რომელიც რეფორმისა და განახლების საკითხებს წარმატებით გაართმევს თავს.**

**პატივისცემით,**

**ტონი ბლერი“.**

**ამ წერილის კომენტარი ვთხოვეთ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს ზვიად ჭუმბურიძეს:**

— ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ტონი ბლერის წერილი საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძისადმი, იმის ნათელი მაგალითია, რომ საქართველო კვლავ რჩება ევროპული თანამეგობრობის ინტერესების სფეროში.

მაშინ, როდესაც მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოები ჩაბმული არიან ფართომასშტაბიან ანტიტერორისტულ აქციაში, იმ ქვეყნის ლიდერი, რომელიც ამ კამპანიის ერთ-ერთი ძირითადი ინიციატორია, არსებულ რთულ სიტუაციაშიც კი პოულობს დროს, რათა გამოხატოს თავისი მხარდაჭერა და თანადგომა ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტისა და მთელი საქართველოს, მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის მიმართ.

წერილში გამოთქმული ბრიტანეთის მზადყოფნა, რომ დაეხმაროს საქართველოს მის წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრაში, უაღრესად მნიშვნელოვანია. ის, რომ ბრიტანეთი მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და ხელშეუხებლობას, იმას ადასტურებს, რომ მსოფლიო გაერთიანება უდიდესი ყურადღებით ადევნებს თვალს იმ მოვლენებს, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან და ძალისხმევას არ იშურებს იმისათვის, რომ ეს პრობლემა პოლიტიკური გზით გადაიჭრას.

ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა წერილში გამოხატა თავისი უაღრესად პოზიტიური დამოკიდებულება ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტის მიერ აღებული კურსის მიმართ, რომელმაც დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა კორუფციას. ბატონი ტონი ბლერი იმედს გამოთქვამს, რომ საქართველოს ხელმძღვანელობა წარმატებით გაართმევს თავს ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებისა და განახლების პროცესს.

**საქინფორმი.**

საქმე

## დართლოსა და ომალოს სიცოცხლის ხიდი

**გუშინ მაღალმთიანი სოფლების დართლოსა და ომალოს დამაკავშირებელი ახალი ხიდი გაიხსნა, რომელიც ამ სოფლების მოსახლეობისათვის მარტო სამეურნეო მნიშვნელობისა როდია, ეს ხიდი მათთვის მთათუშეთის რაიონულ ცენტრთან, რაიონის დანარჩენ მოსახლეობასთან დამაკავშირებელი გზაცაა.**

ახალი, 33-მეტრიანი ლითონის კონსტრუქციის ხიდის მშენებლობა, სახელმწიფო მინისტრის გიორგი არსენიშვილის უშუალო პატრონაჟით, დაახლოებით ერთ თვეში განხორციელდა. სამშენებლო სამუშაოებს კი ძალისხმევა არ დააკლეს სახელმწიფო საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ბორის სარალიძემ და საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა, რომელმაც გაიღო ხიდის მშენებლობისათვის გათვალისწინებული — 200 ათასი ლარის ნახევარი, დანარჩენი სამუშაოები კი სახელმწიფო ბიუჯეტისა და საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის თანადაფინანსებით განხორციელდა.

საზეიმო ცერემონიაზე, რომელშიც ყოფილი სახელმწიფო მინისტრი გიორგი არსენიშვილი, კახეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებული ბიძინა სონღულაშვილი და საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელი ბორის სარალიძე მონაწილეობდნენ, დართლოელებმა ყურადღებისა და გულისხმიერებისათვის საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს გულითადი მადლობა გადაუხადეს.

გუშინვე, ლაგოდეხის რაიონის სოფელ ბაისუბანში კიდევ ერთი ხიდი გაიხსნა, რომელიც დაახლოებით ოთხი თვის წინათ წყალდიდობის შედეგად დაინგრა.

**საქინფორმი.**

კანონმდებლები

## პარლამენტში, კონსულტაციებზე

**გუშინ პარლამენტის თავმჯდომარესთან კონსულტაციებზე შეიკრიბნენ ფრაქციათა საბჭოს წევრები, რომელთაც ძირითადად საქართველოს პრეზიდენტის მიერ ჯერჯერობით არაოფიციალურად შემოთავაზებულ მინისტრთა ახალი კანდიდატურებისა და სამინისტროების სტრუქტურულ ცვლილებებზე იმსჯელეს.**

ფრაქციათა საბჭოს წევრების საერთო აზრით, დაუშვებელია მთავრობაში იმ ძველი სახეების დარჩენა, ვინც საზოგადოებაში კორუფციასთან ასოცირდება.

რაც შეეხება სტრუქტურულ ცვლილებებს, მათივე მოთხოვნით, ეს ცვლილებები ზედაპირული კი არა, სისტემური უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში არსებული საკადრო და პოლიტიკური კრიზისის დაძლევა შეუძლებელი გახდება.

როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ აღნიშნა, ამ საკითხებზე თითოეული ფრაქციის პოზიციას იგი დღეს საქართველოს პრეზიდენტს გააცნობს.

„ჩვენი თვითმიზანი პრეზიდენტის მიერ შემოთავაზებული ცვლილებების ჩაგდება არ გახლავთ. პარლამენტი ჯერჯერობით მხოლოდ ფრაქციათა საბჭოს პოზიციას აფიქსირებს, თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილებას პრეზიდენტი მიიღებს“, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

მისი თქმით, ამ საკითხებზე პრეზიდენტთან კონსულტაციები კვლავ გაგრძელდება.

**პარლამენტის პრესსამსახური.**

დერეფანი

## ენერგოპრობლემების დასაძლევად — მილიონი დოლარი კომპანია „ბი-პისაგან“

(პირველი გვერდიდან)

„სწორედ ამ შეხვედრისა და საუბრის შედეგია ის, რომ კომპანია „ბი-პიმ“ ზამთრის პერიოდში საქართველოში ენერგეტიკული პრობლემების დასაძლევად ფინანსური დახმარების გაწევა გადაწყვიტა“, — განუცხადა საქინფორმის კორესპონდენტს საქართველოში კომპანია „ბი-პის“ გენერალურმა მენეჯერმა ენდრიუ ბეინსმა ქვეყნის პრეზიდენტთან ედუარდ შევარდნაძესთან შეხვედრის შემდეგ.

— კომპანია „ბი-პის“ პრეზიდენტისა და საქართველოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის შეხვედრის შედეგად, გაიმართა კონსულტაციები ქართველ და „ბი-პის“ ექსპერტებს შორის, რის საფუძველზეც საქართველოსადმი ჩვენი კომპანიის დახმარების ყველაზე ოპტიმალურ ვარიანტად გამოიკვეთა ზამთარში ენერგეტიკული კრიზისის დასაძლევად ფინანსური დახმარების გაწევა, — განაცხადა ენდრიუ ბეინსმა, — ჩვენი კომპანიის მიერ გამოყოფილი მილიონი დოლარის დახმარება ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს „იუსაიდის“ შესაბამის — ზამთრის პერიოდში დახმარების პროექტის განსახორციელებლად გათვალისწინებულ 5 მილიონ დოლართან ერთად იქნება გამოყენებული. ეს თანხა, უწინარესად, განკუთვნილია უკიდურესად გაჭირვებული და სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ელექტროენერგიის ღირებულების საფასურის დასაფარად. ასევე ამ თანხით იქნება შეძენილი ეგრეთ წოდებული „ადრეული გაზი“, რომლის მეშვეობით გამომუშავდება ელექტროენერგია. ეს კი საშუალებას მისცემს ენგურჰესს ზამთრის პერიოდში შეინარჩუნოს წყლის გარკვეული დონე, რაც საქართველოსათვის საკმაოდ სტრატეგიულ რეზერვს წარმოადგენს.

— აღსანიშნავია მეორე სასიამოვნო სიახლეც საქართველოსათვის, რაც ქვეყნის მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს შეხვედრისას ვაცნობე, — განაცხადა საქართველოში „ბი-პის“ გენერალურმა მენეჯერმა, — ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და შაჰ-დენიზის პროექტებში მონაწილე ჩვენმა პარტნიორმა ნორვეგიის კომპანიამ „სტატ-ოილმაც“ გადაწყვიტა საქართველოს ზამთარში ენერგოპრობლემების შესამსუბუქებლად 300 ათასი ამერიკული დოლარი გამოუყოს. ამას დაემატება თავად ნორვეგიის მთავრობის მიერ გამოყოფილი 100 ათასი ამერიკული დოლარიც. ეს თანხა კი მოხმარდება გარდაბნის თბოელექტროსადგურის მაზუთის რეზერვუარების შეკეთებასა და სხვა ტექნიკური პრობლემების მოგვარებას, რათა ზამთრის პერიოდში ეფექტიანად იქნეს გამოყენებული თბოსადგურში არსებული ტექნიკური პოტენციალი.

— კომპანია „ბი-პი“ საქართველოში მრავალწლიან საქმიანობასა და რამდენიმე გრძელვადიანი პროექტის განხორციელებას ისახავს მიზნად. ამიტომაც ჩვენი კომპანიის სურვილი და მიზანია, გლობალური ენერგეტიკული პროექტების ფარგლებში საქართველოსთან კონსტრუქციული თანამშრომლობა, — აღნიშნა ენდრიუ ბეინსმა და დასძინა, რომ საქართველოს პრეზიდენტთან ედუარდ შევარდნაძესთან შეხვედრა ძალიან სასიამოვნო და საინტერესო ვითარებაში წარიმართა.

**საქინფორმი.**

### აშშ მზადაა 50 მილიონი დოლარი გაიღოს

ამშ მზადაა რეგიონული ორგანიზაცია სუუამის სატრანსპორტო-საკომუნიკაციო კორიდორების ფუნქციონირებისათვის დაახლოებით 50 მილიონი აშშ დოლარი გაიღოს, — უთხრა პრაიმ-ნიუსს ტრასეკას სამთავრობოთაშორისო კომისიაში საქართველოს ეროვნულმა მდივანმა გიორგი გოგიაშვილმა. მისი თქმით, ეს ციფრი აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლებმა სუუამის ქვეყნების (საქართველო, უკრაინა, უზბეკეთი, აზერბაიჯანი, მოლდოვა) სამინისტროებისა და უწყებების ბაქოში გამართულ სამიტზე დაასახელეს.

სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ აშშ მთავრობა მხარს უჭერს სუუამს, როგორც დემოკრატიულ ორგანიზაციას, — თქვა მან.

### ლტოლვილთა შემწეობების გაცემა გააუმჯობესეს

წლეულს საგრძნობლად გაუმჯობესდა ლტოლვილთა შემწეობების გაცემა. უნდა აღინიშნოს, რომ 2000 წლიდან გადმოსული 3-თვიანი გარღვევიდან დღეისათვის 2 თვის უკვე დაფარულია. წინასწარი პროგნოზით ამ ერთი თვის დავალიანებაც, რომლისთვისაც 3 მილიონ 400 ათასი ლარია საჭირო, ნოემბრის დამლევამდე დაიფარება.

### დამთავრდა ყურძნის კრეფის კამპანია

ბოლო მკრეფავებმა დატოვეს ვენახები. ქვეყანაში დამთავრდა რთველი —2001. „სამტრესტის“ დეპარტამენტის წინასწარი მონაცემებით, მოიკრიფა და გადასამუშავებლად გაიგზავნა 17320 ტონა ყურძენი. აქედან 11 ათასი ტონა შავი ჯიშის ყურძენია.

### ქართული ღვინოები — 17 ქვეყანაში

რუსეთი უწინდებურად ლიდერობს ქართული ღვინოების იმპორტში. საქართველოდან ექსპორტირებული მთელი ალკოჰოლიანი პროდუქციის 95 პროცენტი რუსეთის ფედერაციის ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების ბაზრებზე გადის.

გაიზარდა ევროპის ქვეყნებში გაგზავნილი პროდუქციის მოცულობა.

„სამტრესტის“ მონაცემებით, წლეულს 9 თვეში ექსპორტირებული იყო მილიონ დეკალიტრზე მეტი ღვინო და ღვინის მასალა. ქართული ღვინოების შემსყიდველ ქვეყანათა რიცხვმა 17-ს მიაღწია.

**ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა და პრაიმ-ნიუსმა.**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

ვიზიტი

# „როგორც ცენტრალური ევროპის სახელმწიფო, პოლონეთი უკვე ასრულებს აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის ერთ-ერთი დამაკავშირებელი რგოლის ფუნქციას“

## საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის შესავალი სიტყვა

(პირველი გვერდიდან)

მათ შორის განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ისეთი სახელები, როგორიც არის სულეიმან დემირელი, ზბიგნევ ბჟეზინსკი, ჯეიმს ბეიკერი, ჯორჯ შულცი, ბუტროს გალი და ფედერიკო მაიორი. მათი მონაწილეობით ცენტრში იმართებოდა საინტერესო დისკუსიები, რომლებსაც ფართო რეზონანსი ჰქონდა როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

ჩვენს დღევანდელ სტუმარს პოლონეთის პრეზიდენტს ალექსანდრე კვასნევსკის ფასდაუდებელი წვლილი შეაქვს ახალი ევროპის ჩამოყალიბებაში, მისი ახალი არქიტექტურის მშენებლობის დასრულებაში.

ბატონი კვასნევსკი ერთი იმ ევროპელ ლიდერთაგანია, რომლებიც ღირსეულად და მომზადებულები შეხვდნენ ახალი დროის – ოცდამეერთე საუკუნისა და მესამე ათასწლეულის მოთხოვნებს.

მისი დინამიზმი, აქტიური, კონსტრუქციული საგარეო და საშინაო პოლიტიკა მიზნად ისახავს დიდი პოლონელი ხალხის ჰუმანისტური, დემოკრატიული მონაპოვრების შენარჩუნებასა და განმტკიცებას, ევროპის თანამეგობრობის, როგორც ზოგადსაკაცობრიო ცივილიზაციის ერთ-ერთი ბურჯის იდეების განმტკიცებას.

პოლონეთი გასული საუკუნის ბობოქარ და ყველაზე სახიფათო პერიოდში ტოტალიტარიზმთან მშვიდობიანი დემოკრატიული დაპირისპირების აკვანი გახდა. მან ოკუპირებული ქვეყნისთვის ურთულესი, ფრიად საყურადღებო გზა გაიარა და მიაღწია იმას, რომ ევროპის გაერთიანების სრულუფლებიანი წევრი გახდა, ამავე დროს შეინარჩუნა მყარი, ორივე მხარისთვის ხელსაყრელ პატივისცემაზე აგებული ურთიერთობა ახალ, დემოკრატიულ რუსეთთან. ეს მით უმეტეს საგულისხმოა ჩვენთვის, რადგან ამავე დროს პოლონეთი ნატოს წევრი და ევროპის კავშირში შესვლის ერთ-ერთი პირველი კანდიდატი გახლავთ.

როგორც ცენტრალური ევროპის სახელმწიფო, პოლონეთი უკვე ასრულებს აღმოსავლეთი და დასავლეთი ევროპის ერთ-ერთი დამაკავშირებელი რგოლის ფუნქციას.

ვიმედოვნებთ, რომ პოლონეთის აქტიური თანამშრომლობა ჩვენს დიდ და ერთგულ მოკავშირესთან, მოძმე უკრაინასთან, ბალტიისა და შავი ზღვისპირეთის სახელმწიფოებთან, საერთოევროპულ პროცესებში სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის (მათ შორის სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების) ქვეყნების ჩაბმის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი გახდება.

ამ პროცესში ისტორიულად მეგობარი პოლონელი ხალხის მხარდაჭერისა და თანადგომის იმედი გვაქვს, რომელთანაც ძალზე ბევრი რამ აკავშირებს ქართველებსა და საქართველოს.

დღეს პოლონეთი ევროპის ერთი იმ ქვეყანათაგანია, რომელიც ყველაზე დინამიკურად ვითარდება.

სულითა და გულით მივესალმებით მის წარმატებებს და პრეზიდენტ კვასნევსკის სახით ვუსურვებთ პოლონელ ხალხს შემდგომ წარმატებებს პროგრესისა და ყოველმხრივი აყვავების გზაზე მთელი ევროპის, ყველა ევროპელი ხალხის საკეთილდღეოდ.

ბალტია-შავი ზღვის სივრცის ქვეყნების თანამშრომლობის განვითარებასა და განმტკიცებაში განსაკუთრებული წვლილის გათვალისწინებით, ახალი, ინტეგრირებული ევროპის მშენებლობაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის, აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის სამეცნიერო საბჭომ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, რომ პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი, მისი აღმატებულება ბატონი ალექსანდრე კვასნევსკი აირჩიოს აღმოსავლეთ-დასავლეთის ცენტრის საპატიო უცხოელ წევრად, რაც დადასტურებულია დიპლომითაც, რომელსაც სიამოვნებით გადმოგცემთ.

საქინფორმი.

სტუმარი

## პრეზიდენტის მეუღლე — პოლონურ საგანმანათლებლო ცენტრში

13 ნოემბერს პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის მეუღლემ იოლანტა კვასნევსკამ პოლონური საგანმანათლებლო ცენტრი მოინახულა.

აღნიშნული ცენტრი 1997 წელს დაარსდა და როგორც მისმა დირექტორმა მონიკა პაველკამ აღნიშნა, იგი ხელს უწყობს საქართველოში მცხოვრები პოლონური წამოშობის ყველა ბავშვსა და მოზარდს, ეზიაროს პოლონეთის ლიტერატურას, კულტურასა და ტრადიციებს.



ცენტრის აღსაზრდელებმა სტუმარს თავიანთი შემოქმედება გააცნეს.

– მოხარული ვარ, რომ თბილისში არსებული პოლონური საგანმანათლებლო ცენტრის ძალისხმევით პოლონური ფესვების მქონე ახალგაზრდები არ ივიწყებენ იმ ენას, რომელზეც მათი წინაპრები ლაპარაკობდნენ,– განაცხადა ქალბატონმა იოლანტა კვასნევსკამ.

პოლონეთის პრეზიდენტის მეუღლემ საჩუქრები გადასცა პოლონურ საგანმანათლებლო ცენტრს და აღნიშნა, რომ განსაკუთრებით ნიჭიერ ბავშვთა ფონდიდან უზრუნველყოფს ცენტრის აღსაზრდელთა პოლონეთში სასწავლებლად გამგზავრებას.

საქინფორმი.

# „ევროპისა და მსოფლიო უშიშროების განმტკიცების ფაქტორები“

## პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ალექსანდრე კვასნევსკის გამოსვლა

(პირველი გვერდიდან)

როცა ამას ვამბობ, ბატონო პრეზიდენტო, მხედველობაში მაქვს თქვენი პოლიტიკური ბიოგრაფიის მთელი ათწლეულები. ადრე თქვენ გააოცეთ მსოფლიო როგორც „გარდაქმნის“ პოლიტიკის თანაავტორმა, როგორც მსოფლიოს დაძაბულობის შენელებისა და ნდობის არქიტექტორმა, როგორც ხალხთა თავისუფლებისა და თვითგამორკვევის ქომაგმა. პოლონეთმა გარკვეულწილად გამოიყენა თქვენი გამოცდილება, როცა ისტორიული ცვლილებები მოახდინა 1989 წელს. ამჟამად თქვენ დაიმსახურეთ აღიარება, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის დამცველმა, როგორც პროევროპული კურსის მესაჭემ, როგორც რეგიონში და მთლიანად მსოფლიოში თანამშრომლობის მომხრემ. პოლონეთში აღტაცებას გამოთქვამენ საქართველოს წარმატებათა გამო და სულითა და გულით უსურვებენ ქართველ ხალხს კეთილდღეობას.

პატივცემულო ქალბატონებო და ბატონებო,

კავკასიის რეგიონი გეოგრაფიულად მიაჩნიათ ტერიტორიად, სადაც ევროპა მთავრდება. მაგრამ, ისტორია გვიკარნახებს სრულიად ახალ მიდგომას – აქ არის ევროპის საწყისი, აქ მკვიდრდებოდა მისი ცივილიზებული საფუძვლები. ამის დადასტურებაა საქართველოს ისტორია. განსაკუთრებით საოცარი იყო „ოქროს ხანად“ წოდებული პერიოდი, დავით მეოთხე აღმაშენებლის, გიორგი მესამის, მეფე თამარის მართვა-გამგეობის დროს, როცა იქმნებოდა ისეთი მარგალიტები, როგორიცაა შოთა რუსთაველის ან იოანე პეტრიწის პოემები. ის, ვისაც მოეხსენება ქართული ისტორიისა და კულტურის მთელი სიმდიდრე, მისი განსაკუთრებულობისა და ამასთან უნივერსალობის შთაბეჭდილება რჩება.

ბედმა საქართველოს ტრაგიკული მომენტებიც არგუნა. მაგრამ ქართველებისათვის მუდამ დამახასიათებელი იყო დაუმორჩილებლობის, თავისუფლების სიყვარულის, სუვერენული სახელმწიფოს იდეისადმი დამოკიდებულების სულისკვეთება. პოლონელებისათვის კარგად არის გასაგები ასეთი გრძნობები და მისწრაფებანი. ჩვენი ისტორია ბევრ რამეში ერთმანეთს ემთხვევა. საქართველო თანამიმდევრულად და გაუნხრელად განამტკიცებს დღეს თავის დამოუკიდებლობას, თუმცა სულაც არ არის ეს ადვილი გზა, რომელსაც ელის საფრთხე და კონფლიქტები. პოლონეთი მტკიცედ აღგას აზრს, რომ პატივი უნდა ვცეთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ჩვენ აფხაზეთის კონფლიქტისა და სხვა კრიზისული სიტუაციების მშვიდობიანი გადაწყვეტის მომხრე ვართ. იმედი გვაქვს, რომ საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში გამოიძებნება დავის მონაწილე თითოეული მხარისათვის მისაღები მშვიდობიანი თანაარსებობის ფორმები. სწორედ ასეთი იყო ჩვენი პოზიცია, როცა პოლონეთი თავმჯდომარეობდა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ძალისხმევას კონფლიქტის თავიდან აცილების საქმეში. ასეთია ჩვენი მიდგომა დღესაც. თანხმობის მისაღწევად გარკვეული იმედები დაკავშირებულია, უნდა ითქვას, თვითმმართველობის განვითარებასთან.

საქართველო, მისი პრობლემები, მისი წარმატებანი, მისი კეთილსასურველი განვითარება პოლონეთსა და პოლონელებში მუდამ ცხოველმყოფელ გრძნობებს გამოიწვევენ. თუმცა რუკის მიხედვით შორეულია, მაგრამ საქართველო იყო და არის პოლონეთისათვის მეტად ახლობელი ქვეყანა. ჩვენი ბედ-იღბალი არაერთგზის დაკავშირებია ერთმანეთს. კავკასიასთან და საქართველოსთან, კერძოდ XIX-XX საუკუნეებში დაკავშირებული იყო ასიათასობით პოლონელის ბიოგრაფია. მე მხოლოდ რამდენიმეს დავასახელებ: ბოლესლავ სტატკოვსკი – საქართველოს სამხედრო გზისა და ამიერკავკასიის რკინიგზის მშენებელი, იუზეფ ჰოდკო – კავკასიისა და საქართველოს პირველი რუკების ავტორი, ვლადისლავ ბაგრანოვსკი – ქართული ფლორის მცოდნე, ბოტანიკური ბაღის დამაარსებელი სოხუმში, ზიგმუნდ ვალიშევსკი – შესანიშნავი მხატვარი – კოლორისტი, ქართველი ოსტატის ლადო გუდიაშვილის მეგობარი. დღესაც, მარტო თბილისში ცხოვრობს პოლონური წარმოშობის 3 ათასამდე კაცი. ჩვენ ასეთმა სისხლისმიერმა კავშირმა გაგვაერთიანა. ამბობენ, რომ თითქმის ყოველი მეათე თანამედროვე ქართველს პოლონელი ბებია ან დიდედა ჰყავდა. ასევე, ქართველთა ბედი პოლონეთში მთელი ეპოპეაა: გიორგი ერისთავიდან – ვილნიუსის უნივერსიტეტის სტუდენტიდან და მიცკევიჩის ნაწარმოებთა ბრწყინვალე მთარგმნელიდან მოყოლებული, 1921 წლის შემდგომ მრავალრიცხოვანი ემიგრაციული ორგანიზაციებითა და ქართველებით დამთავრებული, რომლებიც ომამდელ პოლონეთის ჯარში მსახურობდნენ.

პოლონეთი აფასებს საქართველოს როლს როგორც კავკასიაში – ევროპისა და აზიის ოდინდელ კარიბჭეში, ისე ევროპულ სივრცეში. საქართველო რეგიონში სტაბილურობას ამკვიდრებს. იგი თანამშრომლობს რეგიონის სხვა სახელმწიფოებთან, მაგალითად, სუუამის ჯგუფის ფარგლებში. იგი განამტკიცებს დემოკრატიის განვითარებას – 2000 წელს, კანონით გათვალისწინებულ ვადებში, საქართველოში განხორციელდა სრული საარჩევნო ციკლი, რომელმაც მოიცვა თვითმმართველობის ორგანოების, პარლამენტისა და პრეზიდენტის არჩევნები. ევროპისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საკომუნიკაციო და ენერგეტიკულ პროექტებს, კასპიის ზღვიდან კონტინენტის დასავლეთისაკენ, რომლებიც წარმოუდგენელია საქართველოს აქტიური მონაწილეობის გარეშე.

ქალბატონებო და ბატონებო,

პოლონეთსა და საქართველოს, თავიანთი ისტორიული გამოცდილების გამო კარგად ესმით, თუ რაოდენ დიდი სიკეთეა უშიშროება და სტაბილურობის შეგრძნება. ამ სიკეთით სიხარულის უფლება რომ გვქონდეს, არ უნდა დავივიწყოთ, რომ არ არსებობს უშიშროების უვადო გარანტიები. მსოფლიო ამაში მტკივნეულად დარწმუნდა 2001 წლის 11 სექტემბერს ნიუ-იორკისა და ვაშინგტონის ტრაგედიებით შემრწუნებული. გლობალური და ევროპის უშიშროების საკითხები მკვეთრად დადგა წინა პლანზე. ჩვენ იძულებული ვხდებით დავძლიოთ მუქარისა და ყოყმანის შეგრძნება. ამიტომ იმედითა და ნდობით ვეკიდებით ყოველივე იმას, რაც ისტორიით არის შემოწმებული. ნატომ და ევროკავშირმა დიდი წარმატებანი მოიპოვეს კოლექტიური უშიშროების განმტკიცების საქმეში. ამჟამად ეს სტრუქტურები სტაბილურობის ბურჯს წარმოადგენენ.

აი, უკვე ორი წელია, რაც პოლონეთი ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი გახდა. ჩვენ ასევე ვაწარმოებთ მოლაპარაკებას ევროკავშირთან. გვაქვს შანსი მისი წევრი გავხდეთ 2004 წლის დამლევს. ამავე დროს ნატოსთან და ევროკავშირთან გვაერთიანებს ურთიერთმოქმედების ბევრი ფორმა. თქვენ იხილავთ სტრატეგიულ არჩევანს ამ სტრუქტურებში წევრობისადმი მისწრაფების შესახებ.

ბოლო წლების მანძილზე თვალსაჩინოდ ფართოვდება დასავლეთთან საქართველოს კონტაქტები. ვფიქრობ, პოლონეთის გამოცდილება და პოლონეთის თვალსაზრისი შეიძლება თქვენთვის საინტერესო იყოს.

ჩვენ იმის მომხრე ვართ, რომ ნატოს ვხედავდეთ უფრო ფართო პლანით, ვიდრე უშიშროების საკითხებია. ალიანსი მარტო გუმაგი კი არა, არამედ მშენებელიც არის. უნდა აღვნიშნოთ ნატოს ის დიდი როლი, რომელიც შეასრულა ევროპის გაერთიანებაში, გათიშულობის აღმოფხვრაში, ურთიერთნდობის განმტკიცებაში. ნატოს მეოხებით ევროპა უფრო სტაბილური და გამჭვირვალე გახდა, მეტია მასში პარტნიორობა და თანამშრომლობა.

ყოველივე ეს ეხმიანება პოლონეთის საგარეო პოლიტიკის მიზნებს. გვსურს, რათა წინანდელი იალტის დანაწილება ერთხელ და სამუდამოდ გაქრეს ევროპის რუკიდან. ჩვენ იმ ევროპის მომხრე ვართ, რომელიც ერთიანდება და ინტეგრირდება. პოლონეთი მუდამ იყო კონტინენტის შუაგულის ქვეყანა, სადაც ასწლეულების მანძილზე ერთმანეთს ავსებდნენ აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურები. აქ ხვდებოდნენ სხვადასხვა ეროვნებათა ადამიანები, უკავშირდებოდნენ სხვადასხვა ტრადიციები და ისტორიული გამოცდილება. აქ ხდებოდა ბრძოლები. საკმარისად იყო დაძაბულობა და კონფლიქტები. მაგრამ იყო თანხმობაც და მოთმინებაც, თანაარსებობაც. თავის საუკეთესო ტრადიციების გათვალისწინებით, პოლონეთი დღეს არის დაზავების, პარტნიორობისა და ურთიერთმოქმედების ფაქტორი ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში. განსაკუთრებულ ფაქტორად მიგვაჩნია ის, რომ წილად გვხვდა ალიანსის აღმოსავლეთ საზღვრებზე მდებარე სახელმწიფოს როლი. ჩვენ ვესაზღვრებით რუსეთს, უკრაინასა და ბელარუსს – სახელმწიფოებს, რომლებიც ნატოში შესვლას არ ესწრაფვიან. ჩვენი სამოკავშირეო ვალდებულება ნატოში არის „პოლონეთის სპეციალობა“ – განავითაროს საუკეთესო ურთიერთობანი ამ აღმოსავლელ მეზობლებთან. ჩვენ არ გვინდა ვიყოთ ფრონტისპირა სახელმწიფო. ჩვენთვის გასაგებია აღმოსავლელი მეზობლების მოლოდინი, იმედები და შიში, ჩვენ ვიცნობთ მათს ფსიქოლოგიასა და მენტალიტეტს. ეს არის დიდი კაპიტალი, რომელიც ნატოში შევიტანეთ. მას ვიყენებთ მუშაობაში, რომელიც ხორციელდება ნატოს მუდმივი საბჭოს, რუსეთის, აგრეთვე, ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს ფარგლებში. დროთა განმავლობაში სულ უფრო მეტად მივიღებთ მონაწილეობას ალიანსის საააღმოსავლეთო პოლიტიკის ფორმირებაში.

ჩვენ მხარს ვუჭერთ ნატოს „ღია კარის“ იდეას. იმედი გვაქვს, რომ 2002 წელს კვლავ გაფართოვდება ნატო – და ეს საბოლოო აკორდი კი არა, არამედ შემდგომი წლებისათვის გათვალისწინებული პროცესის ნაწილი იქნება.

მსურს ხაზგასმით აღვნიშნო, რომ პოლონეთი ნატოში წევრობას არ ეკიდება სტატიკურად, როგორც მიღწეულ მიზანს. ალიანსთან შეერთებამ მარტო პოლონეთის უშიშროების საკითხი როდი დახურა – მან დასაბამი მისცა ახალ ეტაპს, წამოგვიჭრა ახალი პრობლემები. ჩინებულად გვაქვს შეგნებული, რომ ჩვენ ვართ იმ ალიანსის წევრები, რომელიც იცვლება. ამჟამად ნატო აღარ არის ისეთი ორგანიზაცია, როგორიც იყო „ცივი ომის“ დროს, და ეს მოხდა არა მარტო მისი გაფართოების გამო. ამჟამად მიმდინარეობს და კვლავაც გაგრძელდება ნატოს წინაშე დასახული ამოცანების ხელახალი გააზრება. ახალი პრობლემაა მსოფლიო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა. იბადება, აგრეთვე, კითხვა: რაზე უფრო უნდა გამახვილდეს ყურადღება – ალიანსის სამხედრო თუ პოლიტიკურ განზომილებაზე. დასახული გარდაქმნები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მავანნი ეჭვქვეშ აყენებენ მომავალში თვით ნატოს არსებობასაც კი. ვფიქრობ, ამის საფუძველი არ არის. უახლოესი 10-20 წლის პერსპექტივისათვის არ გვესახება არც ისეთი ძალები და არც სტრუქტურები, რომლებსაც შეეძლებათ შეცვალონ ალიანსი. უშიშროებისა და სტაბილურობის განმტკიცების სფეროში ნატო კვლავ დარჩება ევროპაში, ევროატლანტიკურ სივრცესა და მთლიანად მსოფლიოში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფიგურად. პოლონეთი ამას კმაყოფილებით აღნიშნავს, რადგან ალიანსი კარგ სამსახურს უწევს საერთაშორისო გაერთიანებას.

პატივცემულო ქალბატონებო და ბატონებო,

ძნელია, აგრეთვე, გადაჭარბებით შევაფასოთ ის წვლილი, რომელიც უშიშროების სფეროში შეაქვს ევროპის კავშირს. ყველაზე ხშირად ამ უზარმაზარ ინსტიტუტს მოიაზრებენ როგორც ეკონომიკურ განზომილებას, ამავე დროს ნაკლებად შეინიშნება მისი მასტაბილიზებელი როლი ევროპასა და მთელ მსოფლიოში. როგორც ცნობილია, ევროკავშირს, მართლაც, დასაბამი ჩაეყარა ეკონომიკით – თავდაპირველად ეს იყო ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება, მაგრამ მას საფუძვლად ყოველთვის ედო დიდი პოლიტიკური ჩანაფიქრი, თვალნათლივ რომ ვითარდებოდა ათწლეულების განმავლობაში. ის, რაც ევროპის კავშირმა მისცა დასავლეთ ევროპას მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ახლა, „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ, მან შეუძლია მისცეს მთელ ევროპას.

ოდესღაც, „რკინის ფარდიდან“ ჩვენ მხოლოდ მეგვეძლო თვალყური გვედევნებინა, თუ ევროპის გაერთიანებაში როგორ ლაფავდა სულს ძველი ნაციონალიზმი, მტრობა და ურთიერთწყენა; როგორ ვითარდება შერიგება და მჭიდრო, თუმცა არა იძულებითი თანამშრომლობა. დღეს, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში 1989 წელს დაწყებული დიდ ცვლილებათა შემდეგ, ჩვენ შეგვიძლია გავხდეთ ამ პროცესის მონაწილენი. სწორედ ევროპის კავშირის გაფართოება უნდა გახდეს ის ფაქტორი, რომელიც ყველაზე სრულად და საბოლოოდ მოაშუშებს „რკინის ფარდისაგან“ მიყენებულ იარას, როგორც სიმბოლური, ისე პრაქტიკული მნიშვნელობით.

ევროპის დიდ სივრცეში მარტო ადამიანების, იდეებისა და საქონლის თავისუფალი ტრანსფერტისათვის აღმართული საზღვრები როდი აღმოიფხვრება. უწინარეს ყოვლისა, მჭიდრო ურთიერთმოქმედების, სამოკავშირეო სოლიდარობის წყალობით, შეიძლება შერბილდეს ის ცივილიზებული დაბრკოლება, რომელიც ჯერჯერობით კიდევ ჰყოფს კონტინენტს. ალბათ, ეს იმდენად ხელშესახები აღარ არის, როგორც ეს ათიოდე წლის წინათ იყო. მაგრამ ჩვენ გვსურს, რომ იგი მთლიანად აღმოიფხვრას. მხოლოდ მაშინ დადგება კონტინენტის ფაქტობრივი გაერთიანების ხანა. დასავლეთი და აღმოსავლეთი, უწინარეს ყოვლისა, გეოგრაფიულ ცნებად იქცევა. ისინი აღარ მონიშნავენ დაყოფას მდიდრებად და ღარიბებად, განვითარებისა და უძრაობის სფეროებად. მხოლოდ მაშინ შევძლებთ ჩვენ ვილაპარაკოთ მტკიცე სტაბილურობაზე მთელ ევროპაში. მაშინ ევროპასაც მიეცემა ახალი ძალები, ახალი შესაძლებლობანი საიმისოდ, რომ უფრო მტკიცედ გაუსვას ხაზი თავის პოზიციას კონკურენტუნარიან სამყაროში, ჩაებას პოლიტიკურ დიალოგში სხვა ცივილიზაციებთან, რათა ეკონომიკური, საკომუნიკაციო და ენერგეტიკული თანამშრომლობით მიილტვოდეს სხვა კონტინენტებისაკენ.

როცა ვგულისხმობთ ევროპის კავშირის მასტაბილიზებელ როლს, არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ იგი, ისევე როგორც ნატო, იდეათა ერთობას წარმოადგენს. ევროპის კავშირი არის, აგრეთვე, ყველასათვის სავალდებულო სტანდარტების სივრცე, არა მარტო სამეურნეო და ფინანსური სტანდარტებისთვის, არამედ, უწინარეს ყოვლისა, იმ სტანდარტებისთვისაც, რომლებიც განეკუთვნება სამოქალაქო თავისუფლებას, ადამიანის უფლებებს, უმცირესობათა უფლებებს. სწორედ ამიტომ კავშირს სრული უფლება აქვს ჩამოყალიბდეს, როგორც უშიშროებისა და სამართლიანობის საერთო სფერო. ისწრაფვის რა ევროკავშირისაკენ, პოლონეთი დიდად აფასებს სამოკავშირეო ორგანიზმში დანერგილ ღირებულებათა ამ იერარქიას. ჩვენ ვხედავთ, რომ კავშირის მიერ მონიშნული სტანდარტების უმთავრესი მიზანია ევროპაში დემოკრატიული გარდაქმნები, ისინი იმპულსს აძლევენ სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას, უწყობენ ხელს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას.

ბოლო წლები ის დროა, როცა ევროპის კავშირი უფრო მეტად გამოკვეთს თავის როლს კოლექტიური უშიშროების სფეროში. იქმნება კავშირის საერთო-საგარეო პოლიტიკა. დასახულია შეიქმნას ევროპის სწრაფი რეაგირების ძალები, რომელშიც 50 ათასი ჯარისკაცი იქნება. ჩნდება ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს შორის უფლებამოსილების, პასუხისმგებლობისა და ურთიერთმოქმედების დაყოფის საკითხი. ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი ქვეყნებისათვის, როგორიც არის პოლონეთი, რომელიც უკვე გაწევრიანდა ნატოში, მაგრამ ევროკავშირში გაწევრიანებას მხოლოდ ესწრაფვის.

ევროპის გაერთიანება მუდამ ახორციელებს მნიშვნელოვან ევოლუციას. ამაშია მისი ძალა და ქმედობაუნარიანობა. იგი ვითარდება ინტეგრაციის მარტივი ფორმებიდან ისეთ უფრო რთულ ფორმებამდე, როგორიც არის ეკონომიკური და სავალუტო კავშირები. მოკავშირე სახელმწიფოებს შორის ორგანული კავშირურთიერთობა წლითიწლობით მტკიცდება. მეტი დინამიკა ენიჭება დისკუსიას იმის თაობაზე, თუ როგორი უნდა იყოს კავშირის მომავალი პოლიტიკური იერსახე – ისევ სამთავრობათაშორისო, თუ უკვე – ფედერაციული, ხელისუფლების ისეთი გარკვეული ვარიანტით, რომელსაც სრულიად ევროპულ არჩევნებზე აირჩევენ? იმის მიუხედავად, თუ რა გზით განვითარდება კავშირის შემდგომი ბედი, ერთი რამ ცხადია – 21-ე საუკუნეში ევროპის განვითარების რიტმს განსაზღვრავს ინტეგრაცია.

ქალბატონებო და ბატონებო,

ამ განსჯის დასასრულს, მსურს კიდევ ერთხელ გავუსვა ხაზი რამდენიმე მნიშვნელოვან მომენტს. კერძოდ, მიმაჩნია, რომ ნატოსა და ევროკავშირს შეაქვთ არსებითი წვლილი ევროპისა და მსოფლიოს უშიშროებაში უკვე თავიანთი არსებობითაც კი. რომ არ იყოს კავშირი, რომ არ იყოს ევროპის ერთობის იდეა, ევროპული სცენა სულ სხვაგვარი იქნებოდა. ჩვენ კვლავ საქმე გვექნებოდა გავლენათა დაბალანსების პოლიტიკასთან, სახელმწიფოთა მეტოქეობასთან, ხოლო იმ ქვეყნებს, რომლებიც თავს აღწევენ იალტის აჩრდილს, არ ექნებოდათ თავიანთ მისწრაფებებთან შეხების წერტილები.

და მეორეც, მსურს შეგახსენოთ, რომ ნატო და ევროპის კავშირი, პრინციპში, ავსებენ ერთმანეთს. და არ შეიძლება ვიფიქროთ, თითქოს ერთ-ერთი ამ ორგანიზაციის წევრობა იყოს მეორე ორგანიზაციაში გაუწევრიანებლობის კომპენსაცია. ესეც კიდევ ერთხელ შეგვახსენებს როგორც ტრანსატლანტიკურ კავშირებს, ისე იმ მტკიცე როლს, რომელსაც ევროპის უშიშროებისათვის ასრულებს ამერიკის შეერთებული შტატები.

მსურს კიდევ ერთი რამ აღვნიშნო: კარგად მაქვს შეგნებული, რომ ჩემს მიერ განხილული მრავალი საკითხი უნდა დავინახოთ ახალი რაკურსით. შეუძლებელია არ შევნიშნოთ, რომ სამყაროს თავზე გროვდება შავი ღრუბელი. ჩვენ ჯერჯერობით არ ვიცით, თუ რა სინამდვილეს მალავს ნიუ-იორკის მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ნანგრევები.

იბადება კითხვა იმის თაობაზე, თუ რამდენად შეიძლება შეიცვალოს ნატოსა და ევროპის კავშირის როლი მსოფლიო უშიშროების სისტემაში 11 სექტემბრის შემდეგ. მომავალში რა პასუხს გავცემთ ისეთ გამოწვევას, როგორიც არის ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა? რამდენად იქნება შენარჩუნებული ალიანსისა და კავშირის ერთობა? ჩვენ ვხედავთ, რომ შეერთებული შტატები ნატოს ფარგლებს გარეთაც ეძებს მოკავშირეებს საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

მდგომარეობა საგანგებოა და საგანგებოცაა თავის დაღწევის ღონისძიებანი. ნატო და ევროპის კავშირი კვლავ რჩებიან ევროპისა და მსოფლიო უშიშროების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს არქიტექტორებად. წარსულით ნაწრთობთ ძალუძთ ეფექტიანად შექმნან სასიკეთო მომავალი, განამტკიცონ ნდობა, აღმოფხვრან ბარიერები. ხელი შეუწყონ იმას, რომ მსოფლიოში ადამიანებს შორის გაიდოს სულ უფრო მეტი ხიდი და რაც შეიძლება ნაკლები კედელი იყოს აღმართული. ასეთი მსოფლიო სურთ პოლონეთსა და საქართველოს. მოდით, ვიღონოთ ყველაფერი საიმისოდ, რომ 21-ე საუკუნე გახდეს ხორცშესხმული იმედების ჭეშმარიტი ხანა.

გმადლობთ, ყურადღებისათვის.

გაუტიეს!

# „Москва, звонят колокола“...

(პირველი გვერდიდან)

რას გვერჩით, იური ბიძია? ან საკუთარ თავს რას ერჩით? ხომ ნახეთ, თქვენი პოლიტიკური „გაჩალიჩება“ როგორი ფიასკოთიც დამთავრდა? თქვენგნით ნასროლი ლოზუნგი – „Ельцин, Россия, победа!“ – დიდ მარცხად რომ შემოგიბრუნდათ პოლიტიკური ცირკის სარბიელზე?

არ გაპატიეს პრეზიდენტობის ამბიციები, საკუთარ ქუდქვეშ დაგაბრუნეს, სხვაგვარად – დაგახურეს!

ან ის რა უბედურება იყო, უკრაინას რომ ლამის ომი გამოუცხადეთ სევასტოპოლის გამო?

იქაც დაგახურეს!

ჭკვიანი კაცი გაჩერდებოდა, მიხვდებოდა, რომ პოლიტიკა ცოტა სხვა რამ არის, ვიდრე ძროხის „ლეპიომკა“ კეპკის დაკოსება, ფეხბურთის თამაშის ინსცენირება სტადიონზე და რომელიღაც ესტრადაზე, რომელიღაც მსახიობის საიუბილეო საღამოზე რომელიღაც მოტივის დამღერება, ვერ ვიტყვი, სასიამოვნო ხმაზე-მეთქი.

ჩვენში ამას ტაკი-მასხარობას ეძახიან. სერგოს ჰკითხეთ, ორჯონიკიძეს, საქართველოში მეტად პოპულარული ბორის ნიკოლსკის კოლეგას, და იგი მოგითარგმნით, რას ნიშნავს ცალ-ცალკე ამ კომპოზიტის შემადგენელი ნაწილები. მაგრამ პოლიტიკაში ასეთი მოქმედება არა მარტო სასაცილოა, არამედ „ვრედნია“.

არ არის, იური მიხაილოვიჩ, მოსკოვი მესამე რომი, ყველა გზა მისკენ რომ მიდიოდეს. მოსკოვი დედაქალაქია, მართალია, დიდი სახელმწიფოსი, მაგრამ მაინც ერთი სახელმწიფოსი, რომელსაც თავისი საზღვრები აქვს. და, როგორც ვიცით, არც მესამე და არც მეოთხე „მოსკოვსკაია კოლცევაიას“ ზონაში საქართველო მოქცეული არ არის. ასეთი რამ მხოლოდ ავადმყოფური ფანტაზიის ნაყოფი შეიძლება იყოს, ან გომბეშოს გაბერილობის შედეგი, იმ გომბეშოსი, კამეჩის ოდენად გასივება რომ განიზრახა. ხომ გახსოვთ, რაც დაემართა?

არავითარი მინიშნება, სიტყვამ მოიტანა.

მოსკოვს მიხედეთ, მოსკოვს, ყოველ დღე კაცს რომ გიკლავენ მართლა ბანდიტები და მაფიოზების დაქირავებული ქილერები. ჩვენ ხომ არ ვამბობთ მაფიოზურ სტრუქტურებში გათქვეფილიაო მოსკოვის ხელისუფლება?

არა. შეგვიძლია ვთქვათ? შეგვიძლია! მაგრამ არ ვამბობთ. რადგან ჩვენი საქმე არ არის.

თუმცა გული გვწყდება, რადგან ამ ქალაქთან ბევრი სასიამოვნო მოგონება გვაკავშირებს და ბევრი მეგობარიც გვყავს იქ, სადაც ყოველთვის იყო: „Московских окон негасимый свет“. ალბათ, დარჩა კიდეც.

მაშ, რა თქვენი გასარჩევია „საქართველოს უდიდესი ეკონომიკური ჩავარდნები“, რომლებიც თურმე საქართველოს ხელისუფლების მცდარი პოლიტიკის შედეგია ბოლო 11 წლის განმავლობაში?!

აბა, დედა დაიფიცეთ, იური მიხაილოვიჩ!

თუ დედას მხოლოდ სხვა კონტექსტში ხმარობენ თქვენთან?

რუსეთის ეკონომიკური კრიზისი რომ არა, რომ არა „თქვენი შავი ხუთშაბათი“ (თუ პარასკევი?), დეფოლტი და ა. შ., რამაც მოცელა ჩვენი მეურნეობა და ფინანსები, საქართველოს ეკონომიკა აღმავლობის გზით მიდიოდა და პოსტსაბჭოურ სივრცეში პირველ ადგილზე იმყოფებოდა.

აღარ გახსოვთ?

თუ ეს კრიზისი თქვენ პირადად არ შეგხებიათ?

ლუჟკოვის მტკიცებით „საქართველოს ხელმძღვანელთა ნაწილი მხოლოდ საკუთარ თავსა შველის და მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს“. ლუჟკოვს თუ დავუჯერებთ, მხოლოდ ზოგიერთთა ხვედრია „იფიქროს საკუთარ ხალხზე და იმაზე, როგორ გადაარჩინოს სიტუაცია“.

გმადლობთ, იური მიხაილოვიჩ, რომ იმ ზოგიერთებში თქვენა ხართ პირველი და თქვენთან ერთად რუსეთის ფედერაციის კომპარტიის ლიდერი გენადი ზიუგანოვი, რომელსაც ცუდი სიზმარი უნახავს და საჯაროდ აცხადებს,– „საქართველო დაიშალა!“

გელაევზე გამონათქვამს უწუნებს შევარდნაძეს ზიუგანოვი და თვითონ გულში ჰყავს ჩაბუნებულ-ჩახუტებული „გადიუკა“ – იგორ გიორგაძე, ტერორიზმში ბრალდებული და მოსკოვს თავშეფარებული ძებნილი.

მაგრამ ზიუგანოვისგან სხვას არც არაფერს უნდა ელოდო.

ლუჟკოვისგან არის მეტნაკლებად მოულოდნელი და გასაკვირი.

ხომ არ უნდა გადაგვაყოლოს თბილისში ერთი სკოლის რესტავრაციას მთელი საქართველო?! სამადლობელოდ დიდი პატივი მიეგო თავის დროზე. ხოლო ხაროში ჩავარდნილი მეფის იგავს ჩვენთან პირველ კლასში ასწავლიან.

* * *

"Москва, звонят колокола"...

По ком звонят, იური მიხაილოვიჩ?

ბენჟამენ იგარკა.

P. S. ამ ფაქტების გამო „საქართველოს რესპუბლიკამ“ გუშინ გამოაქვეყნა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელის კახა სიხარულიძის კომენტარი სათაურით „მეზობელი მეზობელს ასე არ უნდა ელაპარაკებოდეს“.

ქართულ ფოლკლორში არის სკაბრეზული ანდაზა მეზობელთა ურთიერთობაზე – „თუ მეზობელმა“... და ა.შ.

მეც მაიძულეს ლუჟკოვმა და ზიუგანოვმა – იმ ანდაზის რჩევას მივყოლოდი.

ბ. ი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 279. ოთხშაბათი, 14 ნოემბერი, 2001 წელი

## პრობლემა

(პირველი გვერდიდან)

წარმოიდგინეთ, რკინიგზელების მდგომარეობა, რომლებიც ტრადიციულად შეჩვეული არიან განსაკუთრებულ წესრიგს და წინასწარ შემუშავებული გრაფიკით წუთობითა და წამობით აქვთ გათვლილი მთელი დღისა თუ თვის ყოველი საათი. ჩემზე რომ იყოს, საგანგებოდ დანაშაულებრივად დაშლილი ჩვენი ენერგეტიკის გენერაციის, განაწილებისა თუ სხვა სამსახურების ხელმძღვანელებსა და მუშაკებს ერთ ცისმარე დილით საქართველოს რკინიგზის მართვის კომპიუტერულ ცენტრში შევყრიდი და საკუთარი თვალით ვაჩვენებდი, თუ რა მოსდევს მათ მოუთვინიერებელ უპასუხისმგებლობას.

აი, წინ მიდევს საქართველოს პრეზიდენტის № 141 ბრძანებულება, სადაც იგი ენერგეტიკის ხელმძღვანელებს კატეგორიულად ავალებს ყოველდღიურ კონტროლს და რკინიგზის ელექტროწევის ობიექტების შეუფერხებლად მომარაგების უზრუნველყოფას. უფრო მეტიც, პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულები და შესაბამისი რაიონების გამგებლები, ამ ბრძანებულების თანახმად, ვალდებული არიან მკაცრად დაიცვან რკინიგზისათვის გამოყოფილი ლიმიტები და არ დაუშვან მათ ხარჯზე რაიონებისა და სხვა მომხმარებლების მომარაგება. მერე და, იცავენ ამ წესს? რა თქმა უნდა, არა... ვისაც როგორ მოესურვება, ისე გამოურთავენ რკინიგზას ელექტროენერგიას, რომ ხელიც არ აუკანკალდებათ.

# როცა ჰაერში ღალატის სუნი ტრიალებს!..

## „ენერგოფიქრები“ გაჩერებული მატარებლის ვაგონში





არ ვიცი, ღმერთმანი, რაზე ფიქრობენ ამ დროს ჩვენი ელექტროდისპეტჩერები, რომლებმაც კარგად იციან, რაც მოსდევს მათ ასეთ მანიპულირებებს. იმის გარდა, რომ ამის შედეგად საერთოდ წყდება მაგისტრალზე მოძრაობა, გვიანდება და მნიშვნელოვნად ფერხდება ელმავლებისა და ვაგონების წინასარეისო მომზადება, ხდება ავტობლოკირებისა და კავშირგაბმულობის მოწყობილობის გამორთვა, რაც წყვეტს სადისპეტჩერო კავშირს სადგურებთან, ესოდენ დიდ საფრთხეს რომ უქმნის მატარებლების უსაფრთხო მოძრაობას.

წარმოიდგენთ, როგორი მძიმე და გამოუსწორებელი შედეგი შეიძლება მოჰყვეს ასეთ უთავბოლობას?

კიდევ კარგი, ჩვენი რკინიგზელების მაღალი პროფესიონალიზმით და ჭირსა შიგან გამაგრების წლობით დღემდე უშეცდომოდ მუშაობს, თორემ... ხომ შეიძლება, ერთხელაც „კოკამ წყალი აღარ მოიტანოს“ და — მაშინ, ვინ აგებს პასუხს?

რკინიგზელებს რომ ვეკითხები, თუ რატომ ითმენენ ამ უპასუხისმგებლობას, ვატყობ, რომ გაურბიან ენერგეტიკოსებთან კონფრონტაციას... ახლა თუ ხვეწნითა და მუდარით ზოგჯერ მაინც ვაღწევთ რაღაც საწადელს, დაპირისპირების შედეგად, ადვილი შესაძლებელია, უფრო უარეს დღეშიც აღმოვჩნდეთო, — ამბობენ ისინი.

მოდი და, ნუ იკითხავ: — გაგვაგებინეთ, ვინა ხართ, ხალხო, პრეზიდენტი კი არა, ცაც ქუდად რომ არ მიგაჩნიათ და დედამიწა ქალამნად? ეს მრავალჭირგამოვლილი რკინიგზა, რომელმაც მართლაც არნახული გარღვევა მოახდინა უკანასკნელ წლებში და მილიონობით ტონა ტვირთი მოიზიდა „ტრასეკას“ დერეფანში, მარტო პრეზიდენტის და აკაკი ჩხაიძის საზრუნავ-საფიქრალი შეიძლება იყოს? პირდაპირ ვიტყვი: იმას, რასაც ჩვენი ენერგეტიკოსები სჩადიან რკინიგზაზე, მხოლოდ ღალატი შეიძლება დავარქვათ.

მთელი ეს შესავალი რომ უსაგნო „ბაქი-ბუქად“ არ დარჩეს, შევეცდები ფაქტებით ვისაუბრო. ჯერ გასული წლის ციფრებით დავიწყოთ: 2000 წელს თითქმის 13 ათასჯერ გამოირთო რკინიგზის წევის ქვესადგურები. ამის შედეგად 95 ათასი საათის განმავლობაში ენერგეტიკოსებს პარალიზებული ჰყავდათ მთელი რკინიგზა. მარტო რკინიგზის საკვანძო სადგურებში, საელმავლო, სავაგონო დეპოებში, მაგალითად, სამტრედიაში, ადგილი ჰქონდა გამორთვის 320 შემთხვევას — 749 საათის, ხოლო ხაშურში 367 — 1975 საათის ხანგრძლივობით, რასაც მოძრაობის სრულ მოშლასთან ერთად, ასეული ათასობით ზარალიც მოჰყვა.

ასეთივე მდგომარეობაა წლეულსაც. მარტო ძირითად მაგისტრალზე განლაგებულ წევის ქვესადგურებში განვლილი 10 თვის მანძილზე 3200-ჯერ, თითქმის 2000 საათით იყო გამორთული ძაბვა. ხშირ შემთხვევებში კი, მოწოდებული დაბალი ძაბვის შედეგად, რკინიგზელები იძულებულნი იყვნენ თითქმის 2-ჯერ და სამჯერ გაეზარდათ მატარებლების მოძრაობის ხანგრძლივობა, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ელექტროენერგიის ხარჯსაც.

რკინიგზელები სამართლიანი, პატიოსანი ხალხია და უსაგნოდ და უმიზეზოდ არაფერს ამბობენ. ზაფხულის თვეებიდან 1 ოქტომბრამდე, — მეუბნებიან ისინი, — ენერგიის მოწოდება დამაკმაყოფილებელი იყო, რამაც შესაძლებლობა მოგვცა გადაგვეზიდა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაცილებით მეტი ტვირთი და შეუფერხებლად, გრაფიკის მიხედვით გვემოძრავებინა სამგზავრო მატარებლები. სექტემბრის ბოლოდან მოყოლებული, დღემდე, სურათი რადიკალურად შეიცვალა, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა რკინიგზის თბილისი-ხაშურისა და სამტრედია-ბათუმის მონაკვეთებზე.

თვალსაჩინოებისათვის მოვიტან ერთ ფაქტს: მაგალითად, 2001 წლის 29 ოქტომბერს ფოთი-სამტრედიის უბანზე 5 საათზე მეტით იყო გამორთული ფოთის, სენაკის, სამტრედიის ქვესადგურები, რის შედეგადაც პარალიზებული იყო მოძრაობა. ბათუმი-სამტრედიის უბანზე ასევე 7 საათით გამორთული იყო სუფსის, ლანჩხუთის, სამტრედიის ქვესადგურები, ხოლო თბილისი-ხაშურის უბანზე აგარის, ქარელის, გორის, ხაშურის ქვესადგურები, რის შედეგადაც შეწყდა მოძრაობა ამ უბნებზე.

აი, ასეთი გახლავთ ერთი დღის, თუნდაც 29 ოქტომბრის, მაგალითი, რომელიც კიდევ უფრო მძაფრი ხასიათით მეორდება თითქმის ყოველდღე.

ახლა შევაჯამოთ: განვლილი 9 თვის განმავლობაში რკინიგზის ქვესადგურები გამოირთო 3913-ჯერ — 39104 საათით.

ელექტროენერგიის არასტაბილური მიწოდების გამო მოიხსნა 116 წყვილი სამგზავრო მატარებელი, რის შედეგადაც რკინიგზამ მიიღო 426 ათას 717 ლარის ზარალი.

რკინიგზის წარმოება-დაწესებულებებში ენერგიის გამორთვებით გამოწვეულმა ზარალმა შეადგინა 69,151 ლარი.

ამას დაერთო კიდევ მოსახლეობის მიერ რკინიგზის 33-ჯერ გადაკეტვის ფაქტი, რის შედეგადაც 138 საათით გადამეტდა სამგზავრო, ხოლო 239 საათით სატვირთო მატარებლების მიყვანა დანიშნულების ადგილზე. ზარალი 238.722 ლარია.

მთლიანად კი, — 2001 წლის 9 თვეში, საქართველოს რკინიგზამ 1.846.062 ლარი იზარალა. თითქმის ორი მილიონი!..

ახლა მცირეოდენი ზოგადი არითმეტიკაც... საქართველოს რკინიგზის ყოველდღიური ენერგოხარჯი 700-800 ათასამდე კილოვატს არ აღემატება. რომ დავინტერესდი და სპეციალისტებს ვკითხე, ეს საქართველოში გამომუშავებული ელექტროენერგიის სულ რაღაც 3 პროცენტს შეადგენს. მოდი და, მწარედ ნუ გაგეცინება კაცს...

ძალაუნებურად იფიქრებ: ჩვენი ენერგომაფია, ამ სამ პროცენტს კი არა, შესაძლოა თმის გადავარცხნისას, ჩვენს სავარცხლებს გამოყოლილ ელექტროიმპულსებსაც კი გაყიდდა, გადაწყვეტილი რომ ჰქონდეს მათი გენერაციისა და საბითუმო ბაზარში დაგროვების პრობლემა. ასე რომ, რკინიგზას ვილა დაგიდევთ...

ვიცი, მეტყვიან, აი, ახლა კი, ცოტა გადაამლაშეო, მაგრამ... რა ვუყოთ, როგორ მოვახედოთ ეს ხალხი რკინიგზისკენ, ხალხისკენ, თუნდაც „დიდი აბრეშუმის გზისა“ თუ „ტრასეკას“ დერეფნისკენ, ესოდენ დიდ მნიშვნელობას რომ ვანიჭებთ ჩვენი სახელმწიფო აღმშენებლობის, ჩვენი თავისუფლებისა და კეთილდღეობის შექმნის თვალსაზრისით?

არ ვიცი, აქამდე ამ კითხვაზე პასუხის გამცემი ვერავინ ვნახე. ერთნი გენერაციას აბრალებენ, მეორენი დისპეტჩერიზაციას, მესამენი — საბითუმო ბაზარს, მეოთხენი კიდევ სხვა საგანგებოდ დაქუცმაცებულ ენერგოსამსახურებს. ახლა, როცა მინისტრთა კაბინეტის შექმნისათვის ვემზადებით, ეგებ, გამოჩნდეს ვილაც, ვინც იფიქრებს იმაზე, თუ რატომ არ აძლევს ხელს ამ ხალხს ერთიანი ქართული ენერგოსისტემის არსებობა. განა, ისეთი რა მუცლის გვრემა გვჭირს, რომ თუნდაც ამ გარდამავალ, კრიზისულ პერიოდში მგლებისა თუ ტურებს საჯიჯგნად არ გაეხადოთ ჩვენი ეკონომიკის ეს უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული დარგი და მისი სადავეები ისევ სახელმწიფო გამგებლობის ჭერქვეშ არ მოვაქციოთ, მაგრამ...

ვიდრე ისევ ამ საკითხს დავუბრუნდებოდე, ერთ მცირეოდენ გადახვევას შემოგთავაზებთ:

აი, ახლაც, სადღაც სადანძილისტან ახლოს, გვიწვია ჩვენი „ენერგოდისპეტჩერების“ მახვრალმა ხელმა, გაჩერდით... ჩემთან ერთად კუპეში, რკინიგზის სხვადასხვა სამსახურის წარმომადგენლები არიან... ირგვლივ კი — უკუნეთი და რაღაც განსაკუთრებული უშწვნის ატმოსფერო მეფობს, რომელიც, მართლაც, დამთრგუნველად მოქმედებს ადამიანებზე, თუმცა, როგორც ეხედავ, ასეთი შემთხვევებისათვის ჩვენი ვაგონის გამცილებელს თითო-ოროლა სანთელიც ჰქონია საგანგებოდ შემონახული. აი, წინ გვიდგას ჩაის ჭიქამი ჩაყუდებულ-ჩაწებებული ჩვენი ამამინდელი „სინათლის წყარო“ და მოუთმენლად ველით, როდის ინებებს ჩვენი ენერგეტიკა დაგვიხსნას ამ უკუნეთიდან. მანამდე კი, ცხადია, ვფიქრობთ, და ვსაუბრობთ:

— წარმოგიდგენიათ, რა საცალალო მდგომარეობაში შეიძლება აღმოვჩენილიყავით, თუ საქართველოს რკინიგზასაც ჩვენი ენერგოსისტემის მსგავსად დავაქუცმაცებდით და პრივატიზაციის საბაბით გადავეცემდით ვინმეს.

ვიხსენებ: მართლაც, რამდენმა დაადგა თვალი რკინიგზას პრივატიზაციის პირველი ტალღის აგორების პერიოდში... იქნებოდა საგანგებო პროექტები, დასაბუთებანი, რომლებიც „სამოთხეს“ გვპირდებოდნენ მთელ რკინიგზაზე. კიდევ კარგი, მაშინ რკინიგზის ხელმძღვანელობამ და პრეზიდენტმაც სახელმწიფო-სტრატეგიული ობიექტი გადაარჩინეს გაპარტახებას. ჩემს თანამოსაუბრეებს მოჰყავთ არა ერთი მაგალითი იმისა, თუ რა დღეში ჩააგდო რკინიგზისადმი ასეთმა მიდგომამ მთელი რიგი ქვეყნები, მათ შორის, ესტონეთი, რომელმაც უცხოეთის კომპანიებს ნაჭერ-ნაჭერ ჩამოურიგა სახელმწიფო რკინიგზის მონაკვეთები და სამსახურები.

ესტონეთის რკინიგზის გაყიდვა პარლამენტის სისტემატურ კონტროლზე იყო აყვანილი. მის პრივატიზაციას პირადად ხელმძღვანელობდა პრემიერ-მინისტრი. ესტონეთის რკინიგზა 60 მილიონ დოლარად იყიდა ამერიკელმა ინვესტორმა. რკინიგზის ახალმა სატარიფო პოლიტიკამ, რომ იტყვიან, შოკში ჩააგდო რუსი ტვირთმფლობელები, რომლებიც იყვნენ ტრანზიტის ძირითადი განმხორციელებლები, ესტონეთის რკინიგზაზე. მნიშვნელოვნად დაეცა ტვირთბრუნვის მაჩვენებლები: ქიმიური პროდუქტების გადაზიდვა შემცირდა 15 პროცენტით, ფერადი ლითონებისა — 16 პროცენტით, შავი ლითონების — 46 პროცენტით. ესტონეთის პორტებიდან წასვლით იმუქრებიან მენავთობეები, სხვადასხვა ფირმების წარმომადგენლები. აქედან გამომდინარე, გასაგები იყო ესტონეთის მოსახლეობის აზრიც — 70 პროცენტი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა რკინიგზის პრივატიზაციას. და ყოველივე ეს მოხდა ესტონეთში — ჩვენზე გაცილებით მოწესრიგებულ ქვეყანაში, რომლის მოსახლეობაც მკვეთრად განსხვავდება ჩვენგან თავისი მენტალობით, ერთიანობით, ქვეყნის პრობლემებისადმი დამოკიდებულებით.

ამას წინათ, ჩემმა კოლეგებმა „ტრასეკას“ სამდივნოდან გადმომცეს ვრცელი ნუსხა სახელმწიფოებისა, რომლებშიც, ავსტრალიიდან მოყოლებული შვეიცარიამდე, რკინიგზა სახელმწიფო საკუთრებად და სახელმწიფოს მხრიდან მუდმივი სუბსიდირებისა და მხარდაჭერის ობიექტად არის გამოცხადებული.

დღეს, საქართველოს რკინიგზა ერთ თეთრსაც არ იღებს ქვეყნის ბიუჯეტიდან. პირიქით, ყოველწლიურად მას სულ უფრო მეტი თანხები შეაქვს სახელმწიფო ხაზინაში. შარშან ეს ციფრი 49 მილიონი გახლდათ. წლეულს, ალბათ, 50 მილიონს გადააჭარბებს, მაგრამ ამ ფონზე, ჩვენს სამთავრობო სტრუქტურებს ერთხელაც არ მოსვლიათ აზრად, ეკითხათ, როგორ უნდა მოახერხოს საქართველოს რკინიგზამ, მხარი აუბას გლობალიზაციის იმ პროცესს, რომელიც მოითხოვს მისგან, რაც შეიძლება დროულად და სწრაფად განახორციელოს ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ მის სრულფასოვნად ჩართვას პროცესში, რომელიც უკვე კარს მოგვადგა. ცხადია, მარტო საკუთარი სახსრების მობილიზებით და იმ საოცარი დასაბუტრი პოლიტიკით, რომელიც თავზე „დამოკლეს მახვილივით“ ჰკიდია ჩვენს რკინიგზას, არ არის გამორიცხული სრული მოდერნიზაციის პროცესი, კიდევ მრავალი წლის მანძილზე გაგრძელდეს. მაგრამ ითმენს კი დრო?

ასეთ დროს წესიერ სახელმწიფოებში თუ სუბსიდიებით არ ეხმარებიან ქვეყნის ამ უპირველეს დარგს, დროებით შეღავათიანი ან განვადებითი დაბეგვრის პირობებს მაინც უქმნიან იმისათვის, რომ დააჩქარონ პროცესები, რომლებიც, კერძოდ, ჩვენს შემთხვევაში, მისცემს შესაძლებლობას საქართველოს რკინიგზას 10 წლის გასაკეთებელი საქმე 2-3 წელიწადში გააკეთოს და შექმნას პირობები წელიწადში 50-60 მილიონი ტონა ტვირთის გატარება-გადამუშავებისათვის. აი, ასეთი იქნებოდა ნამდვილი სახელმწიფოებრივი მიდგომა რკინიგზის დღევანდელი პრობლემებისადმი, მაგრამ ვინ გვისმენს, ვინ იფიქრებს ამაზე?

მოდით, ისევ ჩვენს აღრინდელ თემას დავუბრუნდეთ:

მეტყვიან ალბათ, რომ ჩამოერჩი ცხოვრებას, არად ვაგდებ ახალ დემოკრატიულ ურთიერთობებს, საბაზრო ეკონომიკის კანონებს, ახლა, საგანგებოდ გამომცხვარი ფირმების „შპს“-ებისა თუ სხვა ამგვარი გაერთიანებების უფლებებს, მისწრაფებებს და კიდევ, ვინ იცის, რას, მაგრამ...

იმას, რაც ახლა ხდება ჩვენს რკინიგზაზე, მე რომ მკითხოთ, მხოლოდ და მხოლოდ საბოტაჟის სუნი უდის და სხვა არაფერი. ადამიანები, ხელმძღვანელები, რომლებიც ბრტყელ-ბრტყელად ლაპარაკობენ საკუთარ პატრიოტიზმზე, ელემენტარულადაც კი ვერ აცნობიერებენ თავიანთი ნამოქმედარის შედეგს, რომელიც დისკრედიტაციას უწევს ქვეყანას, უკანასკნელ წლებში „დიდი აბრეშუმის გზის“ ერთ-ერთი სტრატეგიული სახელმწიფოს ახალი საერთაშორისო ფუნქცია რომ შეიძინა. ალბათ, სწორედ აქედან გამომდინარეობს ჩვენი რკინიგზა, როცა საკუთარი პესების მშენებლობის გადაწყვეტილება მიიღო.

ეს შემდგომ, მაგრამ... მანამდე?

არ ვიცი, რას იტყვიან რკინიგზელები, მაგრამ მე კი ნათლად ვგრძნობ, რომ ჰაერში ღალატის სუნი ტრიალებს!

გია ჭელიძე.

## კონტაქტები



კონფერენციის პრეზიდიუმში — მოხსენებას კითხულობს პროფესორი გივი ინწკირველი.

1-5 ოქტომბერს ირლანდიის დედაქალაქ დუბლინში გაიმართა იურისტთა ერთ-ერთი ყველაზე დიდი ორგანიზაციის — „მსოფლიოს იურისტთა ასოციაციის“ მორიგი მე-20 კონგრესი. ტრადიციულად, ამგვარ ფორუმებს — მსოფლიო კონგრესებს (კონფერენციებს) ორ წელიწადში ერთხელ იწვევენ. 1996 წელს ფილიპინების დედაქალაქ მანილაში და 1998 წელს კანადის დედაქალაქ მონრეალში გამართულ ამ ასოციაციის ორი კონგრესის მუშაობაში, კოლეგებთან ერთად (დელეგაციას თავმჯდომარეობდა საქართველოს იურისტთა კავშირის მაშინდელი თავმჯდომარე, სულმნათი ზურაბ რატიანი) მონაწილეობდა პროფესორი გივი ინწკირველი. იგი 1999 წლიდან დასახელებული ასოციაციის საპატიო წევრია.

# ქართველი იურისტები საერთაშორისო კონგრესზე



მარცხნიდან: საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი ავთანდილ აბაშიძე, პროფესორი გივი ინწკირველი, იურისტთა მსოფლიო ასოციაციის ექსპრეზიდენტი, პროფესორი დანიელ მონაკო, პროფესორი ზაურ ჯინჯოლავა.

ამჟამად დუბლინის ფორუმზე ბატონ გივი ინწკირველთან ერთად მიწვეული იყვნენ საქართველოს იურისტთა კავშირის ახლანდელი თავმჯდომარე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოცენტი პაატა ცნობილაძე და საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნუგზარ ბირკაია, სპეციალური მიწვევა მიიღეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებმა, რომლებიც გაეროს ფონდის დაფინანსებით დუბლინში გაემგზავრნენ მთელი შემადგენლობით. მათ შორის, უნივერსიტეტის პროფესორები ზაურ ჯინჯოლავა და ბესო ზოიძე, იაკობ ფუტკარაძე, ავთანდილ აბაშიძე, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი, ოთარ ბენიძე, ლამარა ჩორგოლაშვილი, ნიკოლოზ შამკინი. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ, პროფესორმა ჯონი ხეცურიანმა ვერ შეძლო გამგზავრება გადაუდებელი სამსახურებრივი საქმეების გამო.

კონგრესის დევიზი იყო: „თანამშრომლობა და სამართლებრივი წესრიგი მსოფლიო მშვიდობისათვის“.

— *რით იყო საინტერესო კონგრესი ქართველი იურისტებისათვის?* — ამ შეკითხვით დავიწყეთ საუბარი პროფესორ გივი ინწკირველთან.

— საქართველოს დელეგაციის ყველა წევრმა აქტიური მონაწილეობა მიიღო კონგრესის, ძირითადად კი იმ სექციის მუშაობაში, რომელსაც ერქვა — „ადამიანის უფლებები, როგორც მსოფლიო მშვიდობის საფუძველი“. სწორედ ამ სექციის სხდომაზე გამოვედი მოხსენებით — „კორუფციასთან ბრძოლის მნიშვნელობა ადამიანთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად“.

მსმენელებს გავაცანი სათანადო ინფორმაცია საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ კორუფციასთან ბრძოლის საკითხში და, ამასთანავე, ის ღონისძიებები, რომლებიც ტარდება სხვადასხვა ორგანოებისა და საზოგადოებრიობის მიერ, საქართველოს პრეზიდენტის თაოსნობითა და სახელმძღვანელო მითითებების საფუძველზე. აგრეთვე, ვისაუბრე იურისტების მონაწილეობის შესახებ დასახელებულ პროცესებში სპეციალური კანონმდებლობის შემუშავების საჭიროებიდან გამომდინარე, იმ სირთულეების შესახებაც, რომელიც თან ახლავს ამ მუშაობას. ერთგვარი ექსპერტიზის მნიშვნელობის სახე მინდოდა მისცემოდა უცხოელი კოლეგების მოსაზრებებს ჩვენში დაგეგმილ და განხორციელებულ ღონისძიებებზე, კერძოდ, უსაფუძვლოდ მოპოვებული ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის საკითხებზე, ისე რომ, მოქალაქეთა კანონიერი უფლებები არ დაირღვეს. სექციის თავმჯდომარე, ცნობილი ამერიკელი იურისტი, მსოფლიო ასოციაციის ექსპრეზიდენტი, პროფესორი ვედ ნანდა მიესალმა კორუფციასთან ბრძოლის საკითხის წამოწევას მიმდინარე კონფერენციაზე, რადგან ეს სენი სხვა ქვეყნებსაც ახასიათებს და უფრო ფართო მასშტაბების პერსპექტივა ემუქრება. შემდეგ, პირად საუბარში აღნიშნა, რომ შეერთებულ შტატებში კორუფციასთან ბრძოლა უკვე არსებული მოქმედი კანონმდებლობის გამოყენებით წარმოებს და იქ სპეციალური კანონის მიღების საჭიროება არ წარმოშობილა.

— **რამდენიმე სიტყვა კონგრესის მუშაობის მნიშვნელოვან დეტალებზე...**

— ჩვენთვის საინტერესო იყო საორგანიზაციო საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებები. ასოციაციის პრეზიდენტის პოსტი განვლილი ორი წლის მანძილზე ეკავა ამერიკელ იურისტს დანიელ მონაკოს, რომელიც გერმანელმა იურისტმა პროფესორმა ჰანს თიუმელმა შეცვალა, ხოლო აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტის მეტად მნიშვნელოვანი პოსტი, ახალი არჩევნების შედეგად, შეინარჩუნა მარგარეტ ჰენებერმა, რომლის ინიციატივით ასოციაციის ხელმძღვანელობამ სურვილი გამოთქვა და სათანადო წინადადებაც წამოაყენა, რომ მორიგი 21-ე კონფერენცია საქართველოში გაიმართოს.

საინტერესო იყო, აგრეთვე, დელეგატების ერთდღიანი გამგზავრება ბელფასტში, სადაც მოეწყო კონგრესის გამსვლელი სხდომა. ტრადიციულად მშფოთვარე ქალაქში იმ დროს სრული სიმშვიდე სუფევდა და, ისევე როგორც ქ. დუბლინმა, ამ ქალაქმაც არაჩვეულებრივი შთაბეჭდილება დატოვა. შეხვედრები გვქონდა ორივე ქალაქის მერთან, სასწავლო და სასამართლო დაწესებულებების თანამშრომლებთან. ერთ საღამოს კი, რუსეთის დელეგაციასთან ერთად, ირლანდიაში რუსეთის ფედერაციის ელჩი ბატონი ევგენი მიხაილოვი გაგვიმასპინძლდა, რომელსაც საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში ედუარდ შევარდნაძესთან უმუშავია.

დუბლინიდან სამშობლოში დაბრუნებამდე, რამდენიმე დღე ლონდონში დავყავით, სადაც საქართველოს ელჩს თეიმურაზ მამაცაშვილს შევხვდით.

ესაუბრა
გივი შეყილაძე.

## აფხაზეთი — ტკივილი ჩვენი

# მოუზომავი სიტყვა

**ქართული მხარის მიერ ხელსაყრელი კონსტრუქციული წინადადებების მრავალგზის შეთავაზების მიუხედავად, აფხაზეთის პრობლემის მშვიდობიანი გზით მოგვარებას, ქართველთა და აფხაზთა შერიგებას დღემდე საშველი არ დაადგა და იგი კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება. სამწუხაროდ, ჩვენთვის ამ მეტად მტკივნეული საკითხის მოგვარების საქმეში დადებითი შედეგი ვერც საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მეგობარი ქვეყნების წარმომადგენელთა ჩართვამ მოიტანა. ამის ძირითადი მიზეზი კი, პირველ ყოვლისა, თავად უღიარებელი აფხაზეთის (თავის დროზე და ზოგჯერ ახლაც, ჩვენს მიერ შეგნებულად თუ შეუგნებლად დაშვებულ შეცდომებზე რომ აღარაფერი ვთქვათ) ახლანდელი ხელისუფლებაა.**

ვის ეს და, ამ შემთხვევაში ყველაზე კარგად მათ (მე აქ აფხაზეთის ხელისუფლებას ვგულისხმობ) აქვთ გააზრებული, თუ საქმის სასიკეთოდ შემობრუნება რაოდენ დამღუპველი იქნება მათთვის. ალბათ, ამიტომაცაა, პოლიტიკური კრახის თავიდან აცილების მიზნით, არძინბას მთავრობა ხავსს რომ ეჭიდება.

ამ ბოლო ხანებში კი ჩვენში აფხაზეთის კონფლიქტის მიმართ სრულიად ახლებური დამოკიდებულება იკვეთება, რაშიც გადამწყვეტი როლი აჭარის ლიდერთან ასლან აბაშიძესთან ერთად სახალხო დიპლომატიამ და ჟურნალისტთა ურთიერთდაახლოებამ უნდა შეასრულოს.

სწორედ ამ მტკივნეული თემის ახლებურად გააზრებას მიეძღვნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობაში საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის და მათ მიერ დაფუძნებული კლუბის „ჟურნალისტთა ტრიბუნის“ მორიგი შეხვედრა თემაზე: „აფხაზეთის კრიზისი — ახალი განზომილება“.

მასპინძელმა, საქართველოს პარლამენტის წევრმა ჰამლეტ ჭიპაშვილმა, ტერორიზმის კვლევითი ცენტრის დირექტორმა ბადრი ნაჭყებიამ, ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის საქართველოს ეროვნული კომიტეტის კოორდინატორმა ალექსანდრე რუსეცკიმ და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ ვახტანგ ყოლბაიამ დამსწრე ჟურნალისტებს კიდევ ერთხელ შეახსენეს აფხაზეთის საკითხში ხელისუფლების მიერ

**ავტონომიის ხელმძღვანელის ყოფილი ავტონომიის ხელმძღვანელთან მოლაპარაკებამ უფრო ნაყოფიერი შედეგი უნდა გამოიღოს, რაც რუსეთთან ამჟამინდელ დაძაბულ მდგომარეობასაც განმუხტავს.**

დაშვებული შეცდომები და ცალკეული პასუხისმგებელი პირების ის ყოვლად გაუაზრებელი და დაუკვირვებელი გამონათქვამები, რომელთა მიხედვითაც აფხაზეთი, ნებსით თუ უნებლიედ, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ მოიაზრება და ამის დამადასტურებელი მაგალითიც იქვე მოიყვანეს: „...ამჟამად ელექტროენერგია აფხაზეთისა და საქართველოს მიეწოდებაო“. ასეთი განცხადებები დღეს მტრის წისქვილზე წყლის დასხმის ტოლფასია. ჟურნალისტმა თენგიზ პაჭკორიამ აფხაზეთის საკითხების გაშუქების დროს კოლეგებს მეტი სიფრთხილისკენ მოუწოდა.

დისკუსიის მსვლელობის პერიოდში შეშფოთება გამოითქვა, აგრეთვე, იმის თაობაზე, თითქოს ასლან აბაშიძის ამ პრობლემის მოგვარებაში ჩაბმა საქართველოს კვლავ რუსეთის გავლენის სფეროში მოაქცევს, რასაც ჰამლეტ ჭიპაშვილი კატეგორიულად არ დაეთანხმა. მისი თქმით, ავტონომიის ხელმძღვანელის ყოფილი ავტონომიის ხელმძღვანელთან მოლაპარაკებამ უფრო ნაყოფიერი შედეგი უნდა გამოიღოს, რაც რუსეთთან ამჟამინდელ დაძაბულ მდგომარეობასაც განმუხტავს. ამ განსხვავებული ურთიერთობის ფონზე კი რუსეთმა გარკვევით უნდა გამოხატოს თავისი დამოკიდებულება სამხრეთ კავკასიის, კერძოდ კი, საქართველოს მიმართ. ითქვა, აგრეთვე, მოჩვენებითი ბლოკადის შესახებაც, რომლის პირობებში იქ ყოველგვარი ნებართვის გარეშე, თავისუფლად შედიან თურქეთის გემები, რითაც ქვეყნის სუვერენიტეტს გარკვეული ჩრდილი ადგება.

**წლების მანძილზე პრობლემის მოუგვარებლობამ და ამის ნიადაგზე გაჩენილმა ნიჰილიზმმა ხალხს აფხაზეთის დაბრუნების რწმენა დაუკარგა. ახლა მთავარია, ამ დაკარგული რწმენის აღდგენა და სამშვიდობო პროცესებში თავად ლტოლვილთა აქტიურად ჩაბმა, რაც იმედია, კიდევ უფრო დააჩქარებს აფხაზეთის მშვიდობიანი გზით დაბრუნებას.**

თეიმურაზ
კინწურაშვილი.

## სახალხო დიპლომატია

# ომის ვეტერანები აფხაზეთის მოვლენებს იხილავენ

**საქართველოს ომის ინვალიდთა და ვეტერანთა კავშირში გაიმართა გამგეობის ბიუროს გაფართოებული სხდომა, რომელმაც განიხილა ბოლო ხანებში აფხაზეთში განვითარებული მოვლენები, მოისმინა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ომის ვეტერანთა საბჭოს ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.**

აღინიშნა, რომ საქართველოს ომის ვეტერანები ერთსულოვნად უჭერენ მხარს საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის აფხაზეთის კონფლიქტის პოლიტიკური, მშვიდობიანი გზით მოგვარების კურსს. ამასთან, პრიორიტეტულად მიიჩნევენ სახალხო დიპლომატიის გზით ქართველებსა და აფხაზებს შორის უშუალო კონტაქტებსა და მოლაპარაკებებს. მიაჩნიათ, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ყველა ღონე უნდა იხმაროს რუსეთთან კეთილმეზობლური, თანასწორუფლებიანი, ურთიერთსასარგებლო შეთანხმების მისაღწევად, რაც უნდა დაგვირგვინდეს რუსეთ-საქართველოს დიდი ხელშეკრულების ხელმოწერით.

საკუთარი
ინფორმაცია.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

# საქართველოს კანონი
# საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის შესახებ

ეს კანონი ადგენს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის საქმიანობის სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ საფუძვლებს, პრინციპებს და მის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას.

## თავი I
## ზოგადი დებულებანი

**მუხლი 1. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის სტატუსი**

1. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა არის კორპორაციულად ორგანიზებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც აერთიანებს საქართველოს და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობათა შესაბამისად შექმნილ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და რეგიონულ სავაჭრო-სამრეწველო პალატებს და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სხვა იურიდიული და ფიზიკური პირები საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატაში ერთიანდებიან ნებაყოფლობით, საწევრო საწყისებზე.

3. სახელწოდების „საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა“ გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის თანხმობით.

4. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა თავის საქმიანობას წარმართავს ამ კანონისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე. მისი მოქმედება ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა განთავსებულია ქ. თბილისში.

**მუხლი 2. ტერმინთა განმარტება**

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) „საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი“ – შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებით აღიარებული და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული სერტიფიკატი, რომლითაც განისაზღვრება საქონლის წარმოშობა;

ბ) „საქონლის წარმოშობის სერტიფიკატის დამოწმება“ – საქონლის წარმოშობის სერტიფიკატის დამოწმება საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ, საამისოდ უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით;

გ) „საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პირდაპირი წევრი“ – საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატაში უშუალოდ გაწევრიანებული კერძო სამართლის იურიდიული ან ფიზიკური პირი.

**მუხლი 3. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის საქმიანობის პრინციპები**

1. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა ამ კანონითა და პალატის წესდებით გათვალისწინებულ ფუნქციებს ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის შესაბამისად.

2. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატას აქვს საკუთარი ქონება და სამართლებრივ ურთიერთობებში გამოდის თავისი სახელით. პალატა და მისი წევრები პასუხს არ აგებენ ერთმანეთის ვალდებულებებზე.

3. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატას დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად შეიძლება გადაეცეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონება საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს თანხმობით, საქართველოს კანონმდებლობით ქონების გადაცემისათვის დადგენილი ნებისმიერი ფორმით (იჯარა, ქირავნობა, თხოვება, უზუფრუქტი და ა. შ.).

4. სახელმწიფო და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა პასუხს არ აგებენ ერთმანეთის მიერ ნაკისრ ვალდებულებებზე.

**მუხლი 4. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიზნები და ფუნქციები**

1. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიზნებია:

ა) საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი მეწარმე სუბიექტების საქმიანობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა;

ბ) საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების საწარმოებს შორის სავაჭრო, სამრეწველო და სამეცნიერო-ტექნიკური კავშირების დამყარებისა და განვითარების ხელშეწყობა;

გ) საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი სავაჭრო-სამრეწველო პალატების საქმიანობის კოორდინაცია:

2. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ფუნქციებია:

ა) მეწარმეებისათვის საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურების გაწევა;

ბ) მეწარმეთა პროფესიული განათლების დონისა და კვალიფიკაციის ამაღლების, აგრეთვე, სხვა სახის სწავლების, მათ შორის, საზღვარგარეთ, ორგანიზება;

გ) სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებში, მათ შორის, საზღვარგარეთ, მეწარმეთა საერთო და ინდივიდუალური ინტერესების წარმოდგენა და დაცვა;

დ) ადგილობრივი საქონლის ექსპორტის ხელშეწყობა;

ე) გამოგონებების, სასარგებლო მოდელების, სამრეწველო ნიმუშების, სასაქონლო ნიშნების, საფირმო სახელწოდებებისა და მომსახურების დასახელებების დაპატენტებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მომზადების ხელშეწყობა;

ვ) ადგილობრივი და საზღვარგარეთული საქონლის გამოფენების, საქმიანი წრეების მეხვედრების და სხვა ღონისძიებების გამართვა;

ზ) საქართველოში საინვესტიციო საქმიანობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;

თ) საქართველოს ბაზარზე არაჯანსაღი კონკურენციისა და მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აღკვეთის ღონისძიებების ხელშეწყობა;

ი) მეწარმეთა ხელშეწყობის მიზნით მთარგმნელობითი საქმიანობის განხორციელება;

კ) საზღვარგარეთის ქვეყნების ორგანიზაციებისა და საწარმოების მიერ საქართველოში სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას მათთვის საჭირო მომსახურების გაწევა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში;

ლ) პროდუქციის, მომსახურებისა და საქმიანი ინფორმაციის შესახებ საინფორმაციო სისტემებისა და ბანკების ფორმირება;

მ) მეწარმეთა ხელშეწყობა ბიზნესგეგმების მომზადებაში;

ნ) მეწარმეთა ხელშეწყობა საქართველოს ნორმატიული აქტებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულებაში;

ო) საქართველოს ნორმატიული აქტებით განსაზღვრული სხვა ამოცანების განხორციელება.

3. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ ნებაყოფლობით წარდგენილი განაცხადის საფუძველზე ახორციელებს:

ა) საექსპორტო და იმპორტირებული საქონლის წარმოშობის სერტიფიკატების დამოწმებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აკრედიტაციის გავლის შემდეგ ადგილობრივი და საზღვარგარეთული საქონლის რაოდენობრივ და ხარისხობრივ ექსპერტიზას და შეფასებას;

გ) საქართველოში მოქმედი სავაჭრო, საბაჟო და სანავსადგურო წესების შესახებ ინფორმაციის დამოწმებას;

დ) ფორს-მაჟორისა და საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გარემოებების დამოწმებას.

4. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ ფიზიკური ან იურიდიული პირისათვის გაწეული მომსახურებისათვის დადგენილი საფასური უნდა იყოს არადისკრიმინაციული და ხარჯებზე ორიენტირებული.

**მუხლი 5. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის უფლებები**

1. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატას უფლება აქვს:

ა) მონაწილეობა მიიღოს ეკონომიკური და სხვა სახის საკითხების შესახებ კანონპროექტების შემუშავებასა და განხილვაში, განახორციელოს ეკონომიკის სფეროში მომზადებული ნორმატიული აქტების პროექტების დამოუკიდებელი ექსპერტიზა და შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს განსახილველად წარუდგინოს წინადადებები;

ბ) ამ კანონითა და პალატის წესდებით გათვალისწინებული ფუნქციების განხორციელებისას გაწეული მომსახურებისათვის სახელშეკრულებო საფუძველზე დააწესოს საფასური;.

გ) ააშენოს, შეიძინოს და საქართველოს კანონმდებლობით ქონების გადაცემისათვის დადგენილი ნებისმიერი ფორმით მიიღოს პალატის საქმიანობისათვის საჭირო მოძრავი და უძრავი ქონება როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ;

დ) დაკისრებული ფუნქციების ეფექტიანად განხორციელების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დადოს გარიგებები და დააფუძნოს კერძო სამართლის სუბიექტები;

ე) წარმოადგინოს ადგილობრივ მეწარმეთა ინტერესები საერთაშორისო და საზღვარგარეთის ქვეყნების ორგანიზაციებში, ითანამშრომლოს მათთან და გახდეს მათი წევრი.

2. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაძლებელია შეიქმნას სხვა სახის სავაჭრო-სამრეწველო პალატები (ერთობლივად დაფუძნებული, სპეციალური – დარგობრივი), რომელთა უფლებამოსილება და საქმიანობის სფერო განისაზღვრება მათი დაფუძნების აქტებით.

**მუხლი 6. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ფინანსები**

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ფინანსები შედგება:

ა) საწევრო შენატანებისაგან;

ბ) ფიზიკური და იურიდიული პირების შემოწირულობებისაგან;

გ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლებისაგან.

## თავი II
## საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მართვა

**მუხლი 7. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორგანოები**

1. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორგანოები არიან:

ა) საერთო კრება;

ბ) პრეზიდენტი.

2. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მართვის უმაღლესი ორგანოა საერთო კრება.

3. საერთო კრება მოიწვევა 4 წელიწადში ერთხელ მაინც.

4. საერთო კრება ამ კანონითა და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის წესდებით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების შესრულებასთან ერთად თავისი შემადგენლობიდან ირჩევს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტს.

5. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პირდაპირი წევრები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და რეგიონული სავაჭრო-სამრეწველო პალატები საერთო კრებაზე წარმოდგენილნი არიან დელეგატების სახით, რომელთა არჩევის წესი განისაზღვრება საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის წესდებით.

**მუხლი 8. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტები და გენერალური დირექტორი**

1. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის უმაღლესი თანამდებობის პირია პალატის პრეზიდენტი.

2. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტს ირჩევს საერთო კრება ღია, პირდაპირი კენჭისყრით, 4 წლის ვადით, დამსწრე დელეგატების ხმათა უმრავლესობით, პალატის წესდებით დადგენილი წესით.

3. საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება დელეგატთა ნახევარზე მეტი.

4. პრეზიდენტის არყოფნის შემთხვევაში მის უფლებამოსილებას ახორციელებს ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი.

5. ვიცე-პრეზიდენტებს ნიშნავს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის საერთო კრება პრეზიდენტის წარდგინებით, დამსწრე დელეგატების ხმათა უმრავლესობით. ვიცე-პრეზიდენტები თავიანთ საქმიანობას წარმართავენ იმ სფეროში, რომელიც განსაზღვრულია პალატის წესდებით.

6. პალატის მიმდინარე საქმიანობას წარმართავს გენერალური დირექტორი, რომელსაც ნიშნავს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი. პრეზიდენტს უფლება აქვს საკუთარ უფლებამოსილებათა ნაწილი გადასცეს გენერალურ დირექტორს.

7. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორგანოებისა და ხელმძღვანელი პირების არჩევის (დანიშვნის) და კომპეტენციის საკითხები განისაზღვრება პალატის წესდებით, რომელიც მიიღება საერთო კრების მიერ.

**მუხლი 9. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის საქმიანობის შეწყვეტა**

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის საქმიანობის შეწყვეტა (რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია) ხდება საქართველოს კანონმდებლობითა და პალატის წესდებით დადგენილ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

## თავი III
## აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და რეგიონული სავაჭრო-სამრეწველო პალატები

**მუხლი 10. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და რეგიონული სავაჭრო-სამრეწველო პალატების შექმნა**

1. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და რეგიონული სავაჭრო-სამრეწველო პალატები არიან კორპორაციულად ორგანიზებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები, რომლებშიც ნებაყოფლობით, საწევრო საწყისებზე ერთიანდებიან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული ფიზიკური და იურიდიული პირები.

2. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სავაჭრო-სამრეწველო პალატები იქმნება საქართველოს და შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობათა საფუძველზე, შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

3. რეგიონული სავაჭრო-სამრეწველო პალატები იქმნება რეგიონული პრინციპის მიხედვით. ისინი თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ მოცემული ტერიტორიის ფარგლებში.

4. რეგიონული პალატა ფუძნდება კანონმდებლობის შესაბამისად, კერძო სამართლის იურიდიულ და ფიზიკურ პირთა საინიციატივო ჯგუფის წინადადებებით, რომელშიც არანაკლებ 100 წევრია გაერთიანებული.

5. საინიციატივო ჯგუფი ატარებს კრებას და მის ოქმს 10 დღის ვადაში წარუდგენს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატას.

6. საინიციატივო ჯგუფის კრებას ესწრება და მის ოქმს აწარმოებს ნოტარიუსი.

7. საინიციატივო ჯგუფის კრების ოქმის მიღებიდან 1 თვის ვადაში, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის განცხადების საფუძველზე, საქართველოს სახელმწიფო მინისტრი გამოსცემს ბრძანებას რეგიონული სავაჭრო-სამრეწველო პალატის შექმნის შესახებ.

8. რეგიონული სავაჭრო-სამრეწველო პალატის შექმნის შესახებ ბრძანების ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში შესაბამის სავაჭრო-სამრწველო პალატაში უნდა გაერთიანდეს არანაკლებ 100 წევრი, წინააღმდეგ შემთხვევაში დგება მისი ლიკვიდაციის საკითხი.

9. რეგიონული სავაჭრო-სამრეწველო პალატის შექმნის შესახებ ბრძანებით უნდა განისაზღვროს ამ პალატის მოქმედების ტერიტორიული ფარგლები და კომპეტენცია.

10. ერთსა და იმავე ტერიტორიაზე შეიძლება ფუნქციონირებდეს მხოლოდ ერთი რეგიონული სავაჭრო-სამრეწველო პალატა.

11. რეგიონული სავაჭრო-სამრეწველო პალატა თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის წესდებისა და საკუთარი წესდების საფუძველზე.

12. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული ფიზიკური და იურიდიული პირები წევრიანდებიან აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ანდა რეგიონულ სავაჭრო-სამრეწველო პალატაში, იურიდიული მისამართის მიხედვით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კერძო სამართლის იურიდიული და ფიზიკური პირები ხდებიან საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პირდაპირი წევრები.

13. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და რეგიონული სავაჭრო-სამრეწველო პალატების წევრები იმავდროულად არიან საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის წევრები. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პირდაპირი წევრი საწევრო შენატანს იხდის მხოლოდ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატაში, პალატის წესდებით დადგენილი წესითა და ოდენობით, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და რეგიონული სავაჭრო-სამრეწველო პალატების წევრები საწევრო შენატანს იხდიან შესაბამის სავაჭრო-სამრეწველო პალატაში.

14. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატას, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და რეგიონულ სავაჭრო-სამრეწველო პალატებს შორის ურთიერთობა რეგულირდება საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის წესდებით.

**მუხლი 11. რეგიონული სავაჭრო-სამრეწველო პალატის საქმიანობის შეწყვეტა**

1. რეგიონული სავაჭრო-სამრეწველო პალატის საქმიანობა შეიძლება შეწყდეს რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის გზით.

2. რეგიონული სავაჭრო-სამრეწველო პალატის საქმიანობის შეწყვეტა (რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია) ხდება საქართველოს კანონმდებლობითა და შესაბამისი რეგიონული სავაჭრო-სამრეწველო პალატის წესდებით დადგენილ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

## თავი IV
## საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის საქმიანობის სახელმწიფო კონტროლი

**მუხლი 12. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის საქმიანობის სახელმწიფო კონტროლი**

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის საქმიანობის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს სახელმწიფო მინისტრი.

## თავი V
## გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

**მუხლი 13. გარდამავალი დებულებანი**

1. სავაჭრო-სამრეწველო პალატებმა, რომლებიც შექმნილია საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 30 მაისის №203 ბრძანებულების საფუძველზე, 6 თვის ვადაში უზრუნველყონ ამ კანონის მოთხოვნების შესაბამისად ჩამოყალიბება და თავიანთი საქმიანობა შეუსაბამონ ამ კანონს და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონს.

2. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ქონება, რომელსაც იგი ამ კანონის ამოქმედებამდე ფლობდა, განუყოფელია და არ შეიძლება განაწილდეს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და რეგიონულ სავაჭრო-სამრეწველო პალატებსა და მათ წევრებს შორის.

**მუხლი 14. დასკვნითი დებულება**

1. ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 30 მაისის №203 ბრძანებულება „საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატების შესახებ“.

2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
**ედუარდ შევარდნაძე.**

თბილისი, 2001 წლის 26 ოქტომბერი.

---

### ძამის ხეობაში

რუის-ურბნისის ეპარქიის ძამის ხეობაში უძველესი ეკლესია-მონასტრების აღდგენითი სამუშაოები დაიწყო.

ეპარქიაში დღესდღეობით 5 მამათა და 7 დედათა, სულ 12 მონასტერი მოქმედებს, მალე კი 4 ახალი მონასტრის მშენებლობის დაწყებაა დაგეგმილი. რუის-ურბნისის ეპარქიის ეპისკოპოსმა მეუფე იობმა ლოშკინეთში, ქვათეთრში, ბატეთსა და მუხილეთში მონასტრებისათვის ადგილი უკვე შეარჩია.

„ალბათ, ცოტას არ ნიშნავს ის, რომ ახალი მონასტრების ადგილის შერჩევაში თავად მიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებული მონაწილეობს. სწორედ ირაკლი ბოჭორიძის დახმარებით დავიწყებთ მონასტრის მშენებლობას და რუის-ურბნისის კრების 900 წლისთავს ჩვენი ეპარქია საქართველოში ერთ-ერთი უდიდესი სამონასტრო კომპლექსით შეხვდება“, – განაცხადა მეუფე იობმა.

ეპარქიაში წელს სამი საუკუნისწინანდელი სკიტის ტრადიცია აღდგა. ბერები მონასტრული ცხოვრების საერთო ტიპიკონისაგან განსხვავებით, ასკეტური წესით – განმარტოებით ცხოვრობენ.

### აჟიოტაჟის მიზეზი

კვლავ არ ცხრება აჟიოტაჟი კახეთის ერთ-ერთი მსხვილი მინიელექტროსადგურის გარშემო, რომელიც ბიუჯეტის დავალიანების გამო აუქციონის წესით გაიყიდა. აუქციონის საფუძველი ბიუჯეტისათვის კუთვნილი 200 ათასი ლარის გადახდის თაობაზე გურჯაანის სასამართლოს დადგენილება გახდა. ეს პირობა სააქციო საზოგადოება ალაზანჰესმა ვერ შეასრულა.

ამჟამად ელექტროსადგური 1800 კვტ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს, მაშინ, როცა მისი სრული სიმძლავრე 6 მეგავატია. ოთხი ფირმიდან 181 ათასი ლარის გადახდა მხოლოდ კერძო მეწარმე თამაზ ბიბილურმა შეძლო, რომელსაც მცირე ენერგოსფეროში წარმატებული ბიზნესი აქვს.

გურჯაანის რაიონის გამგებლის გიორგი სიბაშვილის განცხადებით, საჭირო იყო ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც წერტილს დაუსვამდა ალაზანჰესის გარშემო გაუთავებელ აჟიოტაჟს. „ახალი მფლობელი რომ არა, ეს ელექტროსადგური ვერ ამუშავდებოდა და ვერც რაიონის მოსახლეობა ისარგებლებდა სტაბილური ელექტროენერგიით“, – თქვა გიორგი სიბაშვილმა.

### აშშ მთავრობა მედიკამენტებს არიგებს

აშშ მთავრობის საჩუქარი „ჰუმანიტარული მედიკამენტები“ კახეთის რეგიონში ჩავიდა. დახმარება ამჯერად თელავის, გურჯაანისა და სიღნაღის რაიონების სამედიცინო დაწესებულებებმა მიიღეს. პროექტის „ქმედება იმედის საწინდარია“ ფარგლებში 1 მილიონი დოლარის ღირებულების მედიკამენტები სოციალურად დაუცველ პაციენტებს გადაეცემა.

პროგრამის დირექტორის ნელი ჯავახიშვილის განცხადებით, პროექტი მხოლოდ ამ დახმარებით არ შემოიფარგლება. დაგეგმილია კონსულტაციები კახეთის რაიონის ექიმებისათვის, აგრეთვე, მათ სხვადასხვა სახის პრეპარატებსაც მიაწვდიან. პროგრამა ნოემბრის ბოლოს დასრულდება.

**ინფორმაციები მოგვაწოდა ინტერ-პრესმა.**

---

## საქართველოს კანონი
### „საქართველოს თავდაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს თავდაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, № 45, 21. 11. 1997) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-8 მუხლის მე-2 პუნქტიდან ამოღებულ იქნეს „გ“ ქვეპუნქტი, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩაითვალოს „გ“ ქვეპუნქტად.

2. მე-9 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო არის საქართველოს შეიარაღებული ძალების სახელმწიფო მართვის ორგანო და პასუხისმგებელია მათი მომზადების, განვითარებისა და მათთვის დაკისრებული თავდაცვითი ამოცანების შესრულებაზე, ხოლო საომარი ან საგანგებო მდგომარეობის ანდა მობილიზაციის დროს საქართველოს სამხედრო ძალების მართვა ხორციელდება შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის მეშვეობით, რომელსაც ხელმძღვანელობს გენერალური შტაბის უფროსი. გენერალური შტაბის დანიშნულება, ამოცანები, ფუნქციები, გენერალური შტაბის უფროსის სტატუსი და უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
**ედუარდ შევარდნაძე.**

თბილისი,
2001 წლის 26 ოქტომბერი.

---

## საქართველოს კანონი
### „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, № 19-20, 30. 05. 1998) მე-5 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ღ“ ქვეპუნქტი:

„ღ) საქართველოს ეროვნული ბანკი – ყველა სარჩელზე“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
**ედუარდ შევარდნაძე.**

თბილისი,
2001 წლის 23 ოქტომბერი.

---

2001 წლის 5 დეკემბერს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 54-ე მუხლის შესაბამისად მოწვეულია სააქციო საზოგადოება „ლაჯანურჰესის“ აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება.

საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს მიერ საერთო კრების საააღრიცხვო დღედ დადგენილია 2001 წლის 14 ნოემბერი.

კრება მოწვეულია შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ლერმონტოვის ქ. №10.

კრების დღის წესრიგი:

1. სს „ლაჯანურჰესის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შემადგენლობაში ცვლილების შესახებ.

სს „ლაჯანურჰესის“ დირექტორი
ვ. ლომთათიძე.

---

ქალაქის სატელეფონო ქსელი გაცნობებთ, რომ დიდი ტევადობის კაბელის კაპიტალურ შეკეთებასთან დაკავშირებით ა. წ. 13 ნოემბრიდან შეუწყდებათ სატელეფონო კავშირი ორგანიზაციებს და მოქალაქეებს შემდეგ მისამართებზე: მნათობის ქ., შრომის ქ., ბაგრატიონის ქ., თამარაშენის ქ., თამარაშენის I, II, III ჩიხებს, ჩერეკაშვილის ქ., ჯაბაურის ქ., სიღნაღის ქ., სააკაძის ქ., გუმათის ქ., პისარევის ქ., მოლდავის ქ., ასპინძის ქ., არსენალის ქ.

აღდგენით სამუშაოებს აწარმოებს ცენტრალური სატელეფონო კვანძი. სატელეფონო კავშირები აღდგება ა. წ. 20 ნოემბერს.

შექმნილი უხერხულობისათვის სატელეფონო ქსელი თავის აბონენტებს უხდის ბოდიშს.

ადმინისტრაცია.

---

## განცხადება
### სს „დეზებიანი მამლების“ აქციონერთა საყურადღებოდ

2001 წლის 15 დეკემბერს, 12 საათზე დანიშნულია სს „დეზებიანი მამლების“ აქციონერთა საერთო კრება შემდეგი დღის წესრიგით:

1. ერთობლივად დაფუძნებული შპს „სავანე-XXI“ საქმიანობის შესახებ.

2. ორგანიზაციული საკითხი.

კრება ჩატარდება შემდეგ მისამართზე: საჩხერის რაიონი, სოფელი სავანე, სს „დეზებიანი მამლები“.

სს „დეზებიანი მამლების“
დირექცია.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 279. ოთხშაბათი, 14 ნოემბერი, 2001 წელი.

ორბიტაზე

# ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი პოლიტიკურ მხარდაჭერას უცხადებს ამერიკას ავღანეთში ანტიტერორისტული ოპერაციების განხორციელებაში

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსისადმი ანტიტერორისტული ოპერაციების განხორციელებაში პოლიტიკური მხარდაჭერის დადასტურებას მიეძღვნა 8 ნოემბერს ევროპის საბჭოს საგარეო საქმეთა მინისტრთა კომიტეტის 109-ე სხდომა. იმის გათვალისწინებით, რომ ევროპის საბჭო უმთავრესად უფლებათა დაცვის ორგანიზაციად გვევლინება და მას არა აქვს სამხედრო მოქმედებათა განხორციელების არც პრაქტიკული და არც თეორიული უფლება, მას შეუძლია მხოლოდ სამართლებრივი ნორმების დაცვის საფუძველზე გამოუცხადოს პოლიტიკური მხარდაჭერა ამერიკასა და ევროპის ქვეყნებს ავღანეთში ანტიტერორისტული ოპერაციების განსახორციელებლად. ამგვარი მხარდაჭერის მიუხედავად, ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა ვალტერ შვიმერმა და ევროპის საბჭოს წევრი 43 ქვეყნის საგარეო უწყებათა ხელმძღვანელებმა მინისტრთა კომიტეტის სხდომის ფარგლებში არაერთხელ აღნიშნეს, რომ სამხედრო ოპერაციების განხორციელებისას და ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლის დროს მაქსიმალურად უნდა იყოს გათვალისწინებული ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ქარტიის პრინციპები. სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ტერორისტებმა და 11 სექტემბერს დატრიალებული ტერორისტული აქტების ორგანიზატორებმა პასუხი უნდა აგონ საერთაშორისო სასამართლოს წინაშე და ამ ბრძოლას არ უნდა ჰქონდეს ძალისმიერი რევანშის ხასიათი.

მინისტრთა კომიტეტის ფარგლებში გამართულ პირისპირ შეხვედრისას ნატოს გენერალურ მდივანს ლორდ რობერტსონს ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა ვალტერ შვიმერმა სწორედ ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების პოლიტიკური მხარდაჭერა დაუდასტურა საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

ევროპის საბჭოს ფარგლებში, მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილებით ევროპის სახელმწიფოებში ანტიტერორისტული მოქმედებებისათვის შემუშავდება ერთობლივი გეგმა, შეიქმნება ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლი მრავალმხრივი ჯგუფი, ასევე გაეროს ეგიდით ჩამოყალიბდება გლობალური ანტიტერორისტული სისტემა, რომელთა უწინარესი მიზანი იქნება მსოფლიოში ახალ ტერორისტულ საშიშროებათა და გამოწვევათა თავიდან აცილება. მინისტრთა კომიტეტის წევრების აზრით, უწინარესად ტერორისტულ ორგანიზაციებს უნდა გამოეცალოს ეკონომიკური საფუძველი და ფინანსური წყარო. ასევე, ტერორისტების მსგავსად საერთაშორისო სამართლის წინაშე თანაბრად უნდა აგონ პასუხი ტერორისტულ ორგანიზაციათა დამფინანსებლებმა და სხვა ხელშემწყობმა პირებმა.



მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებულ ერთობლივ კომუნიკეში, რომელსაც 43 ქვეყნის საგარეო უწყებათა ხელმძღვანელები აწერენ ხელს, ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ გლობალური ანტიტერორისტული კამპანიის წარმართვა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ცალკეულმა სახელმწიფოებმა შენიღბულად არ უნდა გამოიყენონ საკუთარი პოლიტიკური ინტერესების განსახორციელებლად. ბრძოლა უნდა წარიმართოს კომპლექსურად, უკომპრომისოდ და ამასთან ევროპულ სამართლებრივ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციასა და შესაბამისობაში. საგარეო უწყებათა ხელმძღვანელების აზრით, ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში უნდა გაძლიერდეს და გაფართოვდეს, უფრო სრულყოფილი უნდა გახდეს იუსტიციის სისტემები და ადგილობრივი სასამართლო ხელისუფლება, ევროპული კონვენციების შიდა კანონმდებლობასთან ჰარმონიზება კი ცალკეულ ქვეყნებში 21-ე საუკუნის ყველაზე მძიმე სენის – ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლასა და ტერორისტულ საშიშროებათა წინაპირობების ლოკალურად აღმოფხვრას გაცილებით ეფექტიანს გახდის.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სხდომაზე საქართველოს წარმომადგენელმა, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ შოთა დოღონაძემ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ საქართველო მიესალმება და ერთმნიშვნელოვნად უჭერს მხარს ევროპის საბჭოს ფარგლებში ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ერთობლივი ჯგუფის შექმნის იდეას, რადგან ეს, მისი აზრით, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს საშუალებას მისცემს ადეკვატური რეაგირება მოახდინოს საერთაშორისო მოვლენებზე, ასევე მინისტრთა კომიტეტის წევრებს საშუალება მიეცემათ გააძლიერონ კონტროლი ჩვენს კონტინენტზე მიმდინარე ნეგატიური მოვლენების თავიდან ასაცილებლად. შოთა დოღონაძემ მინისტრთა კომიტეტის წევრებს გააცნო ტერორიზმის ის შედეგები, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ განიცადა. ქვეყანაში ბოლო პერიოდში შექმნილ ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად კი საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ საჰაერო სივრცის პერმანენტული დარღვევა და კოდორის ხეობის დაბომბვის ფაქტები დაასახელა.

აღსანიშნავია, რომ მინისტრთა კომიტეტის სხდომის ფარგლებში გაიმართა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის შოთა დოღონაძისა და ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის ვალტერ შვიმერის პირისპირ შეხვედრა. შოთა დოღონაძემ ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს დეტალურად გააცნო ბოლო დროს საქართველოში განვითარებული პოლიტიკური მოვლენები და აღნიშნა, რომ ქვეყანაში შექმნილი დროებითი პოლიტიკური კრიზისის მიუხედავად საქართველო ერთმნიშვნელოვნად იცავს ევროპის საბჭოს პრინციპებსა და საბაზისო ნორმებს, არ უხვევს დემოკრატიული განვითარების კურსს. ვალტერ შვიმერმა რწმენა გამოთქვა, რომ ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება უახლოეს დროში დაუბრუნდება ჩვეულ მუშაობის რიტმს.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ შოთა დოღონაძემ ევროპის საბჭოში ვიზიტის ფარგლებში ხელი მოაწერა ევროპულ კონვენციას კრიმინალურ სფეროში ურთიერთდახმარების შესახებ. ხელმოწერის ცერემონიას ესწრებოდა ორგანიზაციის გენერალური მდივანი ვალტერ შვიმერი.

**ნინო გაბრიაძე,**
**საქინფორმის სპეც. კორ.**
**სტრასბურგი.**

მკითხველის თვალსაზრისი

# მეცხრე ჯვაროსნული ლაშქრობა?

პალესტინის წმინდა მიწა ოდითგანვე პოლიტიკური და სარწმუნოებრივი დაპირისპირების კერა იყო. იერუსალიმი ქრისტიანთა, იუდეველთა და მუსულმანთა სათაყვანებელი ადგილია. მიუხედავად ამისა, ამ სამი რელიგიის წარმომადგენლებიდან არც ერთი არ ერიდება ყველასათვის წმინდა ქალაქში სისხლისღვრას. ეს დაპირისპირება სათავეს შორეულ წარსულში იღებს – ებრაელთა და ფილისტიმელთა ომებიდან (სახელი „პალესტინა“ სწორედ ამ უკანასკნელთაგან მომდინარეობს). ალბათ, ყველამ ვიცით, შერკინება ფილისტიმელ გოლიათსა და ებრაელთა უდიდეს მეფე დავითს შორის. დავითმა გოლიათი შურდულით მოკლა, დღემდე ასეთი „სცენარით“ მიმდინარეობს ომი. პალესტინელების ძალას ებრაელები მოხერხებულობასა და ტექნიკას უპირისპირებენ. დრო გავიდა, შეიცვალა ბრძოლის მანერა (შურდულისა და ქვის მაგივრად – ავიაგამანადგურებელი და რაკეტები), არ შეცვლილა ხალხის დამოკიდებულება ათასწლეულების მანძილზე. იერუსალიმს უამრავი უბედურება დაატყდა თავს. თითქოს პირდაპირი მნიშვნელობით ისმის ახლა იესოს სიტყვები „იერუსალიმ, ცამდე ამაღლებულო: ჯოჯოხეთამდე დაემხობი“.

2001 წლის 11 სექტემბერს ამერიკაში დატრიალებულმა უბედურებამ, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდი გამოხმაურება ჰპოვა. ცივილიზებული მსოფლიო შეძრწუნებულია (იძულებული ვარ დავაკონკრეტო, რადგან, ჩვენდა სამწუხაროდ, „ტერორისტებიც“ მსოფლიოს ნაწილი არიან) და მხარში უდგას ამერიკის შეერთებულ შტატებს. დედამიწის თავზე ცა საომრად არის მოქუფრული. როგორც ვხედავთ, დიდი სამხედრო დაპირისპირება გარდაუვალია. თუ ამერიკა ტერორისტებსა და მათ მფარველ ქვეყნებს არ დასჯის, პრესტიჟი საკმაოდ შეელახება, როგორც მსოფლიოს, ისე საკუთარი ხალხის თვალში. ელემენტარულად, ანგარიშს აღარავინ გაუწევს ამ უძლიერეს ქვეყანას. ბოროტმოქმედებიც გათავხედდებიან და მსგავს „ტერაქტებს“ კიდევ მოგვიწყობენ. ტერორისტების დასჯა არა მარტო ამერიკას, არამედ მთელ მსოფლიოს სჭირდება. აქედან გამომდინარე, ყველა უნდა დავეხმაროთ შეერთებულ შტატებს, ვისაც როგორ შეგვიძლია. ეს ჩვენს ინტერესებშიც შედის.

რადგანაც ჩვენს ინტერესებს შევეხეთ, დავუფიქრდეთ, რა მდგომარეობაში აღმოჩნდება საქართველო ამ ომში. ჩვენი ქვეყნის ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობა, მარტო „აბრეშუმის გზით“ არ გვახარებს. „ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფია“. თუ გაქვს ლამაზი ქვეყანა და გზაჯვარედინზე ცხოვრობ, გარეშე მტრებისგან ყოველთვის გემუქრება საფრთხე. ამის ნათელი მაგალითი ჩვენი ისტორიაა. სამწუხაროდ, ძველთაგანვე დაგვებედა, დიდი ომიანობის დროს ვიღაცას მივეკედლოთ და ყოფნა-არყოფნა ხშირად სწორ არჩევანზე იყო ხოლმე დამოკიდებული. ყოველთვის ერთმორწმუნე ქვეყნების გვერდით ვიდექით და აქამდე, მრავალი განსაცდელის მიუხედავად, ღირსეულად მოვედით. მოსალოდნელია „საღვთო ომი“, „მეცხრე ჯვაროსნული ლაშქრობა“. მაჰმადიანური სამყაროს დიდი ნაწილი შეფარულად მაინც დაეხმარება ტერორისტებს. არ ჩამთვალოთ მილიტარისტულად განწყობილ ადამიანად, უბრალოდ ჩემი მცირე შესაძლებლობებით, ვცდილობ რეალურად აღვწერო შექმნილი მდგომარეობა.

ამას წინათ საქართველოში ჩამოვიდა ჯონ-მალხაზ შალიკაშვილი, რომელიც რამდენიმე წლის წინათ შეერთებულ შტატებში პირველი სამხედრო პირი იყო. დაგეგმილია, ჩვენს ქვეყანას საჩუქრად გადაეცეს რვა სამხედრო ვერტმფრენი. ჯონ-მალხაზ შალიკაშვილმა აღნიშნა, რომ ქართველები ვალდებულნი ვართ მხარში ამოვუდგეთ ერთმორწმუნე ამერიკას. „ზოგი ჭირი მარგებელია“ და პირიქით. აღმოსავლეთ-დასავლეთის გასაყარზე ვცხოვრობთ, ამას დადებითი მხარეების გარდა, უარყოფითიც ბლომად აქვს. ავღანელები იმუქრებიან, რომ თავს დაესხმებიან ყველა იმ ქვეყანას, რომელიც ამერიკას დაეხმარება. თითქოს ისტორია განმეორდება. ადრე ირანელებთან ერთად ვებრძოდით ავღანებს. „ირანელები ჩვენთან შედარებით დიაცები არიან, ჩვენ კი ქართველებთან შედარებით ვართ დიაცები“, – ეს სიტყვები სწორედ ავღანელებს ეკუთვნით. თუმცა ახლა არც მეთვრამეტე საუკუნეა და არც... მოგვიანებით რუსეთსაც ვეხმარებოდით ავღანეთის წინააღმდეგ ომში. ორივე შემთხვევაში – იძულებით.

ისე ელაპარაკობ, თითქოს უკვე ომში ვიყოთ ჩართულნი. ღმერთსა ვთხოვ ჩვენი ქვეყნისთვის ყველაფერმა კარგად ჩაიაროს, მაგრამ ისე კი არა, ლოკოკინასავით ნიჟარაში შევიმალოთ. ამით კიდევ უფრო დავანახებთ მსოფლიოს ჩვენს უბედურებასა და უმნიშვნელობას. ჩრდილოეთიდან თუ სამხრეთიდან მაჰმადიანური სამყაროს გარემოცვაში ვიმყოფებით, გარს კეთილი და ბოროტი მეზობლები გვახვევია. კვლავ ისტორიას გადავხედოთ. დავით აღმაშენებელს ძალზე გაუჭირდებოდა სელჩუკების უზარმაზარ იმპერიასთან გამკლავება, მისი მოღვაწეობა ჯვაროსნულ ომს რომ არ დამთხვეოდა. საქართველო ყოველთვის ქრისტიანობის დასაყრდენად და ბურჯად ითვლებოდა ახლო აღმოსავლეთში, აგრესორი მაჰმადიანების წინააღმდეგ. ამიტომაც მრავალი ნიუანსი და ფაქტია გასათვალისწინებელი, როგორც წარსულიდან, ისე დღევანდელობიდან.

**ალექსანდრე ძურხული.**



# ოპერაცია „უდრეკი თავისუფლება“



**ის, რომ ბუშსა და პუტინს შორის განსაკუთრებული პირადი ურთიერთობა დამყარდა, ცხადი გახდა მათი პირველი შეხვედრისთანავე, რომელიც ლუბლიანაში გაიმართა.**

შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის ურთიერთობის შემობრუნების პუნქტი გახდა 11 სექტემბრის მოვლენები. ზოგიერთი მიმომხილველი ახლანდელ სიტუაციას ადარებს მეორე მსოფლიო ომის პერიოდს, ოღონდ, ახლა ნაცისტური გერმანიის ნაცვლად მოკავშირეთა საერთო მტერი გახდა საერთაშორისო ტერორიზმი.

ბევრი რამ არის დამოკიდებული ბუშისა და პუტინის მომავალ ტეხასის შეხვედრაზე, რომელსაც მიმომხილველები ორი ქვეყნის ურთიერთობის რადიკალურ ცვლილებებს უკავშირებენ.

ამერიკელი სამხედრო ექსპერტები განაგრძობენ მუშაობას სტრატეგიული შეიარაღების შემცირების ახალ წინადადებებზე მას შემდეგ, რაც რუსეთმა აგრძნობინა, რომ ამგვარმა ვარიანტმა შეიძლება, ხელი შეუწყოს რუსეთის თანხმობას არსებული ხელშეკრულების შეცვლაზე.

მაგრამ, თუ ორმხრივი ურთიერთობა უეცრად უარესობისაკენ შეიცვალა, მაშინ შეერთებული შტატები ცალმხრივად გავა ხელშეკრულებიდან.

ამ შემთხვევაში ორივე ქვეყანაში გაიმარჯვებენ კონსერვატორები, რომლებსაც დღესდღეობით დაკარგული აქვთ ძველი გავლენა.

ამერიკის ქალაქებზე თავდასხმების შემდეგ ძირეულად შეიცვალა რუსეთის მხარის პოზიცია, რომელიც დაჟინებით მოითხოვდა მრავალპოლარული მსოფლიოს შექმნას, ანუ, ფაქტობრივად, მოუწოდებდა ისეთი კოალიციის ჩამოყალიბებას, რომელიც, დაუპირისპირდებოდა შეერთებული შტატების დომინირებას მსოფლიო ასპარეზზე.

მაგრამ პუტინისა და ჩინეთის ლიდერის ძიან ძემინის ოქტომბრის შეხვედრის შემდეგ, ორი ქვეყნის ლიდერებმა მოუწოდეს ყველა სახელმწიფოს, შეუერთდნენ შეერთებული შტატების ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებულ კოალიციას საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ჯერჯერობით შეერთებული შტატებისადმი რუსეთის ხელშეწყობის გამოხატულება შემდეგია:

- **სადაზვერვო მონაცემების გადაცემა იმ გამოქვაბულებსა და გვირაბებზე, რომელშიც შეიძლება იმალებოდეს უსამა ბენ ლადენი.**
- **ხელშეწყობა ცენტრალური აზიის ქვეყნების მოსაზიდად შეერთებული შტატებისადმი დახმარებისათვის.**
- **ჩრდილოეთის ალიანსის ძალებისათვის შეიარაღების გადაცემის დაპირება.**
- **რუსეთის საჰაერო სივრცის გახსნა ჰუმანიტარული მისიით მიმავალი თვითმფრინავებისათვის.**
- **რუსეთის ჯარების შეთავაზება ავღანეთში საძიებო-მაშველი ოპერაციების მოსაწყობად.**
- **მედიკამენტების გადაცემა და დახმარება ჯილეხით დაავადებულთა მკურნალობაში.**

## ბუში და პუტინი: შეხვედრის პერსპექტივა



თავის მხრივ, შეერთებულმა შტატებმა გადაწყვიტა, მიიჩნიოს რუსეთი თავის ერთ-ერთ უახლოეს მოკავშირედ. ეს დაადასტურა ორი ლიდერის სატელეფონო საუბარმაც ავღანეთზე ავიადარტყმების დაწყების წინ.

ვაშინგტონმა აგრეთვე მოსთხოვა ჩეჩენთა ლიდერს ასლან მასხადოვს, გაწყვიტოს ყოველგვარი ურთიერთობა ტერორისტებთან, თორემ შეერთებული შტატები მათთან კავშირს გაწყვეტს.

გარდა ამისა, აშშ-მ აღუთქვა რუსეთს დახმარება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესასვლელად.

მაშინაც კი, თუ რუსეთ-ამერიკის სამიტზე მიაღწევენ პროგრესს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის საკითხში, აგრეთვე ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებისა და ყოფილი ბალტიისპირა რესპუბლიკების ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში მიღების პრობლემასთან დაკავშირებით, ეს მაინც ვერ აღმოფხვრის ორმხრივ ურთიერთობაში არსებულ ყველა პრობლემას.

კერძოდ, საქმე ეხება უთანხმოებებს ანტიტერორისტული ოპერაციის შემდგომი მიმდინარეობის გამო.

საეჭვოა, რომ რუსეთი დათანხმდეს შესაძლო წინადადებას, განახორციელონ ავიადარტყმები ერაყზე, ანდა იმას, რომ შეერთებულმა შტატებმა მოისურვოს, შეინარჩუნოს სამხედრო ყოფნა ცენტრალური აზიის ქვეყნებში. მაგრამ ეს ჯერჯერობით მხოლოდ შორეული პერსპექტივებია, და თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, თუ რა სწრაფად იცვლის კრემლი დამოკიდებულებას სხვადასხვა საერთაშორისო პრობლემებისადმი, შეუძლებელია იმის განჭვრეტა, თუ როგორი იქნება ოფიციალური მოსკოვის პასუხი მოვლენებზე, რომლებიც შეიძლება რამდენიმე კვირის ან რამდენიმე თვის შემდეგ მოხდეს.

# ოპოზიციის ჯარები ჰერათში შევიდნენ

**ჩრდილოეთის ალიანსის ჯარებმა დაიკავეს ქალაქი ჰერათი, რომელიც ირანსა და თურქმენეთში მიმავალი სატრანსპორტო არტერიების გზაჯვარედინზე მდებარეობს.**

ეს მონაცემები უკვე დაადასტურეს დამოუკიდებელმა წყაროებმა. ჰერათის ხელში ჩაგდება იმის მომასწავებელია, რომ ჩრდილოეთის ალიანსს გზა გაეხსნა თალიბების დასაყრდენზე – ქალაქ ყანდაჰარზე, სადაც თალიბანის სულიერი ლიდერი მოლა ომარი ცხოვრობს.



თალიბები ჯერჯერობით არ განმარტავენ ინფორმაციას ჰერათის დაკარგვის შესახებ. მოდის, აგრეთვე, ცნობები, რომ ოპოზიციამ თალიბები გაყარა მათი პოზიციებიდან ქაბულის ჩრდილოეთით. როგორც ალიანსის წარმომადგენლები ამბობენ, მათ უკვე დაიწყეს სრული მასშტაბის შეტევა ქვეყნის დედაქალაქზე.

შეერთებული შტატებისა და პაკისტანის ხელისუფლებმა ჩრდილოეთის ალიანსს მოუწოდეს, არ იჩქაროს ქაბულის იერიში. ამ ქვეყნების დიპლომატები თვლიან, რომ შეტევამ შეიძლება, გაართულოს ავღანეთის ახალი სამოქალაქო მთავრობის შექმნა.

ამავე დროს ოპოზიციის ჯარისკაცები აცხადებენ, რომ არ სურთ დაკარგონ წინა კვირის დამლევს აღებული ტემპი, როდესაც დაიწყო ალიანსის ფართო მასშტაბის შეტევა ავღანეთის მთელ ჩრდილოეთში.

### ჟურნალისტთა დაღუპვა

**როგორც უკვე ვიუწყებოდით, ავღანეთის ჩრდილოეთიდან მოვიდა ცნობები, რომ ორშაბათს მიმდინარე კამპანიის დროს პირველად დაიღუპნენ ჟურნალისტები** – ცნობილი გახდა, რომ თალიბთა ჯარისკაცები თავს დაესხნენ ჩრდილოეთის ალიანსის ავტოკოლონას, რომელსაც რამდენიმე უცხოელი რეპორტიორი ახლდა.

სამი მათგანი – ორი ფრანგი და ერთი გერმანელი – დაიღუპა. უკვე ცნობილია, რომ ისინი წარმოადგენდნენ რადიო ფრანს ინტერნაციონალს, ლუქსემბურგის ერ-ტე-ელ კომპანიას და ჟურნალ „შტერნს“. ამავე კოლონაში მყოფი ამერიკელი ჟურნალისტი დაიჭრა, ხოლო მათი თანხმლები ავღანელი თარჯიმანი უკვალოდ დაიკარგა.

### თალიბები უკან იხევენ

**მას შემდეგ, რაც დაეცა სტრატეგიული მნიშვნელობის ქალაქი მაზარი-შარიფი, ოპოზიცია კონტროლს უწევს ქვეყნის თითქმის მთელ ჩრდილოეთს.**

კვირას ჩრდილოეთის ალიანსმა ხელში ჩაიგდო ქალაქი ტალუკანი და ამით თალიბებს გზა გადაუკეტა ავღანეთის ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ.

როგორც ბი-ბი-სის კორესპონდენტები იუწყებიან, თალიბები ტოვებენ თავიანთ პოზიციებს ჩრდილოეთ და ცენტრალურ ავღანეთში.

მოდის, აგრეთვე, ცნობები, რომ გააფთრებული ბრძოლების შემდეგ ჩრდილოეთის ალიანსმა შეძლო, ხელში ჩაეგდო მნიშვნელოვანი ქალაქი პული-ყუმრი, რომელიც მაზარი-შარიფსა და ქაბულს შუა მდებარეობს.

# კატასტროფა ნიუ-იორკში

**როგორც ვიუწყებოდით, ნიუ-იორკის კვინსის რაიონში, დაბა როკუეი-ბიჩში, კენედის სახელობის საერთაშორისო აეროპორტის მახლობლად, ორშაბათს ჩამოვარდა „ამერიკან აირლაინს“ ავიაკომპანიის „ა-300“ სამგზავრო თვითმფრინავი.**

თვითმფრინავში იყო 246 მგზავრი და 10 ეკიპაჟის წევრი. ლაინერის მიწაზე დანარცხებისას ჩამოინგრა ოთხი სახლი და ძლიერი ხანძარი გაჩნდა. დედამიწაზე დაღუპულთა რიცხვი ჯერჯერობით უცნობია.

თეთრი სახლის პრესმდივანმა არი ფლეიშნერმა თქვა, რომ ავიადისპეტჩერებს თვითმფრინავიდან არ მიუღიათ არავითარი განგაშის სიგნალი ან საგანგებო ცნობა. არ დაადასტურა ფლეიშნერმა არც ცნობები ლაინერში მომხდარი აფეთქების შესახებ.

აშშ ავიაციის ფედერალური სამმართველოს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თვითმფრინავთან კონტაქტი დაიკარგა აფრენიდან ოთხი წუთის შემდეგ. დაცემის ადგილი დაახლოებით 12 კილომეტრზეა კენედის აეროპორტიდან.

ნიუ-იორკში დარიანი დღე იყო და ამინდის პირობები აშკარად ვერ გახდებოდა კატასტროფის მიზეზი.

ერთ-ერთი თვითმხილველის თქმით, ჯერ კიდევ მიწაზე დანარცხებამდე თვითმფრინავს მარცხენა მხარეს ცეცხლი ეკიდა. შემდეგ ცნობილი გახდა, რომ ერთ-ერთი ძრავა თვითმფრინავს მოძვრა – ტელეარხებმა აჩვენეს მისი ნამსხვრევები დედამიწაზე.



როგორც ავიაციის ფედერალური სამმართველო იუწყება, 587 რეისი კენედის აეროპორტიდან დომინგოს რესპუბლიკაში მიემართებოდა. სამი ახლომდებარე აეროპორტი მაშინვე დაიკეტა.

ქალაქის მერმა რუდოლფ ჯულიანიმ, რომელიც კატასტროფის ადგილზე იმყოფებოდა, განაცხადა, რომ ერთხანს დაკეტილი იქნება ყველა გვირაბი და ხიდი, ალყაშემორტყმულია, აგრეთვე, გაეროს შტაბბინა, სადაც შაბათს გენერალური ასამბლეის სესია დაიწყო.

# საინფორმაციო მოზაიკა
## BBC, CNN, საქინფორმი.

### ქაბული დაეცა

თალიბების ძალებმა, როგორც ჩანს, დატოვეს ქაბული. ბი-ბი-სის ქაბულელი კორესპონდენტი იუწყება, რომ თალიბთა ავტოკოლონები სამხრეთისაკენ მიემართებოდნენ. ქალაქის ცენტრში უკვე გამოჩნდნენ ჩრდილოეთის ალიანსის მებრძოლები. კანტი-კუნტად ისმის სროლა, მაგრამ ქალაქში მთლიანად სიმშვიდეა. ჩრდილოეთის ალიანსის მთავარსარდალმა თავის მებრძოლებს უბრძანა, არ დაიკავონ ქაბული. გენერალი იმედოვნებს, რომ ქალაქში შევლენ მართლწესრიგის გაწვრთნილი ძალები. ქაბულის მიდამოებში ალიანსის მებრძოლებს მიესალმებოდნენ ადგილობრივი გლეხები, ხოლო ქალაქის მცხოვრებნი გაიძახოდნენ: „სიკვდილი თალიბებს!“



* * *

უკანასკნელი ცნობების თანახმად, ალიანსის ძალებმა ხელში ჩაიგდეს ყანდაჰარის აეროპორტი. ქალაქში გრძელდება სროლა. ჯერჯერობით არ არის არავითარი დაწვრილებითი ინფორმაცია, თუ როგორ შეძლეს ალიანსის ძალებმა ასე სწრაფად დაწინაურებულიყვნენ.

### პროტესტები გერმანიაში

გერმანელი ბირთვული ენერგიის მოწინააღმდეგენი ცდილობენ, გააჩერონ მატარებელი, რომელსაც ბირთვული ნარჩენები მიაქვს საფრანგეთიდან ქალაქ გორლებენში. დემონსტრატებმა დროებით გადაკეტეს რკინიგზის ლიანდაგი ქალაქ ხიტცაკერის მიდამოებში. დაპატიმრებულია ათზე მეტი კაცი. მატარებლის ლიანდაგის გაყოლებით მრავალი ასეული პოლიციელია განლაგებული.

### ირლანდიის ჯარები ლიბანს ტოვებენ

გუშინ ლიბანის სამხრეთიდან გავიდნენ ირლანდიის ჯარები. ისინი აქ იმყოფებოდნენ გაეროს სამშვიდობო ძალების შემადგენლობაში. საერთო ანგარიშით, ლიბანში 23 წლის მანძილზე მსახურობდა ოცი ათასზე მეტი ირლანდიელი. ამ დროის განმავლობაში დაიღუპა 45 სამხედრო მოსამსახურე.

### კორეა: ოჯახები ერთიანდებიან

ჩრდილოეთი და სამხრეთი კორეა შეთანხმდნენ, განახორციელონ ოჯახების მორიგი შეერთება. ყოველი მხრიდან ას-ასი კაცი შეხვდება თავის ნათესავებს, რომლებიც ცეცხლის შეწყვეტის მეორე მხარეს აღმოჩნდნენ ნახევარი საუკუნის წინათ კორეის ომის დამთავრებისას. შეხვედრა ჩრდილოეთ კორეაში გაიმართება. თავდაპირველად ოჯახების შეერთება ოქტომბრისათვის იყო დაგეგმილი. მაგრამ ჩრდილოეთმა კორეამ გააუქმა იგი იმის გამო, რომ სამხრეთმა კორეამ თავისი შეიარაღებული ძალები საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანა შეერთებულ შტატებში განხორციელებული ტერაქტების შემდეგ.

### ამერიკელი მშვიდობისმყოფელი სუდანში

აშშ წარმომადგენელი ჯონ დანფორტი ოთხი დღის ვიზიტად ჩავიდა სუდანის დედაქალაქ ხართუმში. მისი ამოცანაა, დაამყაროს მშვიდობა ამ ქვეყანაში. დანფორტი მოლაპარაკებას გამართავს სუდანის პრეზიდენტთან ომარ ალ ბაშირთან, შეხვდება აგრეთვე სუდანის განთავისუფლების სახალხო არმიის ამბოხებულ წარმომადგენლებს.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით უძღვება
**არჩილ მანჯგალაძე.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ეროვნული ბიბლიოთეკა


## საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

**მოწვევა საკონკურსო ვაჭრობაზე**

**ქ. თბილისში გლდანის მასივის IV-VI მ/რაიონების შემაერთებელი გზის კაპიტალური შეკეთება**

1. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე) დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ დალუქული კონვერტები საკონკურსო წინადადებით ქ. თბილისში გლდანის მასივის IV-VI მიკრორაიონების შემაერთებელი გზის (საერთო სიგრძით 745 მ.) კაპიტალური შეკეთების სამუშაოების წარმოებაზე, რაც მოიცავს გზის საფარისა და საფუძვლის მოწყობას, ბორდიურების მოწყობას, ტროტუარების მოწყობას, ცხაურების მოწყობას, მიერთებების მოწყობას, ლიანდაგების დემონტაჟს და სხვა სამუშაოებს (კონტრაქტის № TBILISI/NCB-056/01).

2. საკონკურსო დოკუმენტაცია (და, აგრეთვე, დამატებითი ასლები) კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ მუნიციპალური განვითარების ფონდში მისამართზე: **თბილისი, 380077, ვაჟა-ფშაველას გამზ. №41 ტელ: 94-32-40; 94-29-47 ფაქსი: 94-04-39,** თითოეული კომპლექტისათვის აუნაზღაურებადი 50 ლარის გადახდისას შემდეგ ანგარიშზე:

**თბილუნივერსალბანკი**
**თბილისი, კოსტავას 70**
**ანგარიში №3608000763**
**ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.**

დაინტერესებულ მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფისში.

3. საკონკურსო წინადადებები ძალაში უნდა იყოს 90 დღის განმავლობაში კონკურსის გახსნის დღიდან და მათ თან უნდა ახლდეს **წინადადების საბანკო გარანტია 7.000 ლარის ოდენობით.** საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში ზემოთ აღნიშნულ მისამართზე **არაუგვიანეს 2001 წლის 14 დეკემბრის 12 საათისა.** ყველა საკონკურსო წინადადება გაიხსნება კონკურსის იმ მონაწილეთა თანდასწრებით, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს, დაესწრონ წარმოდგენილი წინადადებების გახსნის პროცედურას.

## საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

**მოწვევა საკონკურსო ვაჭრობაზე**

**ქ. თბილისში გლდანის მასივის IV მ/რაიონისა და ტულენევის ქუჩის შემაერთებელი გზის კაპიტალური შეკეთება**

1. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე) დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ დალუქული კონვერტები საკონკურსო წინადადებით ქ. თბილისში გლდანის მასივის IV მიკრორაიონისა და ტულენევის ქუჩის შემაერთებელი გზის (საერთო სიგრძით 805 მ.) კაპიტალური შეკეთების სამუშაოების წარმოებაზე, რაც მოიცავს გზის საფარისა და საფუძვლის მოწყობას, ბორდიურების მოწყობას, ტროტუარების მოწყობას, ცხაურების მოწყობას, მიერთებების მოწყობას, ლიანდაგების დემონტაჟს და სხვა სამუშაოებს (კონტრაქტის № TBILISI/NCB-057/01).

2. საკონკურსო დოკუმენტაცია (და, აგრეთვე, დამატებითი ასლები) კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ მუნიციპალური განვითარების ფონდში მისამართზე: **თბილისი, 380077, ვაჟა-ფშაველას გამზ. №41 ტელ: 94-32-40; 94-29-47 ფაქსი: 94-04-39,** თითოეული კომპლექტისათვის აუნაზღაურებადი 50 ლარის გადახდისას შემდეგ ანგარიშზე:

**თბილუნივერსალბანკი**
**თბილისი, კოსტავას 70**
**ანგარიში №3608000763**
**ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.**

დაინტერესებულ მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფისში.

3. საკონკურსო წინადადებები ძალაში უნდა იყოს 90 დღის განმავლობაში კონკურსის გახსნის დღიდან და მათ თან უნდა ახლდეს **წინადადების საბანკო გარანტია 6.000 ლარის ოდენობით.** საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში ზემოთ აღნიშნულ მისამართზე არაუგვიანეს **2001 წლის 14 დეკემბრის 12 საათისა.** ყველა საკონკურსო წინადადება გაიხსნება კონკურსის იმ მონაწილეთა თანდასწრებით, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს, დაესწრონ წარმოდგენილი წინადადებების გახსნის პროცედურას.

## საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

**მოწვევა საკონკურსო ვაჭრობაზე**

**ქ. თბილისში გლდანის მასივის VIII-VII მ/რაიონების შემაერთებელი გზის კაპიტალური შეკეთება**

1. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე) დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ დალუქული კონვერტები საკონკურსო წინადადებით ქ. თბილისში გლდანის მასივის VIII-VII მიკრორაიონების შემაერთებელი გზის (საერთო სიგრძით 496 მ.) კაპიტალური შეკეთების სამუშაოების წარმოებაზე, რაც მოიცავს გზის საფარისა და საფუძვლის მოწყობას, ბორდიურების მოწყობას, ტროტუარების მოწყობას, სათვალთვალო ჭების ნიშნულების მოსწორებას, ცხაურების მოწყობას, მიერთებების მოწყობას, ლიანდაგების დემონტაჟს (402 მ.) და სხვა სამუშაოებს (კონტრაქტის № TBILISI/NCB-059/01).

2. საკონკურსო დოკუმენტაცია (და, აგრეთვე, დამატებითი ასლები) კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ მუნიციპალური განვითარების ფონდში მისამართზე: **თბილისი, 380077, ვაჟა-ფშაველას გამზ. №41 ტელ: 94-32-40; 94-29-47 ფაქსი: 94-04-39,** თითოეული კომპლექტისათვის აუნაზღაურებადი 50 ლარის გადახდისას შემდეგ ანგარიშზე:

**თბილუნივერსალბანკი**
**თბილისი, კოსტავას 70**
**ანგარიში №3608000763**
**ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.**

დაინტერესებულ მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფისში.

3. საკონკურსო წინადადებები ძალაში უნდა იყოს 90 დღის განმავლობაში კონკურსის გახსნის დღიდან და მათ თან უნდა ახლდეს **წინადადების საბანკო გარანტია 5.000 ლარის ოდენობით.** საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში ზემოთ აღნიშნულ მისამართზე არაუგვიანეს **2001 წლის 14 დეკემბრის 12 საათისა.** ყველა საკონკურსო წინადადება გაიხსნება კონკურსის იმ მონაწილეთა თანდასწრებით, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს, დაესწრონ წარმოდგენილი წინადადებების გახსნის პროცედურას.


**ფეხბურთი**

## დარჩა ორი უცნობი

**გუშინ** საქართველოს სტადიონებზე გაიმართა ფეხბურთელთა ეროვნული თასის გათამაშების ექვსი მერვედფინალური მატჩი. გაუწყებთ მათ შედეგებს:

**„ტორპედო"** – „მერანი" 4:0 (1:0),
„დილა" – **„ლოკომოტივი"** 0:2 (0:3),
**„ვიტ ჯორჯია"** – „სამგურალი" 1:0 (2:0),
„სიონი" – **„დინამო"** – 0:3 (0:2),
„კოლხეთი" – **„ბათუმი"** 0:1 (1:3),
„ქობულეთი" – **„გორდა"** 3:1 (0:2).

დღეს ზესტაფონის „მეტალურგი" თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს უმასპინძლებს (პირველი შეხვედრა – 0:3), წნორის „მილანისა" და ლანჩხუთის „გურიის" დუელი კი სტუმართა გუნდის უფროსის გულსუნდა დუნდუას გარდაცვალების გამო 21 ნოემბრისთვის გადაიდო (პირველი რაუნდი – 0:1).

**ფიგურული ციგურაობა**

## ვახტანგ მურვანიძეს — ოლიმპიადის საგზური



**ზაგრებში** დამთავრდა ფიგურულად მოციგურავეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი „ოქროს პირუეტი", რომელიც სოლტ ლეიკ-სიტის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ბოლო საკვალიფიკაციო ტურნირიც იყო. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენებთან ერთად ვაჟთა შორის ოლიმპიადის ბოლო 6 საგზურისთვის ჩვენი თანამემამულე ვახტანგ მურვანიძეც (მწვრთნელი ელენა ჩაიკოვსკაია) იბრძოდა. მან გაუძლო მძაფრ კონკურენციას, დაიკავა მე-3 საპრიზო ადგილი და სოლტ ლეიკ-სიტის ლიცენზიაც მოიპოვა. შეგახსენებთ, რომ ვახტანგ მურვანიძე კანადაში ბოლო მსოფლიო ჩემპიონატზე ტრავმირებული ასპარეზობდა და 25-ე ადგილზე გავიდა, ოლიმპიადის საგზურს კი პირველი ოცდაოთხი ადგილი იძლეოდა. როგორც ვხედავთ, მურვანიძემ ბოლო ცდაზე ოცნება რეალობად აქცია. აქამდე ეს უფლება მოპოვებული ჰქონდათ სამთომოთხილამურეებს – სოფიკო ახმეტელს და რობერტ მახარაშვილს, ტრამპლინიდან მხტომელ კახა წაქაძეს, რომლისთვის სოლტ ლეიკ-სიტი მესამე ოლიმპიადა იქნება.

**ლექსო ცინცაძე.**

**სურათზე: ვახტანგ მურვანიძე ასპარეზობისას.**

**ჭიდაობა**

## ის ურჩევნია მამულსა...

**გივი ჭიკაიძე** სსრკ ჩემპიონი იყო ახალგაზრდა ძიუდოისტთა შორის. აქტიური სპორტის შემდეგ ჯერ დუშეთის, შემდეგ ნაძალადევის რაიონის შს განყოფილების უფროსად მუშაობდა, მარმან კი 48 წლის ასაკში გარდაიცვალა.

სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის" თაოსნობით ნაძალადევში, მათსავე სპორტკომპლექსში გაიმართა გივი ჭიკაიძის სახელობის ტურნირი ჭაბუკ ძიუდოისტთა შორის.

ნიშანდობლივი იყო აბსოლუტურ წონაში გივის 15 წლის ვაჟის, ლიცეუმ „ივერიის" მეათეკლასელ ალექსი ჭიკაიძის გამარჯვება. მამის ხსოვნის ტურნირზე ბიძინა მაზიაშვილის მოწაფემ ყველა მეტოქე დაამარცხა და გლდანი-ნაძალადევის შს სამმართველოს (უფროსი თამაზ დავითაშვილი) მიერ დაწესებული მთავარი პრიზიც დაიმსახურა.



დანარჩენ წონით კატეგორიებში ჩემპიონები გახდნენ: ნიკა კუსიანი, ნუგზარ თავზარაშვილი (ორივე „შევარდენი"), შალვა რუაძე (ორსი), ლევან ნახუცრიშვილი („ლოკომოტივი"), თენგიზ პაპოშვილი, ლაშა ტეილდიანი (ორივე ორსი), ლევან იმერლიშვილი („შევარდენი"), დავით ხაბულიანი (ორსი), გივი დემეტრაშვილი („შევარდენი"), მიხეილ ყიფშიძე („მართვე"), ტარიელ ლვინიაშვილი, ალექსი ლვინიაშვილი (ორივე „შევარდენი").

**გაბრიელ ბარჯაძე.**

**სურათზე: ასპარეზობის მომენტი.**

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**

**ჯიუ-ჯიცუ**



## დიდი გამოცდის წინ

**ნაძალადევში, „ლოკომოტივის" საჭიდაო დარბაზში, გაიმართა აღმოსავლეთ ევროპის პირველი ჩემპიონატი ჯიუ-ჯიცუში". საქართველოს ნაკრებთან ერთად ამ ასპარეზობაზე უნდა გამოსულიყვნენ უკრაინის, პოლონეთის, რუსეთის და სომხეთის ნაკრები გუნდები, მაგრამ მხოლოდ საქართველოს, აზერბაიჯანისა და თბილისის წარმომადგენლები შეერკინენ ერთმანეთს.**

ასპარეზობის ორგანიზატორი გახლდათ 2000 წლის 23 დეკემბერს შექმნილი აღმოსავლეთ ევროპის ჯიუ-ჯიცუს საზოგადოება (პრეზიდენტი ავთანდილ მიქაძე). შეჯიბრების გამართვა შეთანხმებული იყო ჯიუ-ჯიცუს მსოფლიო ფედერაციასთანაც (პრეზიდენტი რივალდო ორლანდო, იტალია).

ჯიუ-ჯიცუ – კარატესა და ჭიდაობის სინთეზი – აღმოსავლური ორთაბრძოლებიდან ყველაზე ახლოს დგას ჭიდაობასთან. გაისად ქართველი ჯიუ-ჯიცუს ოსტატები პირველად გამოვლენ მსოფლიო ჩემპიონატზე.

„ლოკომოტივის" დარბაზში გამართული 3 გუნდის სპორტსმენთა შორის პირად პირველობაში გამარჯვებულნი გახდნენ: **ჭაბუკები** (6-დან 14 წლამდე): ავთანდილ მზარეულიშვილი (საქართველო), მირზა მამედოვი (აზერბაიჯანი), დავით ფურცელაძე (საქართველო), ბექა ერაძე (თბილისის ნაკრები), ზაზა უმფრიანი (საქართველო), ირაკლი მაღრაძე (თბილისის ნაკრები), ლევან ქლენტი (საქართველო).

**გოგონები:** ნინო ბიჩინაშვილი, თამუნა ბიჩინაშვილი (ორივე – საქართველოს ნაკრები). გამარჯვებული დებიდან ერთ-ერთი – 13 წლის თამუნა რუსეთის ჩემპიონიცაა თანატოლთა შორის და ზოგჯერ ბიჭების შეჯიბრებებშიც გამოდის...

**იუნიორები:** ასიფ გასანოვი (აზერბაიჯანი), ლევან ბუკია, გიგა სოსელია, შალვა ფუნთუშაშვილი (სამივე – საქართველო), ელმან მამედოვი (აზერბაიჯანი).

**მოზრდილები:** 62 კგ. ავთანდილ ცინცაძე (საქართველო), 69 კგ. ავგან მირზოევი (აზერბაიჯანი), 95 კგ. ლევან გოგოლაური (საქართველო), 94 კგ. გოჩა სეთური (თბ. ნაკრები). მოზრდილებში არის კიდევ 2 წონითი კატეგორია – 77 კგ და +94 კგ.

გუნდურ პირველობაში გაიმარჯვა საქართველოს ნაკრებმა, მეორე იყო სპორტკლუბ „კონაკანტეტეს", „ნეფტჩის", და „რეალ-აკიდოს" ჯიუ-ჯიცუს ოსტატებით დაკომპლექტებული აზერბაიჯანის გუნდი, მესამე – თბილისის ნაკრები.

**ბესიკ გაბრიაძე.**

**სურათებზე: ორთაბრძოლის მომენტი; ასპარეზობაში გამარჯვებულნი.**

**რობერტ ბაჯიანის ფოტო.**



**ქართული ჭიდაობა**

## ნახევრმოყრილი არენა — ყველასათვის

**გლდანი-ნაძალადევის** რაიონის გამგეობა და შესაბამისი სპორტის სამსახური ტრადიციულად მართავს გლდანის ღია პირველობას ქართულ ჭიდაობაში.



წლეულსაც, ამ გვიან შემოდგომაზე, კვლავ მოეწყო შეჯიბრება მეექვსე მიკრორაიონში მდებარე ჭიდაობის მოედანზე. ასპარეზობას რაიონის ხელმძღვანელობა და მრავალი მაყურებელი დაესწრო.

შეიდ წონით კატეგორიაში გლდანის ღია პირველობის გამარჯვებულები გახდნენ: გიორგი ევასაძე, მოთა ბეჟიტაშვილი, ლევან სარალიძე, თორნიკე ქინქლაძე, ბადრი ბასოშვილი, გაგა ლავთაძე და ნოდარ ბულბულაშვილი.

გამარჯვებულებს და პრიზიორებს ზურნისა და დოლის ჰანგების თანხლებით გადაეცათ შესაბამისი საჩუქრები.

**ბესიკ გაბრიაძე.**

**სურათზე: შეჯიბრების მომენტი.**

**ჩოგბურთი**

## ამაგდარი მწვრთნელის სახელობისა

**თბილისის** ჩოგბურთის კორტებზე (მასპინძლებთან ერთად ბათუმისა და რუსთავის 65 სპორტსმენის მონაწილეობით) ერთეულთა თანრიგში საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის – ვანო ელერდაშვილის სახელობის ტრადიციული ტურნირი გაიმართა, სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში (1985-1993 და უფრო გვიან დაბადებულნი) ყველა პირველი ადგილი თბილისელებმა – ქეთი ოქროაშვილმა, ვლადიმერ ბარამიძემ, ბიძინა ამაშუკელმა (ყველა – „დინამო"), სოფიკო ქვაცაბაიამ (ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემია), ბასმან ავილოვამ, გიორგი იორდანიდიმ (ორივე – „შევარდენი") და რეზო ოსაძემ (სამედიცინო უნივერსიტეტის სპორტკლუბი) დაიკავეს. „საუკეთესო ტექნიკისათვის" დაწესებული პრიზები დაიმსახურეს დინამოელებმა – ნინი ლაგვილავამ და ლაშა ქარჩაიძემ, რომლებიც თავიანთ ასაკში მესამე ადგილებზე გავიდნენ.

**გარი ამირხანოვი.**

**ცინცხალი ამბები**



**ავტომრბოლელ ალენ პროსტის გუნდი დიდ ფინანსურ გაჭირვებას განიცდის. მაგრამ, იგი იმედს არ კარგავს, რადგან მოლაპარაკებას აწარმოებს საუდის არაბეთის პრინცთან ალ-ვალიდთან. თუკი ხელშეკრულება გაფორმდა, პროსტმა შესაძლოა გუნდი ამ მდიდარ არაბს მიყიდოს.**



**სიდნეიში მიმდინარეობს „მასტერსის თასის" საჩოგბურთო ტურნირის დასკვნითი ეტაპი.**

**მის მთავარ სენსაციად სპეციალისტებმა მიიჩნიეს უიმბლდონის წლევანდელი ჩემპიონის გორან ივანიშევიჩის გამარჯვება პლანეტის უძლიერეს ჩოგბურთელთან გუსტავო კუერტენთან – 2:6, 7:6 (7:2), 4:6.**

**ყოველი მხრიდან**

### ვინ დაეუფლება „ოქროს ბურთს"?

**საფრანგეთის** ყოველკვირეულმა **France Football** გამოაქვეყნა იმ 50 ფეხბურთელის სია, ვისგანაც ევროპის წამყვანი სპორტული გამოცემების ჟურნალისტები წლის ბოლოს აირჩევენ 2001 წლის საუკეთესო ფეხბურთელს.

აი, ისინიც: ანდერსონი, ბაჯო, ბარტეზი, ბატისტუტა, ბეკჰემი, ბუფონი, კაფუ, კანდელა, კარიერი, შევჩენკო, კრესპო, დელ პიერო, დესაი, ეფენბერგი, ელბერი, ფერდინანდი, ფიგუ, ჯერარდი, გიგზი, ჰასენბაინი, ელგერა, ანრი, ჰიუიუპია, კანი, კიუელი, კლიუვერტი, კუფური, ლარსონი, ლიზარაზუ, მენდეტა, ნაკატა, ნედვედი, ნესტა, ოლისადებე, ოუენი, პაულეტა, პირესი, რაული, რივალდო, რობერტო კარლოსი, რუი კოშტა, სანდი, სკოულზი, ტიურამი, ტომაზი, ტოტი, ტრეზეგე, ვერონი, ვიეირა, ზიდანი.

### წინ ახალი ეტაპია

**კეიპტაუნში** სტარტი აიღო დედამიწის გარშემო აფრიანი ნავების პრესტიჟული რბოლის **Volvo Ocean Race** მეორე ეტაპმა – 6500 საზღვაო მილი კეიპტაუნიდან სიდნეიმდე. ცნობილი მაგიდისებური მთის მისადგომებთან იალქნებს დაბერა მძლავრმა 20-კვანძიანმა ქარმა.

პირველი ეტაპის შემდეგ, რომელიც საუტჰემპტონში დაიწყო, ლიდერობს გერმანული ხომალდი ამერიკელი ჯონ კოსტეცკის შკიპერობით.



მონაწილენი ინგლისის სანაპიროდან გზას გაუდგნენ 23 სექტემბერს, ხოლო ფინიში დაახლოებით 9 თვის შემდეგ ექნებათ კილში (გერმანია).

### პრიზიც და საგზურიც

**1890 ათლეტი** იბრძოდა მსოფლიო ჩემპიონატის 100 საგზურისა და 50 ათასდოლარიანი პრიზისათვის ტრადიციულ ტრიატლონში, რომელიც პანამა-სიტი-ბიჩში გაიმართა.

35 ქვეყნიდან ჩამოსულ სპორტსმენთა შორის გაიმარჯვეს ინგლისელმა სპენსერ სმიტმა და გერმანელმა კატია შუმახერმა.

სპენსერ სმიტს, რათა გადაცურა 3,86 კმ, ველოსიპედით გადაელახა 180 კილომეტრი და ერბინა მარათონულ დისტანციაზე, დაჭირდა სარეკორდო დრო – 8:21.30. ადრინდელი უმაღლესი შედეგი კი – 8:26.27 – ეკუთვნოდა გერმანელ ლატარ ლედერს 1999 წლიდან.

### მსაჯი და რეკლამა?

**2002 წლის** იანვრიდან იმ მსაჯების ფორმაზე, ვინც ფეხბურთში საფრანგეთის ეროვნულ ჩემპიონატს მოემსახურებიან, გამოჩნდება ავეჯისა და საყოფაცხოვრებო ტექნიკის მაღაზიების ქსელის რეკლამა.

საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ და საფრანგეთის საფეხბურთო ლიგამ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმეს საფრანგეთის ჩემპიონატის პირველი და მეორე დივიზიონების, აგრეთვე, საფრანგეთის თასისა და ლიგის თასის მატჩებზე.

როგორც ფედერაციისა და ლიგის წარმომადგენლებმა განაცხადეს, ეს პარტნიორობა მიზნად ისახავს „საფრანგეთში მსაჯობის განვითარებასა და გაუმჯობესებას".

### ჩალაძის გამარჯვების გოლი

**ძალზე** დრამატული გამოდგა ლატვიის ჩემპიონატზე „მეტალურგისა" და გათამაშების ლიდერის „სკონტოს" მატჩი, რომელიც მასპინძლების შეტევით დაიწყო. მაგრამ სტუმრებმა მალე აიღეს შეხვედრის სადავეები ხელში. თუმც ოთხი საგოლე მომენტიდან მხოლოდ ერთი გამოიყენეს. მეორე ტაიმში მასპინძლებმა ანგარიში გაათანაბრეს. თუმც ფრე არცერთ მეტოქეს არ აწყობდა. 74-ე წუთზე ქართველი ლეგიონერი დავით ჩალაძე პირისპირ გავიდა მოწინააღმდეგეთა მეკარესთან და ზუსტი დარტყმით გამარჯვების გოლი გაიტანა.

ახლა „სკონტოს" 68 ქულა აქვს, ვენტსპილსს – 67, ხოლო „მეტალურგს" – 64. ჩვენებური ფეხბურთელი ბომბარდირთა შორის მესამე ადგილზეა – 21 ბურთი.

**სპორტის რედაქცია.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 279. ოთხშაბათი, 14 ნოემბერი, 2001 წელი.

## ალბომში

# ყველას რამე აქვს სახსოვარი



XX საუკუნის დასაწყისი. წარჩინებულ ბაღდათელთა საზოგადოება.

ფოტო მოგვაწოდეს პროფესორებმა – გურამ ქამაკაშვილმა და დავით გეგეშიძემ.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

*რედაქცია გთხოვთ, მობრძანდეთ დაბეჭდილი სურათების ორიგინალებისათვის. დაკარგვის შემთხვევაში ჩვენ პასუხს აღარ ვაგებთ.*

## ღიმილის დოზა

ორი ბეჰემოთი ხეზე მოკალათებულა. ბავშვის ქუდებს ქსოვენ. მოულოდნელად ქლიბების გუნდი გადაუფრენს. წინამძღოლი ქლიბი ჩამოსძახებს:

– ბეჰემოთებო, სამხრეთი საით არის?

ერთი ბეჰემოთი მიუთითებს და ისინიც სამხრეთისკენ გაფრინდებიან.

ორი წუთის შემდეგ მოფრინდება ერთი ქლიბი და შეეკითხება – ქლიბების გუნდი საით გაფრინდაო.

ბეჰემოთი ჩრდილოეთისკენ მიუთითებს და ქლიბიც იქით გაფრინდება.

მეორე ბეჰემოთი – პირველს:

– რატომ მოატყუე?

– შენ რომ გუშინ მოქსოვილი ქუდი დამირღვიე?

* * *

ერთი ნარკომანი ძილის წინ საწოლთან ორ ჭიქას იდგამდა.

ერთი – წყლით, მეორე – ცარიელი, პირველი – თუ ღამე მოწყურდებოდა. მეორე, – თუ ღამე არ მოწყურდებოდა.

## გამოიცა

# ამჯერად „სიზმარა“ და სხვა ზღაპრები

### ქართული ლიტერატურული ზღაპრების მესამე წიგნი



დღეს უკვე თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ჩინებულმა საბავშვო მწერალმა ბონდო მაცაბერიძემ საზოგადოებრივი მოღვაწეობის სარბიელზეც გამოიჩინა თავი. მან არაერთი საუკეთესო წიგნი შეადგინა და გამოსცა. განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ქართული ლიტერატურული ზღაპრები 15 წიგნად, რომელთაც ბონდო მაცაბერიძისავე გამომცემლობა „ბაკმი“ აწვდის მკითხველ საზოგადოებრიობას, ჩვენს პატარებს (იბეჭდება ბულგარეთში, სოფიაში).

ახლახან გამოჩნდა ამ, მართლაც, იშვიათი მრავალწიგნეულის მესამე წიგნი, რომელშიც შეტანილია სერგო კლდიაშვილის „სიზმარა“ და სხვა ზღაპრები (პირველ წიგნში შევიდა „სათაგური“ და სხვა ზღაპრები, მეორეში – „ცეროდენა“ და სხვა ზღაპრები).

ზემოთხსენებული „სიზმარას“ გარდა, მესამე წიგნში შესულია აკაკი წერეთლის „ბროწეულის წყარო“, რევაზ ინანიშვილის „მეიარაღის გოგონას ამბავი“, ოტია იოსელიანის „დაჩის ზღაპარი“, დოდო ხიმშიაშვილი-ვადაჭკორიას „თეთრი, ალვახაზსარკმლიანი სახლი“ და როსტომ ელანიძის „გაზაფხულის ზღაპარი“ (წიგნის მთავარი რედაქტორია რუსუდან მოსიძე, რედაქტორი მარიამ წიკლაური-ძიძიგური, მხატვარი სპარტაკ ცინცაძე, ილუსტრაციები ეკუთვნის კოტე მაცაბერიძეს).

გამოსაცემი რჩება კიდევ 12 წიგნი. იმედია, საგამომცემლო საქმის დიდი ტრფიალი, ჩვენი პატარების საყვარელი მეზღაპრე ბონდო მაცაბერიძე დარჩენილ „თორმეტ სიხარულსაც“ მალე მოგვიტანს და ამ უბადლო გამოცემით თავადაც დამსახურებულად დაიდგამს ნორჩი თაობის სიყვარულის გვირგვინს.

**გურამ წიკლაური.**

## გახსენება

### მიშა უძილაური



რა უცებ გაირბინა სამმა წელმა. შემოდგომა მოვიდა, ბიჭო! ნოემბრის თვე, ასე ძალიან რომ გიყვარდა... არა იმიტომ, რომ ნოემბრის თვეში იყავი დაბადებული... არა! ტყეს ფოთოლი ცვივა უკვე! ნადირობის სეზონი მოვიდა. გვიღალატე!.. „ჭიუხებში დავასრულებ სიცოცხლესო!“ – ხშირად რომ ღიღინებდი, რატომ გაამრუდე სიტყვა?! რატომ ანდე მანქანას სიცოცხლე? შენი შეილებდახოცილი მშობლები შენს ქორწილს ელოდებოდნენ...

გწამდეს: ყველამ ყველა შეიძლება დაივიწყოს, მაგრამ მონადირე მონადირეს არასდროს ივიწყებს!

თუ არსებობს მართლაცდა სულის ყოფნა, 14 ნოემბერს შენი სული ჩვენთან იტრიალებს! 14 ნოემბერს შენს დაბადების დღეზე, ტყიდან მოგილოცავთ დაბადების დღეს ისეთი სუფრით, შენ რომ გიყვარდა!..

ნათელში იყოს შენი სული!

**მევლუდ ლოსეურაშვილი.**

## ხსოვნა

### ფატიმა ფუხაევა



საკმაოდ იშვიათად, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც ჩვეულებრივ ცხოვრებისეულ მისიასთან ერთად თავისი თაობისა და, საერთოდ, ყველა ასაკის სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა შორის ხიდისა და მესაძირკვლის რთულ და საპატიო როლს ასრულებენ. სწორედ ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა **ფატიმა ფუხაევა**, ოსი ხალხის საუკეთესო ადამიანური თვისებების ნამდვილი განსახიერება.

ჩვენი თაობის ახალგაზრდობის ერთ-ერთმა აღიარებულმა ლიდერმა თავიდანვე შეისისხლხორცა სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა შორის ჭეშმარიტი მეგობრობის საუკეთესო ტრადიციები და მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე, მაშინაც კი, როცა ეთნოკონფლიქტის საშინელმა რეალობამ ქართველ და ოს ხალხებს შორის გაუცხოებისა და დაპირისპირების ტალღა წარმოშვა, ბოლომდე მისი ერთგული დარჩა.

ძნელია მის სიკვდილთან, უდროოდ შეწყვეტილ სიცოცხლესთან შეგუება. მაგრამ, რადგანაც სიკვდილი ყველას უცილობელი ხვედრია, ხოლო თითოეული ადამიანისაგან დატოვებული ნათელი კვალი მომავლისადმი რწმენის უტყუარი სიმბოლო, გვჯერა, რომ ფატიმა ფუხაევას ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი მეგობრების, თანამოსაქმეებისა და კოლეგების მეხსიერებაში.

ყოფილი კოლეგებისა და თანამოსაქმეების სახელით:

**ნუგზარ ბაბუციძე, ჯემალ ბერიძე, ირაკლი ბოჭორიძე, ნოდარ გიორგაძე, შოთა დოლონაძე, ემზარ ზენაიშვილი, მალხაზ კაკაბაძე, შოთა კოხრეიძე, ვაჟა ლორთქიფანიძე, ემანუილ მარგიევი, ჰამლეტ მელაძე, ირაკლი მენაღარიშვილი, აკაკი მიქაძე, ნუგზარ ოდიშვილი, ვლადიმერ პატეიშვილი, არმაზ სანებლიძე, თამაზ ტაბახმელაშვილი, ლეილა ქესანაშვილი, რობერტ ღარიბაშვილი, ცისანა ჩიხლაძე, გივი ჩხაიძე, გივი ცოტნიაშვილი, გოგი ჯაოშვილი, ავთანდილ ჯორბენაძე.**

### თემურ სალაყაია



ხობის რაიონის ინტელიგენციამ და ფართო საზოგადოებრიობამ დიდი დანაკლისი განიცადა: ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ხობის რაიონული საკრებულოს თავმჯდომარე თემურ შოთას ძე სალაყაია.

დაიბადა 1946 წლის 17 თებერვალს სოფელ ნოჯიხევში. საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ კომკავშირულ და პარტიულ პასუხსაგებ თანამდებობაზეა. სხვადასხვა წლებში მუშაობდა პირველი ხორგის კოლმეურნეობის აგრონომად, ნოჯიხევის №30 პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორის მოადგილედ, პატარა ფოთის მეურნეობის დირექტორად, ხობის მეღორეობის საწარმოო გაერთიანების მთავარ აგრონომად, ახალი ხიბულისა და ნოჯიხევის ჩაის მეურნეობების დირექტორად, ხობის რაიონის სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოს უფროსად.

1998 წელს აირჩიეს ხობის რაიონის საკრებულოს თავმჯდომარედ, სადაც სიცოცხლის ბოლომდე ეწეოდა სერიოზულ და ნაყოფიერ საქმიანობას.

ღრმა პროფესიონალიზმის, ჰუმანურობისა და სამაგალითო ადამიანური თვისებების გამო ბატონი თემურ სალაყაია, სადაც კი უმუშავია, ყველგან უსაზღვრო სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდა. იგი იყო სიკეთით გასხივოსნებული პიროვნება, გაჭირვებულთა თანამდგომი და სხვისი ტკივილების გამთავისებელი, უღალატო, გულისხმიერი მეგობარი და კოლეგა. თითქოს საუკუნე ეცხოვროს, ისე დახარჯულა, ისეთი სიყვარული დატოვა თავისი ადამიანურობის, მაღალმოქალაქეობრივი და პროფესიული პასუხისმგებლობის წილ.

ნაადრევად წავიდა ჩვენგან დიდებული ქართველი ვაჟკაცი, ინტელიგენტი, საუკეთესო პიროვნული თვისებების მატარებელი, თავის რაიონსა და ქვეყნის უკეთეს ბედს მიყურადებული, მისი სიხარულის და გამარჯვების თანამოზიარე და მისი ბედუკუღმართობით გულშეღონებული.

ბატონ თემურს ბევრი სასიკეთო საქმე და ჩანაფიქრი დარჩა განუხორციელებელი, მაგრამ დატოვა შესანიშნავი ოჯახი, პატარა შვილიშვილი, რომლებიც გააგრძელებენ მის სიცოცხლეს და სათუთად შეინახავენ ამ ძვირფასი ადამიანის ხსოვნას.

ჩვენც, მის მეგობრებს და კოლეგებს, რომლებსაც მასთან თანამშრომლობისა და ახლო ურთიერთობების ბედნიერება გვქონდა, ნუგეშად გვექნება იმედი, რომ ზეციურ ნათელში იქნება ამ ალნაგი და შესანიშნავი ვაჟკაცის ლამაზი და კეთილშობილი სული.

**ხობის რაიონის გამგეობა;
ხობის რაიონის საკრებულო.**

---

ლეილა კოშკაძე ოჯახით სამძიმარს უცხადებს ლევან და მადი ჩანტლაძეებს მამისა და მამამთილის

**ვახტანგ ჩანტლაძის**

გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე მედეა დევიძე, შვილი ნინო, და ინა, დისწული ნანა, სიდედრი ვარია ციცაგი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**დემნა ივანეს ძე ქარსელაძე**

პანაშვიდი 15, 16 XI, 4 სთ., გამოსვენება 17 XI, 2 სთ., მარჯანიშვილის ქ. № 2, სადარბაზო 2.

---



ახლო მეგობრები გურამ ახვლედიანი, ილო ბარათაშვილი, გივი გუგუშვილი, ნოდარ მგალობლიშვილი, გივი მ[illegible]ხიშვილი, რეზო მხეიძე, ირაკლი ქორდანია, რამაზ ლამბაშიძე, გიორგი ლეალაძე, გურამ ლოლობერიძე, იურა შახოვი, თამაზ შილაკაძე, ზურაბ შომიტაიშვილი ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**დემნა ივანეს ძე ქარსელაძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---



მეუღლე მადონა, შვილები გიორგი, თორნიკე, კახა, კობა, მშობლები ჟორა, გულიკო, ძმები გოჩა, კობა, ბაბუა ვასილ გამეზარდაშვილი, ბებია ჟუჟუნა, სიმამრი ომარ, სიდედრი ნელი გუნიავები, ქვისლები რომან ჩაფიძე, გოჩა ჭელიშვილი, ბიძები, მამიდები, დეიდები, ზურაბ გამეზარდაშვილი და სულიკო ბუიღლიშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**კახა ჟორას ძე თოდიძე**

პანაშვიდი 15, 16 XI, 4 სთ. გამოსვენება 17 XI, 2 სთ. ზაჰესის დასახლება, ენერგეტიკოსების 4-ბ, ბინა №16.

---



გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი, ქ. ჯვარის პირველი საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი

**ალექსანდრე ტაგუს ძე აქუბარდია**

პანაშვიდი 15, 16 XI, დაკრძალვა 17 XI, შაბათს. მისამართი: ქ. ჯვარი, თემურ ფიფიას ქუჩა №1.

---

მარნეულის რაიონის პროკურატურა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ქვემო ქართლის ოლქის პროკურორის მოადგილე

**ნოდარ აბულაშვილი.**

---

საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტის კოლექტივი სამძიმარს უცხადებს ინსტიტუტის გენერალურ დირექტორს და კომპანია „ენერგია-სპიკოსმოსის“ ვიცე-პრეზიდენტს, პროფესორ მიხეილ ჯანიკაშვილს დედის

**სულიკო ჯანიკაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ბატონ დემურ დვალს დედის

**მარგალიტა დვალის**

გარდაცვალების გამო.

---

სს „საქტრანსგაზმრეწვის“ კოლექტივი იუწყება, რომ გარდაიცვალა სს „საქტრანსგაზმრეწვის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის იური გიქოშვილის დედა

**ევდოკია გიქოშვილი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

სს „საქტრანსგაზმრეწვის“ სამეთვალყურეო საბჭო იუწყება, რომ გარდაიცვალა საბჭოს თავმჯდომარის იური გიქოშვილის დედა

**ევდოკია გიქოშვილი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---


# საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

## მოწვევა საკონკურსო ვაჭრობაზე

### ქ. თბილისში გლდანის VIII მ/რაიონის მიმდებარე ქუჩის კაპიტალური შეკეთება

1. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე) დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ დალუქული კონვერტები საკონკურსო წინადადებით ქ. თბილისში გლდანის მასივის VIII მიკრორაიონის მიმდებარე ქუჩის (საერთო სიგრძით 589 მ.) კაპიტალური შეკეთების სამუშაოების წარმოებაზე, რაც მოიცავს გზის საფარისა და საფუძვლის მოწყობას, ბორდიურების მოწყობას, ტროტუარების მოწყობას, ცხაურების მოწყობას, მიერთებების მოწყობას, ლიანდაგების დემონტაჟს და სხვა სამუშაოებს (კონტრაქტის №TBILISI/NCB-058/01).

2. საკონკურსო დოკუმენტაცია (და აგრეთვე დამატებითი ასლები) კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ მუნიციპალური განვითარების ფონდში მისამართზე: თბილისი, 380077, ვაჟა-ფშაველას გამზ. №41 ტელ: 94-32-40; 94-29-47 ფაქსი: 94-04-39, თითოეული კომპლექტისათვის აუნაზღაურებადი 50 ლარის გადახდისას შემდეგ ანგარიშზე:

თბილუნივერსალბანკი
თბილისი, კოსტავას 70
ანგარიში №3608000763
ბენეფიციარი:
საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

დაინტერესებულ მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფისში.

3. საკონკურსო წინადადებები ძალაში უნდა იყოს 90 დღის განმავლობაში კონკურსის გახსნის დღიდან და მათ თან უნდა ახლდეს წინადადების საბანკო გარანტია 6.000 ლარის ოდენობით. საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში ზემოთ აღნიშნულ მისამართზე არაუგვიანეს 2001 წლის 14 დეკემბრის 12 საათისა. ყველა საკონკურსო წინადადება გაიხსნება კონკურსის იმ მონაწილეთა თანდასწრებით, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს დაესწრონ წარმოდგენილი წინადადებების გახსნის პროცედურას.



# საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

## მოწვევა საკონკურსო ვაჭრობაზე

### ქ. თბილისში ვასაძის და ომის გმირების ქუჩების კაპიტალური შეკეთება

1. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე) დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ დალუქული კონვერტები საკონკურსო წინადადებით ქ. თბილისში ვასაძის და ომის გმირების ქუჩების (საერთო სიგრძით 739 მ.) კაპიტალური შეკეთების სამუშაოების წარმოებაზე, რაც მოიცავს გზის საფარისა და საფუძვლის მოწყობას, ბორდიურების მოწყობას, ტროტუარების მოწყობას, ცხაურებისა და სათვალთვალო ჭების მოწყობას, ლიანდაგების დემონტაჟს და სხვა სამუშაოებს (კონტრაქტის №TBILISI/NCB-055/01).

2. საკონკურსო დოკუმენტაცია (და აგრეთვე დამატებითი ასლები) კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ მუნიციპალური განვითარების ფონდში მისამართზე: თბილისი, 380077, ვაჟა-ფშაველას გამზ. №41 ტელ: 94-32-40; 94-29-47 ფაქსი: 94-04-39, თითოეული კომპლექტისათვის აუნაზღაურებადი 50 ლარის გადახდისას შემდეგ ანგარიშზე:

თბილუნივერსალბანკი
თბილისი, კოსტავას 70
ანგარიში №3608000763
ბენეფიციარი:
საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

დაინტერესებულ მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფისში.

3. საკონკურსო წინადადებები ძალაში უნდა იყოს 90 დღის განმავლობაში კონკურსის გახსნის დღიდან და მათ თან უნდა ახლდეს წინადადების საბანკო გარანტია 7.000 ლარის ოდენობით. საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში ზემოთ აღნიშნულ მისამართზე არაუგვიანეს 2001 წლის 14 დეკემბრის 12 საათისა. ყველა საკონკურსო წინადადება გაიხსნება კონკურსის იმ მონაწილეთა თანდასწრებით, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს დაესწრონ წარმოდგენილი წინადადებების გახსნის პროცედურას.


## ტელევიზია — ოთხშაბათი, 14 ნოემბერი

07.00 საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა „ალიონი“ 09.10 მულტფილმი „ფეხბურთელი სიმბა“ 09.35 ტელესერიალი „ძილის წინ“ 09.55, 01.35 ვიდეოპატრული 10.05 ჩვენი ფეხბურთი 10.50 საქმე 11.15 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი“ 12.00, 15.00, 20.00, 22.50 მოამბე 12.15 ჯანმრთელობა 12.40 თქვენი უფლებები 13.00 საინფორმაციო მუსიკალური პროგრამა „ნაშუადღევს“ 14.00 დიდების ზღაპარი 14.25 ჩვენი მისამართია 15.15 მხ.ფ. „კამენსკაია“ „უნებლიე მკვლელი“ 17.15 50-50 18.00 ვექტორი 18.20 ამერ-იმერი 19.10 ინტერმეცო 19.40 ბასტი-ბუბუ 20.55 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი“ 21.45 ეკო-დაიჯესტი 22.10 ტელე-სინე-ვიდეო 23.35 ტელესერიალი „ძილის წინ“ 00.00 მხ.ფ. „სისხლი და ღვინო“

19.00, 22.00 „მოამბე“ მეორე არხზე 19.10 სტუდია „რე“ 19.50 სერიალი „ზაფხულის საიდუმლო“ 20.45 ორატორი 21.00 ისტორიანი 21.30 შემეცნებითი საათი 21.45 ამბიონი 22.10 ვიდეოპატრული 22.20 საქართველოს მატიანე 22.50 მხ.ფ. „კეთილი ადამიანები“ დასასრულს ჰიტ-პარადი

07.00 მუსიკა. 07.30 ტექს ავერი, ჯუნგლების კანონი 08.00 კურიერი. 08.55 სერიალი „გვადალუპე“ 09.50 სერიალი „სასწრაფო“ 10.40 სერიალი „დედამიწის ირგვლივ ვილი ფოგთან ერთად“ 11.10 სერიალი „ბაბილონის გოდოლი“ 12.00, 15.00 კურიერი 12.15 მულტსერიალი 13.30 მხ. ფილმი 18.00, 21.00, 01.50 კურიერი 18.20 სერიალი „დედამიწის ირგვლივ ვილი ფოგთან ერთად“ 18.45 სერიალი „მეზობელი გოგონები“ 19.15 სერიალი „გურმანთა მეგზური“ 19.50 სერიალი „ბაბილონის გოდოლი“ 22.00 „ვის უნდა ოცი ათასი“ 22.50 ღამის კურიერი 00.05 მხ.ფ. „უმანკოების ხანა“. მთ. როლებში: დენიელ დე ლუისი, მიშელ პფაიფერი 02.00 კლასიკა

**იბერია**

მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია 08.00, 20.00 ანონსი, მულტფილმი 08.15, 20.15 ალსავალი 08.20, 09.50, 11.55, 20.20, 22.00, 23.55 მუსიკა 08.25 მხ.ფ. „კარგები და ცუდები“ 10.10 მხ.ფ. „ლეგენდა ნარაიამაზე“ 20.25 მხ.ფ. „სტილის მართლმსაჯულება“ 22.25 მხ.ფ. „ამერიკელი მეძალთანე“

12.00 მხ.ფ. „ბორნის პიროვნების საიდუმლო“ 13.30 მხ.ფ. „დაიკო ბეტი“ 15.05 მხ.ფ. „პარასკევაური კარიკეტი“ 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღე“ 17.15 მხ.ფ. „ოპერაცია „ტუჩონკა“ 19.20 სპექტრი 21.00 მხ.ფ. „რეალობა იკბინება“ 22.30 მხ.ფ. „და მოვიდა ოგოგა“

---

**ავტორებს ვთხოვთ, 3-4 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.**

**რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.**

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-98“

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, გურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, გიორგი ლალიაშვილი, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქოგულია, ბექა ჭელია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები – „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი ბონდო მძინარაშვილი.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება – ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა – PRESS-98@CAUCASUS.NET

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბაში, ხოშტარიას 29.